



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ლევან ნიკოლეიშვილი

პოლიტიკური ლიდერობა, როგორც საზოგადოების

ინტეგრაციის მექანიზმი

(ისრაელისა და საქართველოს მაგალითზე)

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის

აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილია

დისერტაცია

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 0141, საქართველო

2020

საავტორო უფლება © 2020 წელი, „ლევან ნიკოლეიშვილი“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პოლიტიკის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ლევან ნიკოლეიშვილის შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს, დასახელებით პოლიტიკური ლიდერობა, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმი (ისრაელისა და საქართველოს მაგალითზე) და ვაძლევთ რეკომენდაციას კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

„_____“ _____ 2020

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

თამარ კიკნაძე _____

რეცენზენტი:

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
პროფესორი ვაჟა გურგენიძე _____

რეცენზენტი:

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიური უნივერსიტეტის
პროფესორი ვაჟა შუბითიძე _____

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 2020 წელი
ავტორი: ლევან ნიკოლეიშვილი

თემის დასახელება:

**პოლიტიკური ლიდერობა, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმი
(ისრაელისა და საქართველოს მაგალითზე)**

ფაკულტეტი: სოციალურ მეცნიერებათა

აკადემიური ხარისხი: დოქტორი

სხდომა ჩატარდა: „___“ _____ 2020წ.

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით, მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა, ან სხვა რაიმე მეთოდებით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე. ავტორი ირწმინება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებული სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

ანოტაცია

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი – პოლიტიკური ლიდერობა, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმი (ისრაელის და საქართველოს მაგალითზე) მიმოიხილავს პოლიტიკური ლიდერობის კონცეფციებს, რომლებიც ამ ფენომენს ინსტიტუციონალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტში განიხილავს. ლიდერობის ფენომენის ევოლუცია, ლიდერობის გართულებული იერარქია და საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმის შემუშავება გამოწვეულია პოლიტიკური-სოციალური ცხოვრების განვითარების კანონზომიერებებით.

პოლიტიკურ ლიდერზე ხშირად გავლენას კონკრეტული დრო და გარემო ახდენს. ქვეყნებში, რომლებიც ძლიერ სოციალურ ტრანსფორმაციას განიცდიან, ეროვნულ დონეზე, სწორედ პოლიტიკური ლიდერები შესაძლოა გახდნენ საზოგადოების ინტეგრაციის ძირითადი სუბიექტებად და მექანიზმებად. პოლიტიკურ ლიდერზეა დამოკიდებული პროცესების მოდერნიზაციის განხორციელებაც. პოლიტიკურმა სიტუაციამ და საზოგადოების დაკვეთამ დღის წესრიგში სხვა ტიპის პოლიტიკური ლიდერის მოთხოვნა დააყენა – პოლიტიკური ლიდერისა, რომლის პიროვნული თვისებები არსებული სიტუაციასა და გარემოს მოთხოვნებს უპასუხებდა და შესაბამისად, თავის ადგილს დაიკავებდა პოლიტიკური თამაშის ველზე.

საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა შევქმნათ მის მნიშვნელობაზე, ცალკეული ელემენტების გაერთიანებისა და კოორდინირების პროცესზე, რაც შესაძლებელია გადაწყობით, რეორგანიზებით და ელემენტების დანაწილებით, დამატებით ან ჩამოშორებით. საზოგადოების ინტეგრაცია, დინამიური პროცესია, რომელიც აადვილებს სხდასხვა დონეებზე საზოგადოების სხვადასხვა წევრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. მათი ღირებულებების დაახლოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, როდესაც „ელემენტებად“ მოიაზრებიან პიროვნებები/ადამიანები, რომლებიც განსხვავდებიან თავისი მახასიათებლებით.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია პოლიტიკური ლიდერობის როლითა და მნიშვნელობით თანამედროვე პოლიტიკური პროცესების სტრუქტურაში, რომელიც საზოგადოების კონსოლიდაციის გზით, მოწოდებულია

უზრუნველყოს სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტემის მდგრადი განვითარება. თემის აქტუალობა განპირობებულია აგრეთვე საქართველოში არსებული რიგი პრობლემური სიტუაციებით, რომლებმაც პოლიტიკური ლიდერობის დევალვაცია გამოიწვიეს და რომლებიც სათანადოდ არ არის შესწავლილი. მათი შესწავლა და გაანალიზება ხელს შეუწყობს პოლიტიკური ლიდერების მოღვაწეობის სათანადოდ შეფასებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

ნაშრომი მოიცავს პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის ისტორიული საფუძვლებს და მისი ფორმირების თავისებურებებს თანამედროვე ეტაპზე, განიხილავს პოლიტიკური ელიტებსა და ლიდერს, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკის სუბიექტსა და პოლიტიკური ლიდერის, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმისა და პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელს.

ნაშრომი ეთმობა პოლიტიკური ლიდერებისა და ელიტების ფორმირების თავისებურებებს საქართველოსა და ისრაელში, მათი საზოგადოების მაკონსოლიდირებელი ფუნქციას, პოლიტიკური ლიდერისა და ელიტის ჩამოყალიბების თავისებურებებს პოსტსაბჭოთა საქართველოსა და ისრაელში, საქართველოსა და ისრაელის ლიდერების როლს საზოგადოების კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში.

განხილულია შეხედულებები პოლიტიკური ლიდერების და პოლიტიკური ელიტის შესახებ სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში, განხორციელებული ემპირიული კვლევის-ექსპერტების გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, პოლიტიკური ლიდერისა და პოლიტიკური ელიტის როლი ისრაელის სახელმწიფოებრივ განვითარებაში და პოლიტიკური ლიდერების და პოლიტიკური ელიტის როლი საქართველოს დამოუკიდებლობის, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და საზოგადოების ინტეგრაციის პროცესებში.

საქართველოსა და ისრაელის პოლიტიკური ლიდერებისა და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ საზოგადოების კონსოლიდაციის და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესის დასადგენად, აუცილებელია, მივმართოთ კლასიკურ თეორიებს პოლიტიკური ლიდერობისა და პოლიტიკური ელიტების შესახებ, რადგანაც თეორიული, ისევე, როგორც ემპირიულ-პრაქტიკული გააზრების გარეშე, შეუძლებელია ამ ფენომენის ფუნდამენტური შესწავლა და იმ მექანიზმების და საერთო კანონზომიერებების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური

ლიდერების ფორმირებას და პოლიტიკური ელიტების ცირკულირება-რეკრუტირებას, რომლებიც თავისი მოღვაწეობით უზრუნველყოფენ საზოგადოების კონსოლიდაციას და სახელმწიფოს აღმშენებლობით პროცესს.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების დღიდან საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა და პოლიტიკურმა ელიტამ ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, როგრც ღირებულე-ბითი და ორიენტაციის, ისე ხარისხობრივი მახასიათებლების თვალსაზრისით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მათ ტიპოლოგიზაციასა ხელისუფლების ცვლილების მექანიზმებზე.

ვაანალიზებთ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდს, პოლიტიკური ლიდერების „ქარიზმის“ ფორმირების პროცესი მეტწილად ქვეყნის გარეთ ხდებოდა. ქართული პოლიტიკური ელიტის ტიპოლოგიზაცია-დიფერენციაციამ თავისებური გავლენა მოახდინა ამ ელიტის ცირკულაცია-განახლების მექანიზმების ფორმირებაზე. ქართული ელექტორატი ლოიალობის სხვადასხვა ხარისხით აქცენტს აკეთებდა ლიდერებზე, რომლებაც სოციალურ-პოლიტიკური კაპიტალი ქვეყნის გარეთ დააგროვეს, რომლის შედეგად პოლიტიკური ლიდერი სრულ „კარტ-ბლანშს“ და თავისი შეხედულებისამებრ ირჩევდა მისთვის მისაღები ელიტის წევრებს. რაც შეეხება საზოგადოების კონსოლიდაციას, ეს პროცესი საერთოდ არ იდგა დღის წესრიგში. ყოველი ახალი ლიდერის მოსვლის შემდეგ ქართული საზოგადოება კონსოლიდაციის მაგივრად სულ უფრო დიფერენცირებული და დაყოფილი ხდებოდა, რაც თავის მხრივ ხელს უშლიდა ქვეყნის აღმშენებლობით პროცესს.

რაც შეეხება ისრაელის სახელმწიფოს, მისი შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ებრაელი ხალხის ისტორიაში. ებრაელმა ერმა თავისი ისტორიითა და ბრძოლისუნარიანობით დაადასტურა, რომ იმსახუ-რებდა სუვერენული სახელმწიფოს შექმნას. მისმა დამაარსებლებმა თავიდანვე სწორად გათვალეს თავიანთი ქვეყნის პრიორიტეტები, გაითვალისწინეს სხვა სახელმწიფოების გამოცდილება და საკუთარი ხალხის ინტერესები. სახელმწი-ფოებრივი მშენებლობისა და აუცილებელი ინსტიტუციების ჩამოყალიბების პარალელურად, მათ უწევდათ ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებისა და სუვერენიტეტის დასაცავად, ამაში კი დიდი წვლილი პოლიტიკურ ლიდერებ მიუძღვით, რომლებმაც შეძლეს საზოგადოების კონსოლიდაცია და

თავგანწირვისა და დაუზოგავი შრომის შედეგად დღევანდელი ისრაელის სახელმწიფოს წარმატებული და უსაფრთხო ყოფა უზრუნველყვეს. ისრაელში სახელისუფლებო შტოების ფუნქციონირება ურთიერთდაბალანსებულია, ხოლო მათი საქმიანობა გამჭვირვალეა, რაც უზრუნველყოფს ხელისუფლების მიმართ მაღალ ნდობას. ისრაელში არჩევნები ტარდება დემოკრატიულ გარემოში, მედიაპლურალიზმის პირობებში, დაცულია ადამიანის უფლებები და გამოხატვის თავისუფლება.

ნაშრომში შევეცადეთ მოგვეხდინა „პოლიტიკური ლიდერის“ ცნების ახლებურად გააზრება და საქართველოსა და ისრაელის მაგალითზე, პოლიტიკური ლიდერის ტიპოლოგიის კანონზომიერებების განსაზღვრა, გამოგვევლინა პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუციონალური მახასიათებლები და დაგვემტკიცებია, რომ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის შემთხვევაში პოლიტიკური ლიდერობა პოლიტიკური ხელისუფლების მნიშვნელოვან ინსტიტუტად იქცევა, რომ უკანასკნელ პერიოდში ხდება პოლიტიკური ლიდერობის მოდელის ტრანსფორმაცია, რაც განპირობებულია სრულიად განსაკუთრებული ისტორიული პროცესებით და განსაზღვრავს ლიდერის მოქმედების სპეციფიკას. ნაშრომში აგრეთვე შევეცადეთ განგვესაზღვრა პოლიტიკური მანიპულაციის საშუალებები, როგორც მიზნის მიღწევის მექანიზმი. ქართველი და ებრაელი პოლიტიკური ლიდერების პიროვნული, პოლიტიკური პროცესების და ისტორიული ვითარების შეფასების გზით, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა მათი მოღვაწეობის თავისებურებები და ქვეყნისათვის მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები.

ავტორი იმედოვნებს, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მაღლზე არსებითია, რადგანაც ახალგაზრდა განვითარებადი დემოკრატიისათვის პოლიტიკური ლიდერის ფენომენის და საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში მისი როლის შესწავლა საქართველოს და ისრაელის პოლიტიკური ლიდერების მაგალითზე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ მიერ საკითხის შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები საშუალებას იძლევა გაგებული და გააზრებული იქნას პოლიტიკური ლიდერის როლი საზოგადოების ინტეგრაციისა და შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესში. ჩვენი ნაშრომის საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს ხსენებული პრობლემის უფრო ღრმა და სერიოზული შესწავლა, მომზადდეს სასწავლო და სპეციალური კურსები.

ნაშრომში არსებული მასალები და განზოგადებანი, სავარაუდოდ, შეავსებს ქართულ პოლიტიკურ მეცნიერულ ლიტერატურაში პოლიტიკური ლიდერისა და საზოგადოების ინტეგრაციის სფეროში არსებულ სიცარიელეს.

Annotation

The presented dissertation – Political Leadership as a Mechanism of Society Integration (example of Israel and Georgia) reviews the concepts of political leadership that consider this phenomenon in an institutional, cultural and historical context. The evolution of the phenomenon of leadership, the complicated hierarchy of leadership and the development of a mechanism for the integration of society are caused by the patterns of development of political and social life. A political leader is often influenced by a particular time and environment. In countries undergoing strong social transformation, at the national level, it is the political leaders who may become the main subjects and mechanisms of community integration. The modernization of processes also depends on the political leader. The political situation and the order of the society put the demand for another type of political leader on the agenda – a political leader whose personal qualities would meet the needs of the current situation and the environment and, consequently, would take his place on the political playing field.

The analysis of the mechanism of community integration allows us to get a clear idea of its significance, the process of unification and coordination of individual elements, which is possible through rearrangement, reorganization and division of elements, addition or subtraction. Community integration is a dynamic process that facilitates the political, economic, and cultural life of different members of society at different levels. Approximation of their values is especially important from a socio-economic and cultural point of view, when "elements" are considered individuals / people who differ in their characteristics.

The insistence of the dissertation is due to the role and importance of political leadership in the structure of modern political processes, which, through the consolidation of society, is committed to ensuring the sustainable development of the state and the political system. The urgency of the topic is also due to a number of problematic situations in Georgia, which have led to the devaluation of political leadership and which have not been properly studied. Their study and analysis will help to properly evaluate the work of political leaders and draw relevant conclusions.

The paper covers the historical foundations of the phenomenon of political leadership and the peculiarities of its formation at the modern stage, considering political elites and leaders as a subject of public policy and an indicator of a political leader as a mechanism of society integration and political culture. The paper focuses on the peculiarities of the formation

of political leaders and elites in Georgia and Israel, the consolidating function of their society, the peculiarities of the formation of political leaders and elites in post-Soviet Georgia and Israel, the role of Georgian and Israeli leaders in consolidating society and state building. Views on political leaders and political elites in the development of statehood and community integration, the results of an empirical research-expert survey conducted. In particular, the role of political leaders and political elites in the state development of Israel and the role of political leaders and political elites in the processes of Georgia's independence, state reconstruction and community integration.

A revision of the political leaders and representatives of the political elites of Georgia and Israel revealed that in order to determine the process of consolidation of society and state-building, it is necessary to apply classical theories about political leadership and political elites, because without theoretical as well as empirical-practical understanding, It is impossible to study this phenomenon fundamentally and to determine the mechanisms and common patterns that ensure the formation of political leaders and the circulation-recruitment of political elites, whose work ensures the consolidation of society and the state-building process. Since gaining state independence, Georgia's political leaders and political elite have undergone significant changes at various stages of the country's development, both in terms of values and orientation, as well as qualitative characteristics, which have had a significant impact on their typology and mechanisms of change of government.

Analyzing the post-independence period, the process of forming the "charisma" of political leaders took place mostly outside the country. The typology-differentiation of the Georgian political elite had a peculiar influence on the formation of the circulation-renewal mechanisms of this elite. The Georgian electorate, with varying degrees of loyalty, focused on leaders who had accumulated socio-political capital abroad, as a result, the political leader chose the full "carte blanche" and, at his discretion, members of the elite acceptable to him. As for the consolidation of the society, this process was not on the agenda at all. With the arrival of each new leader, Georgian society became increasingly differentiated and fragmented instead of consolidated, which in turn hindered the country's reconstruction process.

As for the state of Israel, its creation was an extremely important event in the history of the Jewish people. The Jewish nation with its history and fighting ability proved that it deserved to create a sovereign state. Its founders from the very beginning correctly calculated the priorities of their country, taking into account the experience of other states and the

interests of their own people. In parallel with state-building and the establishment of the necessary institutions, they struggled to maintain their independence and sovereignty. The political leaders, who were able to consolidate the society and ensure the successful and secure existence of the present state of Israel as a result of self-sacrifice and hard work, have made a great contribution to this. The functioning of the branches of government in Israel is balanced, and their activities are transparent, which ensures high trust in the government. Elections in Israel are held in a democratic environment, in conditions of media pluralism, human rights and freedom of expression are protected.

In this paper, we have tried to understand the concept of "political leader" in a new way and, on the example of Georgia and Israel, to define the regularities of the political leader typology, reveal the institutional characteristics of political leadership and prove it, that in the case of ensuring the legitimacy of the decisions made, political leadership becomes an important institution of political power, that in recent times there has been a transformation of the model of political leadership, which is due to completely unique historical processes and determines the specifics of the leader's actions.

In the paper we also tried to define the means of political manipulation as a mechanism for achieving the goal. By assessing the personal, political processes and historical situation of Georgian and Jewish political leaders, we tried to analyze the peculiarities of their activities and the consequences of the decisions they made for the country. The author hopes that the theoretical and practical significance of the paper is very important, because for a young developing democracy it is very important to study the role of the political leader in the process of integration and society on the example of Georgian and Israeli political leaders.

The conclusions and recommendations as a result of the study and research allow us to understand and comprehend the role of the political leader in the process of society integration and further democratization. On the basis of our paper, a deeper and more serious study of the mentioned problem can be carried out, training and special courses can be prepared. The materials and generalizations in the paper are expected to fill the gap in the field of integration of the political leader and society in the Georgian political science literature.

სარჩევი

ანოტაცია_____	iv
Anotation_____	ix
შესავალი_____	14
თავი I. პოლიტიკური ლიდერის ფორმირების თეორიული საფუძვლები_____	23
1.1. პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე ლიდერის ფორმირების თავისებურებები_____	23
1.2. პოლიტიკური ელიტები და ლიდერი, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკის სუბიექტი_____	41
1.3. პოლიტიკური ლიდერი, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმი და პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი_____	44
თავი II. პოლიტიკური ლიდერებისა და ელიტების ფორმირების თავისებურებები პოსტსაბჭოთა საქართველოში_____	50
2.1. დამოუკიდებლობის მიღება და ეროვნული ხელისუფლების ფორმირება – ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ლიდერის ფენომენი_____	50
2.2. ედუარდ შევარდნაძე – ნეონომენკლატურული ელიტის ლიდერი_____	56
2.3. მიხეილ სააკაშვილის ანტიეროვნული და გლობალისტური ხელისუფლება_	63
2.4. ბიძინა ივანიშვილი და თანამედროვე პოლიტიკური ელიტა_____	71
თავი III. ისრაელის ლიდერების როლი საზოგადოების კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში და პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა თანამედროვე ისრაელში. ემპირიული კვლევა-ებრაელი და ქართველი ექსპერტების გამოკითხვა_____	79

3.1. ბრძოლა ისრაელის სახელმწიფოს შექმნისათვის და პოლიტიკური ლიდერების როლი_____	79
3.2. პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა თანამედროვე ისრაელში_____	90
3.3. შეხედულებები პოლიტიკური ლიდერების და პოლიტიკური ელიტის შესახებ სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში (ემპირიული კვლევა – ებრაელი და ქართველი ექსპერტების გამოკითხვა) _____	98
დასკვნა_____	131
გამოყენებული ლიტერატურა_____	137

შესავალი

ზოგადი დახასიათება და თემის აქტუალობა

პოლიტიკური ლიდერობა ფართოდ გავრცელებული და ინტუიციურად გაგებული ფენომენია. პოლიტიკური ლიდერობის კონცეფცია კი, პირიქით, რთულად ასახსნელია, რადგანაც დამოკიდებულია ინსტიტუციონალურ, კულტურულ და ისტორიულ კონტექსტზე და სიტუაციაზე.

პოლიტიკური-სოციალური ცხოვრების განვითარება კანონზომიერად იწვევდა ლიდერობის ფენომენის ევოლუციას, რთულდებოდა ლიდერობის იერარქია და საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმის შემუშავება.

პოლიტიკურ ლიდერზე ხშირად გავლენას კონკრეტული დრო და გარემო ახდენს. ქვეყნებში, რომლებიც ძლიერ სოციალურ ტრანსფორმაციას განიცდიან, ეროვნულ დონეზე, სწორედ პოლიტიკური ლიდერები შესაძლოა გახდნენ საზოგადოების ინტეგრაციის ძირითადი სუბიექტებად და მექანიზმებად. პოლიტიკურ ლიდერზეა დამოკიდებული პროცესების მოდერნიზაციის განხორციელებაც.

მსოფლიოში უამრავმა პოლიტიკურმა ლიდერმა დიდი ზეგავლენა მოახდინა სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესებზე – საკუთარი სამშობლოს წინსვლასა თუ უკუხვლაზე. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო და ისრაელი და მისი ლიდერები გახლავთ. “პოლიტიკურ ფიგურებს მოღვაწეობა მოუწიათ მათი ქვეყნებისათვის, ისევე როგორც მსოფლიო ისტორიისათვის კრიტიკულ პერიოდებში”¹. პოლიტიკურმა სიტუაციამ და საზოგადოების დაკვეთამ დღის წესრიგში სხვა ტიპის პოლიტიკური ლიდერის მოთხოვნა დააყენა – პოლიტიკური ლიდერისა, რომლის პიროვნული თვისებები არსებული სიტუაციასა და გარემოს მოთხოვნებს უპასუხებდა და შესაბამისად, თავის ადგილს დაიკავებდა პოლიტიკური თამაშის ველზე.

თანამედროვე საზოგადოებაში, ხშირია საზოგადოებრივი მოთხოვნა ძლიერ ლიდერზე, რომელსაც შეუძლია ეროვნული თანხმობის მისაღწევად, გამოავლინოს

¹ ბიჭაშვილი მ. ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. „ნეკერი“, თბ. 2001.გვ. 26.

პოლიტიკური ნება. სათავეში მყოფ პირს უნდა შესწევდეს უნარი გააკეთოს სათანადო პროგნოზი ქვეყნის შესაძლო განვითარების გზებზე და უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილურობა და ქვეყნის უსაფრთხოება.

საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმის ანალიზი საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა შევქმნათ მის მნიშვნელობაზე, ცალკეული ელემენტების გაერთიანებისა და კოორდინირების პროცესზე, რაც შესაძლებელია გადაწყობით, რეორგანიზებით და ელემენტების დანაწილებით, დამატებით ან ჩამოშორებით.

საზოგადოების ინტეგრაცია, დინამიური პროცესია, რომელიც აადვილებს სხვადასხვა დონეებზე საზოგადოების სხვადასხვა წევრების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. მათი ღირებულებების დაახლოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, როდესაც „ელემენტებად“ მოიაზრებიან პიროვნებები/ადამიანები, რომლებიც განსხვავდებიან თავისი მახასიათებლებით. ამ პროცესის მექანიზმის შემუშავება უზრუნველყოფს ერთობლივ პაუსხისმგებლობას და საზოგადოებაში განაპირობებს დამაბულობის განმუხტვას. მთლიანობაში, მექანიზმი იმ კოპრომისის შემადგენელია, რომელმაც დეინტეგრაციამდე მისული ვითარება უნდა განმუხტოს და ხელი შეუწყოს ინტეგრაციის მიმდინარეობას, რომელიც სახელმწიფოს არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

სადისერტაციო ნაშრომის **აქტუალობა** განპირობებულია პოლიტიკური ლიდერობის როლითა და მნიშვნელობით თანამედროვე პოლიტიკური პროცესების სტრუქტურაში, რომელიც საზოგადოების კონსოლიდაციის გზით, მოწოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტემის მდგრადი განვითარება, ადეკვატური რეაგირება მოახდინოს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების გზაზე არსებულ საშინაო და საგარეო საფრთხეებსა და გამოწვევებზე.

პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის პირობებში არსებითად ფართოვდება პოლიტიკის პიროვნული ბუნება, რაც მეცნიერების მიერ „პოლიტიკური ლიდერობის“ მოვლენის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ასპექტში შესწავლის აუცილებლობას განაპირობებს. შესაბამისად აქტუალურია ნაშრომები, რომლებიც იკვლევენ პოლიტიკური ლიდერობის არსს, სახელისუფლებო და

მმართველობითი ფუნქციების რეალიზების მექანიზმების კონტექსტში, რადგანაც სწორედ პოლიტიკური ლიდერის მიერ შედეგზე ორიენტირებულ ქმედებებზეა დამოკიდებული სახელმწიფოსა და პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა.

ზოგიერთი ქვეყანა ხასიათდება საზოგადოების კონსოლიდაციის მაღალი ხარისხით, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპებით, ამიტომაც თანამედროვე სახელმწიფოების სიცოცხლისუნარიანობა მეტწილად, დამოკიდებულია ლიდერების და პოლიტიკური ელიტის უნარებზე უზრუნველყონ აღნიშნული პროცესების ხელშეწყობა და მათი ადაპტირება გლობალურ საერთაშორისო სივრცეში.

ნათელია, რომ საზოგადოებაში სადაც დემოკრატიის ტრადიციების ნაკლებობაა, პოლიტიკური ლიდერი ხდება ის პიროვნება, რომელზედაც არის მოსახლეობა ორიენტირებული და მასთან, გარკვეულწილად, თავის იდენტიფიკაციას ახდენს.

როგორც წესი, პოლიტიკური ლიდერი გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალური-პოლიტიკური ცხოვრების წესის განსაზღვრასა და განვითარებაზე. სწორედ ამიტომაცაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური ლიდერის ფაქტორი და შესაბამისად, მასზე სპეციფიური მოთხოვნა.

ამ დროს ჩნდება კითხვები: როგორია ლიდერის კაპიტალის ძირითადი ელემენტები? როგორ ხდება ამ პოლიტიკური კაპიტალის ფორმულირება? რა გავლენას ახდენს პოლიტიკური ლიდერი ქვეყნის განვითარებაზე? როგორ შეიძლება პოლიტიკური ლიდერობა გახდეს საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმი?

პოლიტიკური ლიდერის და ელიტის კვლევა მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების კუთხითაც, ასევე ქვეყნის განვითარების ყველაზე სავარაუდო სცენარის პროგნოზირებისთვის. ამ მხრივ ისრაელის პოლიტიკური ლიდერობის განხილვა მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსა და ისრაელის საგარეო-პოლიტიკური თანამშრომლობის, ასევე შედარების თვალსაზრისით და ისრაელის მხრიდან რეგიონის სხვა ქვეყნებთან

ურთიერთობების კუთხით, რაც განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონული პრობლემების დარეგულირებისთვის. არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ისრაელის არსებობისათვის აუცილებელი იყო ძლიერი პოლიტიკოსების არსებობა, გამოკვეთილი ლიდერის თვისებებით, რომლებიც ახერხებდნენ თავის გარშემო გაერთიანებინათ განსაკუთრებულად არაერთგვაროვანი საზოგადოება. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო საქართველოს და ისრაელის პოლიტიკური ლიდერების მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპები, მოგვეხდინა პოლიტიკური პროცესის პერიოდიზაცია და თითოეულ ეტაპზე განგვებილა ამ ლიდერების მოღვაწეობის თავისებურებები და შედეგები.

თემის აქტუალობა განპირობებულია აგრეთვე საქართველოში არსებული რიგი პრობლემური სიტუაციებით, რომლებმაც პოლიტიკური ლიდერობის დევალვაცია გამოიწვიეს და რომლებიც სათანადოდ არ არის შესწავლილი. მათი შესწავლა და გაანალიზება ხელს შეუწყობს პოლიტიკური ლიდერების მოღვაწეობის სათანადოდ შეფასებას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემატიკის კვლევას ახასიათებს მკვეთრად გამოხატული სამეცნიერო-თეორიული აქტუალობა და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა.

კვლევის მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის და მექანიზმების, აგრეთვე საზოგადოებაზე მისი გავლენის მასშტაბისა და შედეგების, მისი, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმის კვლევა და ანალიზი ორი ქვეყნის - საქართველოსა და ისრაელის მაგალითზე.

აღნიშნული მიზნიდან გამომდინარე, დასახულ იქნა შემდეგ ამოცანები:

- პოლიტიკური ლიდერის ფენომენისა და მისი ფორმირების, აგრეთვე საზოგადოების ინტეგრაციაში მისი როლის თავისებურებების ანალიზი და წარმოჩენა;

- პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური კულტურის და მისი პოლიტიკური ლიდერის თავისებურებების შესწავლა, კვლევა და ანალიზი,
- პოსტსაბჭოთა საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში პოლიტიკური ლიდერის როლისა და ფუნქციის კვლევა;
- პოლიტიკური კულტურის თავისებურებები ებრაულ საზოგადოებაში და ლიდერის როლი ამ საზოგადოების ინტეგრაციაში;
- ძირითადი ფაქტორების გამოვლენა, რომელიც მოქმედებს ებრაული საზოგადოების ინტეგრაციასა და ქართული საზოგადოების დეზინტეგრაციაზე.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმები და ამ პროცესში ლიდერის როლისა და ფუნქციის არსი. **კვლევის ობიექტს** წარმოადგენს ორი ქვეყნის – საქართველოსა და ისრაელის პოლიტიკური ელიტისა და პოლიტიკური ლიდერის ფენომენის თავისებურებების და განსხვავებული პოლიტიკური კულტურის პირობებში მათი ქმედებების მოტივაციის, პოლიტიკის განხორციელების საშუალებების და მიღებული შედეგების კვლევა.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი განპირობებულია მისი დისციპლინათაშორისი ხასიათით და დაფუძნებულია ბ. ვებერის, გ. ალმონდის, დ. მაკგრეგორ ბერნსისა და ჰ. ჰაიფეცის კონცეფციებზე. აღნიშნული მეთოდოლოგიური საფუძველი საშუალებას იძლევა პოლიტიკური ლიდერის ფენომენი პოლიტიკის მეცნიერების ჭრილში ყოველმხრივ იქნას განხილული, როგორც კომპლექსური, მრავალწახნაგოვანი მოვლენა.

განსახილველი ფენომენის კომპლექსურობიდან გამომდინარე, კვლევისას გამოყენებულ იქნა შემდეგი ზოგადთეორიული და ემპირიული **მეთოდები**: აბსტრაქტულიდან კონკრეტულამდე დასვლა, პოლიტიკური და ისტორიული მეთოდები, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, შედარებითი მეთოდი. ნაშრომის ემპირიული კვლევის ბაზას წარმოადგენს თვისებრივი – ჩადრმავებული სტრუქტურირებული ინტერვიუების მეთოდი.

ნაშრომის ჰიპოთეზა: საზოგადოების კონსოლიდაცია სახელმწიფოებრივი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. ამ პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭება პოლიტიკურ ლიდერს. ზოგ ლიდერს ძალუმს მოახდინოს ერის კონსოლიდაცია, ზოგმა კი თავისი მოღვაწეობით შეიძლება ხელი შეუწყოს საზოგადოების სტრატეგიფიცირებას და გახლეჩას, რაც უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფოს მდგრადობაზე, აღმშენებლობასა და განვითარებაზე

საკვლევი კითხვები:

- რა ფაქტორები მოქმედებენ პოლიტიკური ლიდერის ფორმირებაზე და რა კავშირია საზოგადოების პოლიტიკურ კულტურასა და პოლიტიკური ლიდერის ფორმირებას შორის?
- რა თავისებურებებით ხასიათდება პოლიტიკური ლიდერის მოღვაწეობა საქართველოსა და ისრაელში?
- რა ფაქტორები მოქმედებენ ისეთი პოლიტიკური ლიდერის ფორმირებაზე, რომელსაც ძალუმს საზოგადოების კონსოლიდაცია?
- რა გავლენა მოახდინეს ქართველმა და ებრაელმა პოლიტიკურმა ლიდერებმა სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე და როგორ შეუწვეს ხელი სახელმწიფოს დემოკრატიზაციის და პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე. კვლევაში შევეცადეთ მოგვეხდინა „პოლიტიკური ლიდერის“ ცნების ახლებურად გააზრება და პირველად ქართულ პოლიტიკურ მეცნიერებაში, საქართველოსა და ისრაელის მაგალითზე, განგვესაზღვრა პოლიტიკური ლიდერის ტიპოლოგიის კანონზომიერებები, გამოგვევლინა პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუციონალური მახასიათებლები და დაგვემტკიცებინა, რომ მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობის უზრუნველყოფის შემთხვევაში, პოლიტიკური ლიდერობა პოლიტიკური ხელისუფლების მნიშვნელოვან ინსტიტუტად იქცევა, რომ უკანასკნელ პერიოდში ხდება პოლიტიკური ლიდერობის მოდელის ტრანსფორმაცია, რაც

განპირობებულია სრულიად განსაკუთრებული ისტორიული პროცესებით და განსაზღვრავს ლიდერის მოქმედების სპეციფიკას. ნაშრომში აგრეთვე შევეცადეთ განგვესაზღვრა პოლიტიკური მანიპულაციის საშუალებები, როგორც მიზნის მიღწევის მექანიზმი. ქართველი და ებრაელი პოლიტიკური ლიდერების პიროვნული, პოლიტიკური პროცესების და ისტორიული ვითარების შეფასების და შედარების გზით, შევეცადეთ გაგვეანალიზებინა მათი მოღვაწეობის თავისებურებები და ქვეყნისათვის მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგები.

თემის შესწავლის მდგომარეობა

თვით პოლიტიკური ლიდერობა პოლიტიკის მეცნიერების ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს. ჯერ კიდევ პლატონი, არისტოტელე, ციცერონი, პლუტარქე, ნ. მაკიაველი, თ. ჰობსი, ჟ.ჟ. რუსი, კ. მარქსი, ნ. ბერდიავი, ზ. ფროიდი, მ. ფუკო და სხვ. თავის შრომებში ლიდერობის არსს, მისთვის დამახასიათებელ თვისებებს და ლიდერად ჩამოყალიბების მექანიზმებს განიხილავდნენ. გამჭოლ თემას წარმოადგენს ლიდერობის ცალკეული ასპექტები ფ. ნიცშეს შემოქმედებაშიც. გარკვეულწილად ლიდერობის თემას განიხილავს თ.კარლეილემი, ნ.კ. მიხაილოვსკი. ლიდერობის პრობლემატიკა, როგორც მრავალწახნაგოვანი მოვლენა განიხილება ჟ. ბოდენის, ჟ. ლე გოფის, სოციოლოგ პ. სოროკინის, ფსიქოლოგ გ.ლებონის, ს. მოსკოვიჩის, გ.ტარდის, ე. ფრომის გ. ერიქსონის ნაშრომებში.

პ. არენდტის, რ. დალის, მ. ჯილასის, ე. კანეტის, ა. ლეიფჰარტის, გ. ლასუელის, კ. მანჰეიმის, ჩ. მილდსის, პ. ორტეგა-ი-გასეტის, ვ. რაიჰის, იუ. ჰაბერმასის, ფ. ჰაიეკის და სხვ. მათ შრომებს შენარჩუნებული აქვთ თანამედროვე პოლიტიკური კვლევისთვის გამოსადეგი თეორიულ-მეთოდოლოგიური და პოლიტიკურ-პრაქტიკული ღირებულება და აქტუალობა.

პოლიტიკური ლიდერის ფენომენის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მ. ვებერმა და უ. ლიპმანმა. XX საუკუნის 70-იან წლებში ლიდერობის თემას აქტიურად სწავლობდნენ დასავლელი პოლიტოლოგები: დ. მაკგრეგორ ბერნსი, ჟ. ბლონდელი, კ. გრინტი, გ. გიუნტერი, დ. დეიჯი, ბ. კოლერმანი, კ. კლენკე, ჯ. პელე, რ. თაკერი, რ. ჰეიფიცი.

პოლიტიკური ლიდერის ტიპოლოგიის საკითხებით დაკავებულები იყვნენ რ. თაკერი, მ. ჰერმანი, რ.ჟ. შვარცენბერგერი, ე.ბ. შესტოპალი, ბ.დ. პარიგინი, ლ.ი. უმანსკი და სხვ. ხელისუფლების ინსტიტუციონალურ ასპექტებს განიხილავდნენ რ. დალი, გ. ალმონდი, მ. დოგანი, ვ.ი. გელმანი ჰ. ლინცი, პ. შარანი და სხვ.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ თეორიების მრავალფეროვნება და პოლიტიკური ლიდერობის მრავალრიცხოვანი განსაზღვრებები ართულებს მისი, როგორც პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტის ბუნების ინტერპრეტირებას. ბოლომდე არ ირკვევა პოლიტიკური ლიდერობის ეფექტურობა/არაეფექტურობის, ჭეშმარიტების, ცრუ პოლიტიკური ლიდერობის შედეგები.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ლიდერთა სურათის სრულად წარმოსადგენად პიროვნულ ფაქტორებს (ბიოგრაფიულ მონაცემები და სოციალური წარმოშობა, სტატუსი) უნდა მივაქციოთ ყურადღება, ასევე მის პოლიტიკურ როლს, რომლის განხორციელებაც პოლიტიკურ ლიდერს არსებულმა სიტუაციამ დააკისრა, მის პოლიტიკურ ამოცანებს, ღირებულებების სისტემას და გარემომცველ ინსტიტუტებს.

როგორც მ.ბიჭაშვილი აღნიშნავს „პოლიტიკური ლიდერების ფუნქციონალური ტიპოლოგია უადრესად მრავალწახნაგოვანი შეიძლება იყოს. ლიდერები შეიძლება იყვნენ არსებული პოლიტიკური წესრიგის შემნარჩუნებელი კონსერვატორები და ამას აკეთებდნენ როგორც პატერნალიზმის და პოპულიზმი სხარჯზე (ბისმარკი), ასევე წმინდა იდეოლოგიური მოსაზრებებით (ჰიტლერი, მათ). ლიდერების მეორე ჯგუფი, პირიქით, მომხრეა ცვლილებებისა (ეიზენშაუერი), ოღონდ ერთნი ამას აკეთებენ არსებული ვითარებების გადასინჯვით (რეიგანი, ტეტჩერი), ხოლო მეორენი კი მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებით“.

პოლიტიკური ლიდერობის საკითხები შესწავლილია ქართველ მეცნიერთა მიერ. ამ მხრივ გამოირჩევა გ.აბესაძის, („თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის ავტორები“ თბ.; 2014); მ. ბიჭაშვილის „ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში“ თბ. 2006; ა. ტუკვაძის („პოლიტიკური ელიტა“ თბ. 1998წ; ა.ტუკვაძის „პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგია“ თბ. 2000წ), ი. უბილავას („პოლიტიკური ელიტის ფორმირება და ცირკულაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში“, მ. 2019)

ი. სულაბერიძის („Политическая элита Грузии (природа, ценности, условия формирования, [http://politeia.ru/files/articles/rus/2001\(4\)-173-180.pdf](http://politeia.ru/files/articles/rus/2001(4)-173-180.pdf)),

ლ. ნიკოლეიშვილის და თ. კიკნაძის და („პოლიტიკური ლიდერის ფენომენის თავისებურებები პოსტსაბჭოთა საქართველოში “RS Global Journals <editorial_office@rsglobal.pl> და სხვ.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ძალზე არსებითია, რადგანაც ახალგაზრდა განვითარებადი დემოკრატიისათვის პოლიტიკური ლიდერის ფენომენის და საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში მისი როლის შესწავლა საქართველოს და ისრაელის პოლიტიკური ლიდერების მაგალითზე საკმაოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ მიერ საკითხის შესწავლისა და კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები საშუალებას იძლევა გაგებული და გააზრებული იქნას პოლიტიკური ლიდერის როლი საზოგადოების ინტეგრაციისა და შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესში.

ჩვენი ნაშრომის საფუძველზე შეიძლება ჩატარდეს ხსენებული პრობლემის უფრო ღრმა და სერიოზული შესწავლა, მომზადდეს სასწავლო და სპეციალური კურსები.

დისერტაციაში არსებული მასალები და განზოგადებები, სავარაუდოდ, შეავსებს ქართულ პოლიტიკურ მეცნიერულ ლიტერატურაში პოლიტიკური ლიდერისა და საზოგადოების ინტეგრაციის სფეროში არსებულ სიცარიელეს.

თავი I. პოლიტიკური ლიდერის ფორმირების თეორიული საფუძვლები

1.1. პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე ლიდერის ფორმირების თავისებურებები

ნებისმიერ სოციალურ ურთიერთობებში ჩნდება დომინანტური და დაქვემდებარებული ურთიერთობები. ლიდერი არის ის ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ჯგუფის წევრებზე. თუმცა, ლიდერიც განიცდის ჯგუფის გავლენას. ერთი მხრივ, ლიდერის პიროვნება და მისი ქცევის წესი განსაზღვრავს ჯგუფის წევრების ცხოვრებას, მეორე მხრივ, ჯგუფის წევრების ღირებულებები გავლენას ახდენს ლიდერის მოქმედებებზე. პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის შესწავლა აკონკრეტებს და აღრმავებს ცოდნას პოლიტიკური ხელისუფლების შესახებ. თავისი არსით და ფორმით ლიდერობა ძალაუფლების და სახელისუფლებო ურთიერთობების გამოვლინებაა. მართველობით ფუნქცია კონკრეტული პირების – პოლიტიკური ლიდერების მიერ ხორციელდება. სიტყვა „ლიდერი“ ინგლისურად „წამყვანს“, ხელმძღვანელს“, „ხალხის მმართველს“ ნიშნავს. ლიდერების წარმოშობა და ფუნქციონირება – ობიექტური და უნივერსალური მოვლენაა. ნებისმიერი ერთობლივი მოქმედება ორგანიზაციას, მიზნის მიღწევის ოპტიმალური გზების შემუშავებას მოითხოვს. ამ ფუნქციას აქტიური, ავტორიტეტული ადამიანები ასრულებენ. ლიდერობაში იგულისხმება ლიდერების და მიმდევრების ურთიერთქმედების მექანიზმი. ლიდერობის ძირითად ასპექტს წარმოადგენს: 1. ლიდერის უნარი სწორად შეაფასოს სიტუაცია, მოძებნოს არსებული პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები, მოახდინოს ადამიანების მობილიზება გადაწყვეტილებების რეალიზებისთვის; 2. ლიდერის იდეები ადამიანებისთვის მისაღები უნდა იყოს და ისინი მზად უნდა იყვნენ გააზრებულად და ნებაყოფლობით დაემორჩილონ მას.

უძველესი დროიდან თვლიდნენ, რომ ლიდერი ყველა ჩვენთაგანზე მაღლა დგას. ლიდერი ხდება განსაკუთრებული ადამიანი, რომელიც დაჯილდოებულია ღვთიური უნარით, უხელმძღვანელოს ცალკეულ ადამიანებს და ხალხებს. პოლიტიკის მეცნიერების კლასიკოსის მ. ვებერის დამსახურებით ამ უნარს ბერძნული სიტყვა ქარიზმა უწოდეს, რომელიც ლიდერის განსაკუთრებულ

თვისებას აღნიშნავს – ადამიანებს ჩაუნერგოს რელიგიურის მსგავსი მრწამსი. მარტივად რომ ვთქვათ, საუბარია თავისებურ აღმატებულ სიყვარულზე, რომელიც ლიდერმა შეიძლება გამოიწვიოს ბრბოში ან მასებში. ასეთი სიყვარული, თავისთავად, ლიდერის თავის მიმდევრებზე ძალაუფლების გამოვლენაა. ლიდერობაზე მოთხოვნა ყოველთვის არის, მაგრამ ეს მოთხოვნა განსაკუთრებულად მძაფრად კრიზისულ სიტუაციებში, რევოლუციებისა და ომების დროს ვლინდება.

ლიდერობის პრობლემა მრავალი საუკუნის განმავლობაში ყურადღებას იპყრობდა. ჯერ კიდევ ანტიკური ხანის ისტორიკოსები ჰეროდოტე და პლუტარქე აღწერდნენ ლიდერების, მონარქების, გამოჩენილი მოღვაწეების ცხოვრებას და მოღვაწეობას. ანტიკური პერიოდიდან ფილოსოფიური აზრის ისტორიაში შეინიშნება ისტორიულ პროცესებში ადამიანის ადგილის გააზრება. მეცნიერები და მოაზროვნეები, რომლებიც საზოგადოებას იკვლევდნენ, პოლიტიკური ხელისუფლების სათავეში მდგომ პიროვნებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ. ყოველი ფილოსოფიური დოქტრინა თავის განსაკუთრებულ შეხედულებას იძლეოდა ისტორიულ პროცესებზე ლიდერი – ინდივიდის გავლენის შესახებ. მაგალითად, პლატონი „სახელმწიფოში“,² არისტოტელე „პოლიტიკაში“³ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მმართველის პიროვნული თვისებების ანალიზს. შუა საუკუნეებში ნ. მაკიაველი ტრაქტატში „მთავარი“ ხელისუფლების პრობლემას აანალიზებს და მთავრის-ლიდერის სასურველ სახეს ქმნის, რომელიც ნებისმიერი გზით და საშუალებებით აღწევს თავის ერთადერთ სასურველ მიზანს – ხელში ჩაიგდოს და შეინარჩუნოს ძალაუფლება⁴. ამიტომაც ე.წ. „მაკიაველიზმი“ ისტორიაში პოლიტიკური ცბიერების სინონიმად შევიდა.

პოლიტიკური აზრის ისტორიაში ლიდერობის გააზრების შემდგომი ეტაპი იყო თ. ჰობსის „ლევიათანი“. ჰობსმა თავის ნაშრომში ღიად დააყენა ხელისუფლების კანონიერების და საზოგადოებაში ლიდერობის პრობლემა: „სახელმწიფოს ორგანიზმში, – წერდა იგი, – ძალაუფლება, რომელიც შექმნილია სრული გაუცხოების შედეგად, ერთის ან რამდენიმეს სასარგებლოდ, ვინც ამ

² პლატონი, „სახელმწიფო“, თბ. გამომც. „ნეკერი“, 2003 წ.

³ არისტოტელე, „პოლიტიკა“ ტ. 2018 წ.

⁴ ნ. მაკიაველი „მთავარი“, თბ. გამომც. „წიგნის სამყარო“, 2015 წ.

ძალაუფლებას იღებს“.⁵ ჰობსთან მმართველი, ეს არის ადამიანი, რომელიც იმ ადამიანების გავლენის შედეგად, რომლებიც მის გარშემო არიან, გარკვეულ როლს თამაშობს. გარემოცვა ლიდერობის განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით დემოკრატიულ საზოგადოებაში. სახელმწიფოს, ხელისუფლების და ლიდერობის ჰობსისეული თეორია საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ ლიდერობის ფენომენი: ლიდერობის არსს ძალაუფლება წარმოადგენს; ლიდერობის გამოვლენა პიროვნების როლური ფუნქციით ხდება, რომელიც ამ ლიდერის პირად თვისებებზეა დამოკიდებული. ჩვენ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიჰყვება პიროვნებისადმი არა მარტო, როგორც „მე“-ს, არამედ როგორც იდეის მატარებლისადმი, რომელიც მოვლენათა გარკვეული განვითარების შემთხვევაში, ისტორიულ მნიშვნელობას იძენს.

ამგვარად, ლიდერობა კომპლექსური ცნებების რიცხვს მიეკუთვნება. ერთი მხრივ, იგი ლიდერის მხრიდან ახალი იდეების გენერირებას, ადამიანებზე აქტიურ ზემოქმედებას და მათ მართვას მოითხოვს. მეორე მხრივ, იგი ეფუძნება მართული ადამიანების მზადყოფნას გაყვეს ლიდერს.

პოლიტიკური ლიდერი – ეს არის ადამიანი, რომელიც პოლიტიკურ პროცესებს ხელმძღვანელობს, გავლენას ახდენს ინდივიდების, ჯგუფების, ფენების და მთლიანად საზოგადოების სოციალურ ქცევაზე. ამასთან ის პოლიტიკის არა მარტო სუბიექტი, არამედ ობიექტიც არის. სხავადსხვა პრობლემების გადაჭრისას, ლიდერი ყოველთვის განიცდის სხვადსხვა დაინტერესებული მხარეების ზეწოლას და მზად უნდა იყოს მათი მოთხოვნების აღქმისა და რიგი კომპრომისებისათვის. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მსხვილი მასშტაბის პოლიტიკოსები უფრო ხშირად საზოგადოებრივი განვითარების კრიზისულ, გარდამტეხ პერიოდში ჩნდებიან. ისინი აყენებენ პროგრამებს, რომლებიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს გადალახოს სირთულეები, სტიმულს აძლევს ობიექტურად მომწიფებულ პროცესებს. ასე, მაგალითად, აშშ პრეზიდენტი ფ. რუზველტი ხელმძღვანელობდა ქვეყნის კაპიტალიზმის ისტორიაში ყველაზე უფრო ღრმა კრიზისიდან გამოსვლის პროგრამის მომზადებას და ცხოვრებაში გატარებას. იგი გამოვიდა გაეროს შექმნის კონცეპციით და ბევრიც გააკეთა ამ ორგანიზაციის შექმნისთვის.

⁵ Гобс Т. „Левиафан“, изд. Рипол-Классик, 2017 гб. 45

პიროვნება პოლიტიკის ძირეულ სუბიექტს წარმოადგენს, რამდენადაც ყველა პოლიტიკური ძალა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა გაერთიანებაა. პოლიტიკაში ადამიანის სუბიექტურობა გამომდინარეობს მისი უნარებიდან, შესაძლებლობებიდან და მოთხოვნილებიდან, თავისი ინტერესების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ცხოვრებაში. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებიდან განსახვავებით, პოლიტიკაში ადამიანი თავის პოლიტიკურ ინტერესს ახორციელებს.

თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში, ლიდერობა არაერთგვაროვნად ხასიათდება. მის განმარტებაში გამოყოფენ შემდეგ მიდგომებს:

მშვიდობიან სიტუაციებში სტაბილურ პოლიტიკურ სისტემებში, პოლიტოლოგები ამჯობინებენ ილაპარაკონ ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ ელექტორატის ნდობასა და სიმპატიებზე, ამასთან მისი ზეგავლენის დონე რეიტინგების საშუალებით გაიზომება. მაგრამ მაინც ლიდერების თავის მიმდევრებზე გავლენის მოდელის არსი იგივე რჩება – ეს არის რჩეული (არა აქვს ამას მნიშვნელობა ის ღმერთის ან მოქალაქეების რჩეულია თუ თავისი ლეგიტიმურობა, როგორც მონარქმა, მემკვიდრეობით მიიღო). და, თუ ეს ასეა, ის გამოირჩევა ჩვეულებრივი ადამიანებისაგან, მათგან განსხვავებულია. ისმის კითხვა – ეს ადამიანების რაღაც განსაკუთრებული სახეობაა?

მეორე მოდელი შეიძლება იყოს – ლიდერი ჩვენზე უარესია. ეს მოდელი ამერიკელი პოლიტოლოგის ა. ადლერის მიერ იქნა შემუშავებული, რომელმაც მიიჩნია, რომ ლიდერის ხელისუფლებისაკენ სწრაფვა არა მის განსაკუთრებულ ღირსებებთან არის დაკავშირებული, არამედ პირიქით – მის არასრულყოფილებასთან, ტრამვებთან და კომპლექსებთან. მას ძალაუფლება სწორედ იმისთვის ჭირდება, რომ მან ეს კომპლექსები გადალახოს და სხვებამდე ამაღლდეს. გამოდის, რომ ლიდერი სხვაზე უკეთესი კი არ არის, არამედ, პირიქით, – უარესი და არაღირსეული, მაგრამ იღებს რა ძალაუფლებას, ის იღებს სტატუსსაც, რაც მას სხვა ადამიანებზე მაღლა აყენებს. ამავდროულად, ის კომპლექსებისაგან თავისუფლდება“.⁶ თანამედროვე კვლევებში, ამ თვალსაზრსმა გარკვეული დადასტურება ჰპოვა. მაგალითად, ამერიკელი პოლიტიკური ფსიქოლოგი ჯ.

⁶ Adler, Alfred. *What Life Could Mean to You*. 1998, Hazelden Foundation. Center City, Minnesota: Hazelden. 58–59.

ბარბერი თავის წიგნში „კანონმდებლები“ ამტკიცებს, რომ ამერიკელი კონგრესმენების თითქმის მეოთხედი პიროვნული დარღვევების სხვადასხვა ფორმით - ნევროზებით, ალკოჰოლიზმით და ა.შ. არიან დაავადებული. ჯ. ბარბერს მიაჩნია, რომ სწორედ ამ დეფექტებს მიჰყავთ ისინი ძალაუფლებისაკენ.⁷

ამ ტრადიციის ჭრილშია ფორმულრებული გამოჩენილი ფრანგი მკვლევარის ივ. კოენის მოსაზრება წიგნში „ლიდერების საუკუნე“. მას მიაჩნია, რომ პოსტინდუსტრიულ, გლობალიზებულ სამყაროში ლიდერები საჭირო აღარ არიან. მათი არსებობა აუცილებელი იყო XX საუკუნის მასობრივ ინდუსტრიულ საზოგადოებაში. მაგრამ დღეს პოლიტიკას ცალკეული ინდივიდები და ბრბოც კი ახორციელებს, მაგალითად, როგორც ეს მოხდა „არაბული გაზაფხულის“ ან სტამბულში „ბრბოს დგომის“ დროს. ივ.კოენი ლაპარაკობს “დემოკრატიაზე ხელმძღვანელების მეთაურობით, რომლებიც იძულებულები არიან თანაიცხოვრონ ბრბოსთან, ლიდერის გარეშე“. იგი ამ ფენომენს უკავშირებს პოლიტიურ არენაზე პრინციპულად ახალი სოციალური ჯგუფების გამოჩენას და ხელისუფლებასთან მათ ახლებურ კომუნიკაციას.“⁸ თეზისი „ლიდერის სიკვდილის“ შესახებ, უფრო სწორედ, მისი „ფუნქციის სიკვდილის“ შესახებ, დღეს დასავლურ ლიბერალულ პოლიტიკურ მეცნიერებში ძალზე პოპულარულია. მიმდევრების როლის გაზრდასა და, შესაბამისად, ლიდერის ფუნქციის შემცირებაზე ლაპარაკობს ამერიკელი პოლიტოლოგი ბარბარა კელერმანიც თავის ცნობილ წიგნში „ლიდერის მიმდევრები.“⁹

ზემოთ აღწერილი ლიდერისადმი ნორმატიულ-მორალიტური მიდგომისგან განსხვავებით, ნ.მაკიაველიმ თავის ცნობილ წიგნში „მთავარი“ გვიჩვენა, რომ ლიდერისათვის მთავარია ხელისუფლების პრაგმატული შენარჩუნების საკითხი, განსაკუთრებით ცვლილებების და არასტაბილურობის პირობებში. ნ.მაკიაველი დარწმუნებული იყო, რომ, თუ საქმე ხელისუფლებას შენარჩუნებას ეხება ეშმაკობა და სისასტიკე სრულიად დასაშვებია და აუცილებელი ინსტრუმენტებია, რადგანაც ხელისუფლების შენარჩუნება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე

⁷ Barber J. Presidential Character. N. Y.: Harper, 1972. P. 10.

⁸ Yves Cohen. Le siècle des chefs. Une histoire transnationale du commandement et de l'autorité (1890—1940). — Paris: Éditions Amsterdam, 2013. 871 p.

⁹ Followership: How Followers Are Creating Change and Changing Leaders (ISBN 1422103684)

სამართლიანობის და წესიერების საკითხი. მაიკაველის ამ იდეებმა მანიპულატორული ხასიათის ლიდერის განსაზღვრისას, მისი სახელი საზოგადოდ აქცია.

XIX საუკუნის შუა წლებიდან ფილოსოფოსებმა, სოციოლოგებმა და სოციალურმა ფსიქოლოგებმა თავისი ყურადღების კონცენტრირება მოახდინეს იმაზე, თუ, როგორ ჩნდებიან ჯგუფში ლიდერები და როგორ ურთიერთქმედებენ ისინი სხვა ადამიანებთან.

ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ მექანიზმად, რომელსაც თავის მიმდევრებზე ლიდერის ზეგავლენა ემყარება, აღიარებულ იქნა ნება. გერმანული ფილოსოფიის კლსიკოსმა ფ. ნიცშემ ერთ-ერთმა პირველმა გამოაცხადა ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ნება ისტორიის მამოძრავებელ ძალად. ის ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ნებას ხედავდა ლიდერების შემოქმედებით ინსტიქტში, რომლებიც არა მარტო გაუმადლრად იღწვიან ძალაუფლებისათვის, არამედ მათ უნდა გადალახონ ბრბოს ინსტიქტი, რისთვისაც არადამიანურ თვისებებს უნდა ფლობდნენ.

ამგვარად, ნიცშემ პირველად ჩამოაყალიბა ორი თეზისი, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვეს პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში. პირველი თეზისი „ლიდერობის როგორც ირაციონალურ, ინსტიქტურ ძალის ბუნებას ეხება, რომელიც ლიდერს და მის მიმდევრებს აკავშირებს. მეორე თეზისი ლიდერს განსაკუთრებულ თვისებებს აწერს, რომელიც მას „ზეადამიანად“ აქცევს.“¹⁰

ლიდერობის ახსნის ეს მიდგომა ახლობელი იყო XIX საუკუნის ბოლოს ევროპული სიციალური ფსიქოლოგიის და სოციოლოგიისათვის. ისეთი ფსიქოლოგებისათვის, როგორებიცაა გ. ლებონი, გ. თარდი, ს. სიგელე, ვ. ვუნდტი. თითოეული თავისებურად და მთლიანობაში ერთმანეთის მსგავსად ხსნიდნენ პოლიტიკურ ლიდერობას, როგორც ირაციონალურ ფენომენს, რომელიც ლიდერებს და მათ მიმდევრებს აერთიანებს. გ. ლებონი, როგორც ფ. ნიცშე ლიდერის ნებაში იმ „ბირთვს“ ხედავდნენ, რომელშიც აზრი კრისტალიზდება და ერთიანდება“. სანამ ეს არ მოხდება, ლიდერი ბრბოს მართავს, როგორც მონების ფარას, რომელსაც არ

¹⁰ Фридрих Ницше, «Подение Кумиров», изд. «Лениздат», 2013 ст.56

შეუძლია არსებობა მბრძანებლის გარეშე.¹¹ ლიდერობისადმი ამ მიდგომაში შეფარულად იგრძნობა ორმაგი შეხედულების არსებობა ლიდერობის ფენომენის შესახებ – რაციონალურ-ნებელობითი და, ამავდროულად, ინსტიქტური (ირაციონალური). მეორე ასპექტი ჭარბობს პირველს და წამყვან ფუნქციას მრწამსს ანიჭებს, რომელიც მიმდევრებს გადაეცემა. ამასთან, ლებონი რელიგიურ და პოლიტიურ ან სოციალურ რწმენას შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავს.

გ. ტარდი ამ მოდელს ზემოქმედების კიდევ ერთ ინსტრუმენტს ამატებს – ლიდერებისადმი მიმდევრების მიმბაძველობას. ზ. ფროიდი ლიდერის მასაზე გიპნოზური, თავბზუსაქონი ზემოქმედების იდეას ავითარებს. ლებონის წიგნმა მასზე ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მან სპეციალური ნაშრომიც კი დაწერა და მასთან პოლემიკაში შევიდა.¹² იგი თვლიდა, რომ ლიდერის ბუნება განსაკუთრებულ, გიპნოზისმაგვარ თვისებებთან არის დაკავშირებული. ფროიდი პოულობს იმ მექანიზმების საწყისს, რომლის საშუალებითაც ხდება ზემოქმედება - ყველა ადამიანის მოთხოვნილებაა ეთაყვანოს ავტორიტეტს. ეს კი მამის მონატრებით არის გამოწვეული.

XX საუკუნის მეორე ნახევრის და XXI საუკუნის დასაწყისის ლიდერობის ინტერპრეტირებაში ბევრი ახალი შეტანეს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ფსიქოლოგების წვლილი, რომლებმაც ლიდერობის ფენომენის კვლევაში პიროვნების თეორიის სხვადასხვა ვარიანტები შემოიტანეს. მათ აქცენტი სწორედ ლიდერის პიროვნების, მისი იმ თვისებების გაგებაზე გააკეთეს, რომლებიც მას ორგანიზაციის, პარტიის ან სახელმწიფოს ხელმძღვანელად აქცევს. ფსიქოლოგები დიდ ყურადღებას უთმობენ, აგრეთვე, პიროვნების ცალკეულ სრტუქტურულ კომპონენტებს (მოტივებს, მოთხოვნილებებს, ნებას, ემოციებს, ტემპერამენტს, ჯანმრთელობას, ხასიათს, სტილს, თვითშეფასებას და სხვ.)

არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სოციალური ფსიქოლოგების წვლილი ლიდერის ქცევის მრავალრიცხოვან ექსპერიმენტულ კვლევებში. საკმაოდ ბევრი ნაშრომებია მასობრივი სტიქიური ქცევის ფსიქოლოგიის შესახებ, სადაც

¹¹ Лебон Г. Психология народов и масс. СПб.: Макет, 1995; Сигеле С. Преступная толпа. СПб., 1986; Михайловский Н. К. Герои и толпа. СПб., 1882. გვ. 34

¹² Фрейд З. Психология масс и анализ человеческого «Я». М.: Изд-во «Современные проблемы» Н. А. Столяра, 1926.

განსაკუთრებული ადგილი ლიდერს ეთმობა. თუმცა პოლიტიკური ლიდერის სპეციფიკა შრომებში პიროვნების და ჯგუფური და მასობრივი ქცევის შესახებ გამოყოფილი არ არის.

ფსიქოლოგებისაგან განსხვავებით, რომლებიც აქცენტს ლიდერსა და მასას შორის ურთიერთობებზე აკეთებდნენ, სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის კლასიკოსებმა ვ.პარეტომ, ვ.მიხელსმა, გ.მოსკამ, მ.ვებერმა თავიანთი კვლევის ფოკუსად აქციეს პოლიტიკური ძალაუფლება, როგორც ლიდერობის წყარო. მ.ვებერი თვით პოლიტიკას ლიდერობის პრიზმიდან განსაზღვრავს, რომელიც თავის მხრივ, ძალაუფლებით, როგორც ლიდერის მთავარი ღირებულებით ისაზღვრება. ლიდერობის სოციოლოგიური ინტერპრეტირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიდერის ძალაუფლების სოციალური და არა მხოლოდ ინდივიდუალური ფენომენის განხილვა. ეს მიდგომა ყველაზე უფრო ნათლად გამოხატა გ.მოსკას ნაშრომმა „მმართველი კლასი“. ვ. პარეტო კი გვიჩვენებს ლიდერის სტილის სოციალურ დაკვეთაზე დამოკიდებულებას, რომელსაც ორი ძირითადი ტიპის ლიდერის გაგებამდე მივყავართ: მამაც, მაგრამ სწორხაზოვან „ლომებამდე“ და ეშმაკ და დიპლომატიურ „მელიებამდე“. სოციოლოგიური ინტერპრეტირების კიდეც ერთ თავისებურებას სიტუაციის, და ფაქტორის, როგორც ლიდერის ქცევის განმაპირობებელის გამოყოფა წარმოადგენს.

უკანასკნელი ათწლეულების პოლიტიკის მეცნიერება, როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, პოლიტიკური ლიდერის ფენომენის შესასწავლად თეორიულად ცუდად აღჭურვილი აღმოჩნდა. მხოლოდ მის ერთ სუბდისციპლინაში – პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში შრომებმა ლიდერობის შესახებ, ცენტრალური ადგილი დაიკავეს. დღეს ვერც ერთი მკვლევარი ვერ აუვლის გვერდს ისეთ პოლიტიკურ ფსიქოლოგებს როგორებიც არიან, გ. ლასუელი (მან ამ პრობლემის შესწავლა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო), ალექსანდრე და ჯულიეტ ჯორჯები, რომლებმაც ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის ბიოგრაფია შექმნეს (1956), კ. შუმახერი, რომელმაც კ. ადენაუერის პიროვნება შეისწავლა (1965), აგრეთვე ჯ.მ. ბერნსი, რ. თაკერი, კ. მონრო, ფ. გრინსტაინი, მ.ჰერმანი, დ. უინტერი და ა.შ.

ლიდერის ფენომენი უძველესი დროიდან არსებობდა, სახელმწიფოების წარმოშობამდე კი, ვინაიდან ნებისმიერ საზოგადოებას ახასიათებს იგი. თუმცა, პოლიტიკური ლიდერის ფენომენი უკავშირდება სახელმწიფოს წარმოშობას და მის განვითარებას. შესაბამისად, თანამედროვე პოლიტიკურ, თუ სხვა ფილოსოფიაზე, საუბრისას ძნელია არ დავუბრუნეთ იმ საწყისებს, როდესაც იგი წარმოიშვა. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, „ჩვენ იძულებულნი ვართ ფილოსოფიაში, ისევე როგორც, მრავალ სხვა დარგში, მუდამაც დავუბრუნდეთ იმ პატარა ხალხის მიღწევებს, რომლის უნივერსალურმა ნიჭმა და მოღვაწეობამ კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ისეთი ადგილი დაიმკვიდრა, როგორსაც ვერცერთი სხვა ხალხი ვერ დაიჩემებს. ბერძნული ფილოსოფიის მრავალფეროვან ფორმებში ჩანასახის სახით უკვე მოიპოვება შემდეგი დროის მსოფლმხედველობათა თითქმის ყველა სახეები“.¹³ ამას ადასტურებს პლატონის შეხედულებები, რომელიც ჯერ კიდევ ძვ.წ. V საუკუნეში თვლიდა, რომ ლიდერობა იმ ადამიანს შეეძლო, ვისაც თანდაყოლილი სწრაფვა ჰქონდა ცოდნის დაუფლებისკენ, ახასიათებდა სიმართლის სიყვარული, სამართლიანობა და კეთილშობილება, რადგანაც ლიდერები ჰვრეტენ მარადიულობას, რომელიც არ წარმოშობს უსამართლობას. არისტოტელე, ამის მსგავსად, ფიქრობდა, რომ მმართველი სხვებისაგან გამოირჩევა განსჯადობით.

ამის შემდეგ, პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრების განვითარება კანონზომიერად იწვევდა ლიდერის ფენომენის ევოლუციას, რთულდებოდა მისი იერარქია. შესაბამისად, ცალკეული ეპოქისთვის სხვადასხვა ტიპის ლიდერი იყო დამახასიათებელი, რასაც განაპირობებდა სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური გარემოებები. ცვლილებები და ლიდერის ფენომენის ევოლუცია განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდება თუ შევხედავთ მაკიაველის იდეებს, რომელიც, პლატონიდან დაახლოებით 20 საუკუნის შემდეგ, ამოდის არა ფილოსოფიური საფუძვლებიდან, არამედ რეალური პრაქტიკიდან და განაცხადებს, რომ პოლიტიკური ლიდერის მთავარი საზრუნავი პოლიტიკური წარმატება უნდა იყოს და არა ზენობრივ სრულყოფაზე დღენიადაგ ზრუნვა. მაკიაველმა განმარტა პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ორ საწყისს უნდა ისისხლხორცებდეს, ესენია:

¹³ ენგელსი ფ. ბუნების დიალექტიკა, „სახელგამი“. თბ. 1954. გვ. 35

მელიის გამჭრიახობა და ლომის სიძლიერე, რადგან „ლომს არ შეუძლია თავი დაიცვას გველისგან, მელას – მგლებისგან“.¹⁴

მას შემდეგ, მრავალმა მეცნიერმა გააანალიზა „ლომებისა“ და „მელიების“ სტრატეგია, როგორც პოლიტიკური ლიდერის ფენომენი და მათ შორის იყო ვილფრედ პარეტო, რომელმაც „ელიტათა წრებრუნვის თეორიაში“ დიდი ადგილი დაუთმო ამ ორი ტიპის კლასის მმართველობას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მაკიაველი პოლიტიკურ ლიდერს უწოდებს „მთავარს“, სხვაგან უწოდებენ „დიქტატორს“, „ტირანს“, „მონარქს“ და ა.შ. შესაბამისად, პოლიტიკურ ლიდერს შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვანაირად მოიხსენიებდნენ. იმისათვის, რომ, სწორად გავერკვეთ აუცილებელია გავმიჯნოთ თუ ვის ვუწოდებთ ლიდერს. იგი არის იერარქიის სათავეში მყოფი პირი თუ რეალური ძალაუფლების მქონდე ადამიანი? მაგალითად, ამირან ბერძენიშვილის აზრით, იგი ძალაუფლების ფენომენია და ამას დაასტურებს ჟ. ბლონდელის სიტყვებით რომ „ლიდერობა – ესაა ძალაუფლება, იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს მწვერვალზე მყოფი ერთი ან რამდენიმე პირის უნარს, აიძულოს სხვები გააკეთოს ის პოზიტიური ან ნეგატიური, რასაც ისინი არ გააკეთებდნენ ან საბოლოო ჯამში, შეეძლოთ არ გაეკეთებინათ საზოგადოდ“.¹⁵ ხოლო ბიჭაშვილის შეხედულებით, კი „პოლიტიკური ლიდერი არ არის აუცილებლობად პოლიტიკური იერარქიების სათავეში მყოფი პირი. ეს კი ხდება არა იმიტომ, რომ ლიდერის ფენომენი გამორიცხავს ხელისუფლების სათავეში ყოფნას ან იერარქიულობას, არამედ უპირველესად იმის გამო, რომ ლიდერის ცნებას გამოკვეთილი ოპერაციონალისტური ხასიათი აქვს. პოლიტიკური ლიდერი არის პოლიტიკოსი ქმედებაში, სულ ერთია ეს პოლიტიკოსი უმაღლესი ხელისუფალია თუ არა. პოლიტიკური ლიდერის ცნება გვიჩვენებს, თუ რა ფუნქციის მატარებელია, რა სამუშაოს ასრულებს ესა თუ ის სუბიექტი და არა იმას, თუ როგორია მისი სტატუსი.“¹⁶ ამიტომ აუცილებელია განვასხვავოთ პოლიტიკური ლიდერი და უმაღლესი ხელისუფლების წყაროს ცნებები. „დიდ ბრიტანეთში, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაური – მეფე – მხოლოდ ფორმალური და ცერემონიალური ლიდერია ქვეყნისა მაშინ, როდესაც სახლმწიფოს პოლიტიკური ლიდერი რეალურად არის პრემიერ-მინისტრი, რომელიც

¹⁴ მაკიაველი ნ. მთავარი, „ბაკურ სულაკაური“, თბ. 2010.

¹⁵ ბერძენიშვილი ა. პოლიტიკური სოციოლოგია. „ინტელექტი“. თბ. 2011. გვ. 282

¹⁶ ბიჭაშვილი მ. *ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში*, „ნეკერი“, თბ. 2001, გვ. 25.

იმავედროულად მმართველი პარტიის ლიდერიც არის. მსაგვსი ვითარებაა პოლიტიკურ ლიდერებთან დაკავშირებით ევროპის ყველა იმ ქვეყანაში, სადაც შემორჩენილია მონარქია ან სადაც ე.წ. საპარლამენტო სახელმწიფოები არსებობს. ასეთ ქვეყნებში პრეზიდენტები, მონარქების მსგავსად, მხოლოდ ნომინალური ნაციონალური ლიდერები არიან, როგორც, ვთქვათ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც თავის დროზე ადენაუერმა სხვადასხვა პოლიტიკური მანევრით მარჯვედ შეზღუდა ქვეყნის პრეზიდენტის უფლებამოსილება.¹⁷ საუკუნეების განმავლობაში, ცხადი იყო თუ ვინ გახლდათ პოლიტიკური ლიდერი ამა თუ იმ ქვეყნის, თუმცა დღესდღეობით ლიდერისა და ხელმძღვანელის თანაფარდობა სხვადასხვაგვარად იჩენს თავს პოლიტიკურ პრაქტიკაში და შესაძლოა, ზოგჯერ ერთი ადამიანი ითვისებდეს ორივე ფუნქციას (მაგ. რუსეთი.) ან გაყოფილი იყოს რამდენიმე ადამიანს შორის, როგორც ზემოთ ვახსენეთ დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში. ამრიგად, პოლიტიკური ლიდერს, შესაძლოა, იერარქიის განსხვავებულ საფეხურზე მდგომი ადამიანები წარმოადგენდნენ სხვადასხვა მმართველობის ტიპის სახელმწიფოებში. ზოგჯერ შეიძლება ეს იყოს პრემიერ-მინისტრი, ზოგჯერ პრეზიდენტი, მონარქი, იმპერატორი და ა.შ. შესაბამისად, პოლიტიკურ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ცნებებს „ლიდერი“ და „ხელმძღვანელი“. მაგრამ როგორ ხდება მათი ჩამოყალიბება? ლიდერობის უნარი ადამიანებს დაბადებიდან თან ახლავს თუ იგი სოციალიზაციის შედეგია? მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ლიდერი სპეციფიკური „ბუნებრივი შერჩევის“ პროდუქტია და მისი გამოჩენა სამოღვაწეო ასპარეზზე სტიქიურად ხდება. მაშინ, როდესაც, ხელმძღვანელი გაცნობიერებული „შერჩევის“ პროდუქტს წარმოადგენს. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკური ლიდერები იბადებიან, ხოლო ხელმძღვანელები ყალიბდებიან. ეს შეხედულება მომდინარეობს „ლიდერობის თვისებათა“ თეორიიდან, რომელსაც საფუძვლად უდევს მე-19, მე-20 საუკუნის გერმანული ფსიქოლოგია. მათი მიმდევრები თვლიან, რომ ლიდერი შეიძლება გახდეს მხოლოდ განსაკუთრებული ინდივიდუალური თვისებების ქონის შემთხვევაში, რომელიც დაბადებიდან გააჩნია ადამიანს. ამერიკელი პოლიტიკური სოციოლოგის ე. ბოგარდესის აზრით ასეთი გახლავთ „ხუთი თვისება, რაც უნდა გააჩნდეს ლიდერს. ეს არის წარმოსახვის ძალა, სოციალურ ხდომილებათა წინასწარ

¹⁷ ბიჭაშვილი მ. ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. „ნეკერი“, თბ. 2001. გვ. 26.

განჭვრეტისა და გათვალისწინების უნარი, მოქნილობა, მრავალმხრივობა და თავშეკავების უნარი.“¹⁸

ბერტრან რასელი, განასხვავებს რა პოლიტიკურ ლიდერს ხელისუფა-ლისაგან, აღნიშნავს, რომ „ლიდერის პოზიციის მოსაპოვებლად პიროვნება უნდა აღემატებოდეს ხელისუფალს ისეთი ნიშნებით, როგორიცაა – თავდაჯერებულობა, სწრაფი და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი. რითაც ხაზს უსვამდა, სწორედ, ლიდერის განსაკუთრებულ თვისებებისა და უნარების მნიშვნელობას მის ჩამოყალიბებაში.

ამ თეორიის მომხრე გახლდათ ასევე რობერტ მიხელსი, რომელიც ლიდერს მიაწერდა ისეთ უნარებს, როგორიცაა ძლიერი ნებისყოფა, შედარებით ფართო ერუდიცია და სხვ.

თუმცა, დროთა განმავლობაში, ლიდერობის „თვისებათა თეორიამ“ ვერ უზრუნველყო სრულყოფილად აეხსნა თუ როგორ ხდება ლიდერის ფენომენის წარმოშობა, ვინაიდან ერთი და იგივე ნიშანთვისებებისა და უნარების მქონდე ადამიანი შეიძლება ერთ საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს როგორც პოლიტიკური ლიდერი, მაგრამ, მეორეში, საერთოდ ვერ დაიკავოს იერარქიის მნიშვნელოვანი საფეხურიც კი. შესაბამისად, საჭირო გახდა ახალი მიდგომებისა და თეორიების ძიება, რათა აეხსნათ თუ რა განაპირობებს პოლიტიკური ლიდერის ფორმირებას თანამედროვე ეტაპზე და სულ უფრო და უფრო პოპულარული გახდა „სიტუაციური თეორია“, რომელმაც კი არ უარყო „თვისებათა თეორიის“ დებულებები, არამედ გარკვეული ცვლილებები შეიტანა და განაცხადა, რომ ლიდერობა არის სიტუაციის პროდუქტი და არა ბუნებითი მემკვიდრეობა.

ამ თეორიის თანახმად, „ლიდერობის არსი, – როგორც აღნიშნავდა სესილ გიბი, თავის ნაშრომში „ლიდერობის პრინციპები და თვისებები“ – „ინდივიდში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ლიდერის იმ როლში, რომელსაც საჭიროებს განსაზღვრული სოციალური ჯგუფი. ამიტომ, პიროვნება ლიდერი ხდება არა იმდენად პირადი თვისებების წყალობით, არამედ იმ კონკრეტული სიტუაციის წყალობით, რომელიც განპირობებულია ჯგუფის დეტერმინირებული შეფასებითა და მოთხოვნილებებით“.¹⁹ შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური,

¹⁸ ბუცხრიკიძე ა. პოლიტიკური ლიდერი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996. გვ.14.

¹⁹ ბუცხრიკიძე ა. პოლიტიკური ლიდერი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996. გვ.16.

სოციალური, კულტურული თუ იდეოლოგიური განვითარების დონე დიდად განსაზღვრავს იმას, თუ როგორი ტიპის ლიდერი ჩამოყალიბდება ამ საზოგადოებაში. საქართველოს შემთხვევაში, როგორც ამირან ბერძენიშვილი განმარტავს, „სიტუაცია, რომელიც საქართველოში არსებობდა 1987–1992 წლებში, მოითხოვდა უფრო ძველი ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ლიდერს, რომელიც ხალხს ეროვნულ დამოუკიდებლობას მოაპოვებინებდა. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეცვლილმა ვითარებამ მოითხოვა არა მებრძოლი, არამედ სიტუაციის მასტაბილირებელი და აღმშენებელი ლიდერი“.²⁰

რა თქმა უნდა, ეს თეორია ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ მხოლოდ სიტუაციაზე არის დამოკიდებული ლიდერის ჩამოყალიბება, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური ლიდერები ხშირად თავად უწყობენ ხელს გარკვეული სიტუაციების შექმნას და ისტორიას აძლევენ მიმართულებას. ისტორიაში ხშირად ყოფილა შემთხვევები, რომ პოლიტიკური ლიდერები წინასწარ განჭვრეტენ მოვლენებს და მოქმედებენ მათ შესაბამისად. ამის ნათელი მაგალითია ტალეირანის პოლიტიკა, რომელმაც ყოველთვის იცოდა თუ რა პოლიტიკური ნაბიჯები მოჰყვებოდა ამა თუ იმ მოქმედებას და ეს არაერთხელ გამოიყენა კიდეც ქვეყნის სამსახურში. თუმცა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ხშირად ლიდერები თავად ქმნიან ხელსაყრელ სიტუაციებს და როგორც ვიქტორ პელევინი წერს თავის წიგნში „ჩაპაევი და სიცარიელე“ „სინამდვილეში ისინი მომავალს კი არ წინასწარმეტყველებენ, არამედ მის ფორმულირებას უწყობენ ხელს. ისინი იმ მხარეს იწყებენ გადაზარებებს, საიდანაც მათი აზრით ნიავი დაუბერავს და ნიავესაც სხვა გამოსავალი აღარ რჩება, იქიდან იწყებს დაბერვას, საიდანაც მას ცბიერი ნაძირლები ელოდებიან“.

ამრიგად, სიტუაციური კონცეფცია მართალია პოლიტიკურ ლიდერს გარემოს პროდუქტად მიიჩნევს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ხშირად ლიდერები თავად ქმნიან ამ სიტუაციებს. ამიტომ ეს ორი თეორიაც არ იქნა საკმარისი ლიდერის ფორმირების პროცესის ახსნისათვის და დასაბამი მისცა ახალ თეორიას ე.წ. „მიმდევართა განმსაზღვრელი როლის თეორიას“, რაც დიდ ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების ანუ მიმდევართა მოლოდინებსა და მოთხოვნებზე, რომლის შესაბამისადაც ისინი მხარს უჭერენ ლიდერებს.

²⁰ ბერძენიშვილი ა. პოლიტიკური სოციოლოგია. „ინტელექტი“. თბ.2011, გვ.284.

გამომდინარე იქიდან, რომ ყველა ადამიანი არის საზოგადოების ნაწილი, სწორედ იგი ირჩევს ისეთ ლიდერს, რომელიც მის ინტერესებს შეესაბამება. შედეგად, ლიდერი ხდება „მასის ადამიანი“ რომელიც მოკლებულია ინოვაციებს და კომფორმისტული ბუნება გააჩნია. ბერძენიშვილის აზრით, „სწორედ მიმდევართა მოთხოვნილებებისა და განწყობილებებისადმი შემგუებლობაში, ჯგუფური ზეწოლისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობაში ხედავს მრავალი მკვლევარი თანამედროვე პირობებში ლიდერობის ფაქტორის შესუსტების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს.“²¹

„მიმდევართა განმსაზღვრელი როლის თეორიაზე“ საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ფროიდის მოსაზრებებს. მან ჩამოაყალიბა პოლიტიკური ფორმირების ფსიქოლოგიური კონცეფცია, რომლის თანახმადაც ადამიანის ფსიქიკა ერთგვარად განსაზღვრავს კიდეც ადამიანის ლიდერობისაკენ მიდრეკილებას და გარე სამყაროსთან ურთიერთობას. იგი ხაზს უსვამდა ლიდერის მნიშვნელობას ჯგუფის ფუნქციონირებისათვის და აღნიშნავდა, რომ „ყველანაირი კავშირი ლიდერის გარეშე არის წარმავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მართულია უხილავი, სიმბოლური ლიდერის მიერ. ლიდერობა უნარჩუნებს საზოგადოებას ერთიანობას ლიდერსა და მის მიმდევრებს შორის მყარი ემოციური კავშირის საფუძველზე. როდესაც ლიდერი მარცხს განიცდის ჯგუფის ერთობაც ქრება.“²² ფროიდის თვალსაზრისით, ლიდერის ფსიქოლოგია მკვეთრად განსხვავდება ჯგუფის სხვა წევრების ფსიქოლოგიისაგან. საკუთარი „მე“-ს გარდა, ლიდერი არავის მიმართ არ ავლენს ემოციურ ერთგულებას. მას არავინ უყვარს, საკუთარი თავის გარდა, თვითდაჯერებული და დამოუკიდებელია. ნარცისიზმის ეს თვისება ხდის მას ლიდერად. იგი ყველა იმ თვისებებითა და უნარით არის დაჯილდოებული, რომელმაც ვერ მალდებია ჯგუფის სხვა წევრები. ფროიდის შეხედულებით, ლიდერობის ფსიქოლოგიური პროცესის წარმოქმნის მიზეზი არის ის, რომ მისმა მიმდევრებმა თავიანთი ნარცისტული ტენდენციები ლიდერის ანალოგიური მიდრეკილებებით ჩაანაცვლეს, იმგვარად, რომ მათი სიყვარული ლიდერის მიმართ წარმოადგენს ან საკუთარი თავის სიყვარულის შენიღბულ ფორმას ან კიდეც მათ უუნარობას შეიყვარონ საკუთარი თავი.

²¹ ბერძენიშვილი ა. პოლიტიკური სოციოლოგია. „ინტელექტი“. თბ.2011. გვ.285.

²² Gabriel, Y. Psychoanalytic approaches to leadership. In A. Bryman, D. Collinson, K. Grint, B. Jackson, & M. Uhl-Bien (Eds.), *The SAGE Handbook of Leadership*: 393-405. London: Sage. 2013

ფროიდის მიუძღვის ასევე განსაკუთრებული როლი ადამიანის ნერვული სისტემის შესწავლაში, რის საფუძველზეც თანამედროვე კვლევები და ფსიქოანალიტიკოსები ლიდერობას განიხილავენ, როგორც ნევროზის განსაზღვრულ სახეს. მათი აზრით, საზოგადოება იყოფა ფსიქიკურად ნორმალურ და არანორმალურ ადამიანებად და სწორედ ამ უკანასკნელთ ჰქონიათ ლიდერობის უნარი. უფრო მეტიც, როგორც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების ბიოგრაფიები გვამცნობს, მათი უმრავლესობა იტანჯებოდა ამა თუ იმ ფსიქიკური გადახრებით. დუკის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის პროფესორის ჯონათან დევიდსონის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელმაც შეისწავლა ამერიკის პირველი 37 პრეზიდენტის ბიოგრაფიული ცნობები (1776–1974 წლების), დაადგინა, რომ „შესწავლილთა ნახევარს მენტალური დაავადებები აღენიშნებოდა. 24 %-ს გააჩნდა დეპრესია მათ შორის ჯეიმს მედისონს და აბრაამ ლინკოლნს, 8%-ს, მათ შორის ლინდონ ჯონსონს და თეოდორ რუზველტს, უფრო სერიოზული აშლილობები ჰქონდათ, როგორიცაა ბიპოლარული ფსიქოზი.“²³

პოლიტიკური ლიდერის ფენომენის ამოხსნა აქტუალობას არ კარგავს უძველესი დროიდან მოყოლებული და სხვადასხვა ეპოქებში მას სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. ყველა ეპოქას ახასიათებდა სხვადასხვა სახის ლიდერების წარმოშობა და ეს განპირობებული იყო იმ ეპოქის თავისებურებებით. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ფილოსოფია იყოფა ორ ეტაპად, მაკიაველამდე ანუ უძველესი ფილოსოფია, რომელიც დაფუძნებული იყო ფილოსოფიურ საწყისებს და იდეალურ მოდელებზე ამახვილებდა ყურადღებას, ხოლო მეორე მაკიაველის შემდგომი პერიოდი, როცა იწყება უკვე არა იდეალური მმართველობის ფორმებისა და ლიდერის ძიება, არამედ უკვე არსებულის ანალიზი და პრაქტიკაზე დაფუძნებული მმართველობებისა თუ ლიდერის ტიპის განსაზღვრა. თანამედროვე ეტაპზე კი არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გლობალიზაციისა და პოლიტიკური კულტურის გავლენას ლიდერის ფორმირებაზე, რადგან სწორედ ისინი გვცხმარებიან, რომ უკეთ გავაანალიზოთ ლიდერის ფენომენი დღევანდელ სამყაროში. აღსანიშნავია, რომ სუსტი ლეგიტიმურობის მქონე სახელმწიფოებში შესაძლოა ადვილად წარმოიშვას ინტეგრაციის კრიზისი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არეულობა ქვეყანაში.

²³ Psychologytoday.com. Guy Winch. *Study: Half of All Presidents Suffered from Mental Illness*. Feb.02, 2016.

ინტეგრაციის კრიზისი შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც ჩნდება დიდი შუალედი მმართველსა და საზოგადოებას შორის, ანუ იგი ხდება იმდენად დისტანციური, რომ კომუნიკაცია საზოგადოებასა და პოლიტიკურ ლიდერს შორის მინიმალურ დონემდეა დაყვანილი ან შეუძლებელია. მეორე შემთხვევაში, კრიზისი წარმოიშობა მაშინ, როდესაც პოლიტიკური ლიდერი ვერ ამართლებს იმ მოლოდინებსა და რწმენებს, რის საფუძველზეც გააჩნია მას ლეგიტიმურობა და ხალხის ნდომა. ასეთი შემთხვევები ხშირია ხოლმე მაშინ, როდესაც ქარიზმატულ ლიდერს გაზვიადებულად მიაკუთვნებენ ზებუნებრივ უნარებსა და შესაძლებლობებს.

ტრადიციული ლიდერისათვის ლეგიტიმურობის დაკარგვის მიზეზი შესაძლოა გახდეს სოციალური ძვრები საზოგადოებაში. ამის თავიდან ასაცილებლად კი ლიდერმა უნდა უზრუნველყოს თითოეული სოციალური ჯგუფის ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში. საინტერესოა, ეროვნული პრესტიჟის ამაღლება საყოველთაო აღიარების მოსაპოვებლად. მაგალითად, შარლ დე გოლი ცდილობდა მიეღწია საფრანგეთის, როგორც ერთ–ერთი მთავარი დამოუკიდებელი ქვეყნის პრესტიჟისა და ფრანგული ენის, კულტურის უპირატესობათა აღიარებისათვის, რაც მოსახლეობის განათლებული ფენების აღფრთოვანებას იწვევდა. მან საყოველთაო აღიარების მოპოვებით შეძლო შემდეგში სწორედ საფრანგეთის გაძლიერება. საკმაოდ რთულია განვსაზღვროთ თუ რომელი ტიპის ლიდერი არის ქვეყნისათვის ყველაზე გამოსადეგი და ერის გამაერთიანებელი. მაგალითად, გერმანია თავის დროზე საკმაოდ მაღალი პატრიოტიზმის გძნობით გამოირჩეოდა ჰიტლერის ქარიზმატული უნარების საშუალებით, რომელმაც შეძლო ერის კონსოლიდაცია, თუმცა, ამან საბოლოო ჯამში იგი უფსკრულის წინაშე მიიყვანა. შესაბამისად, ისევე, როგორც პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროში, აქაც არსებობს ოქროს შუალედი, რომელიც აერთიანებს სამივე ტიპის ლიდერს. პოლიტიკური ლიდერი უნდა იყოს ერთდროულად ქარიზმატურლი, ლეგალური და ტრადიციებზე დამყარებულიც, რათა შეძლოს საზოგადოებრივი აღიარების მოპოვება და რაც მთავარია, შენარჩუნება.

ამრიგად, პოლიტიკური ლიდერის როლი საზოგადოებაში დიდად არის დამოკიდებული ამ საზოგადოების პოლიტიკურ კულტურასა და ლიდერის ლეგიტიმურობაზე. რონალდ რეიგანი ხაზს უსვამდა, სწორედ, საყოველთაო მხარდაჭერის მნიშვნელობას, როდესაც ამბობდა, რომ დიდებული ლიდერები

აუცილებლად თავად კი არ ქმნიან დიდებულ საქმეებს, არამედ ხალხს აკეთებინებენ ამასო. რაც გულისხმობდა იმას, რომ პოლიტიკური ლიდერი უნდა იდგეს ხალხის სამსახურში და შეეცადოს ერის კონსოლიდაციასა და ქვეყნის წინსვლას. სხვადასხვა საზოგადოებები, მართალია, სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებენ პოლიტიკურ ლიდერს, თუმცა მან უნდა შეძლოს, სწორედ ამ მოთხოვნებისა და მოლოდინების გამართლება, რათა შეინარჩუნოს საზოგადოების მხარდაჭერა. ამერიკელი ჟურნალისტი, დევიდ შუსტერი აზრით, პოლიტიკური ლიდერი, რომელიც წარმოადგენს მთელ შტატს ან მთელ ქვეყანას და არა მხოლოდ რესპუბლიკელებსა და დემოკრატებს ან მდიდრებსა და ღარიბებს წარმოადგენდეს არამედ რეალურად ყველას წარმომადგენელი უნდა იყოს. ამიტომ საჭიროა პოლიტიკური ლიდერი ემსახურებოდეს მთლიან საზოგადოებას და არა მხოლოდ მის ცალკეულ სეგმენტს. ხოლო, მას შემდეგ, რაც იგი მოიპოვებს ხალხის ნდობას, აქტუალური ხდება მისი შენარჩუნება. ამერიკელი ბიზნეს მაგნატის ვორენ ბაფტის აზრით კი რეპუტაციის მოსაპოვებლად 20 წელია საჭირო, მის დასანგრევად კი მხოლოდ 5 წუთი. ამიტომ პოლიტიკური ლიდერის თითოეული ნაბიჯი მოითხოვს გაცილებით მეტ სიბრძნეს ვიდრე რიგითი მოქალაქის, ვინაიდან შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს აშენებას წლები სჭირდება, პოლიტიკურ ლიდერს კი შეუძლია ეს ყველაფერი დაანგრის დროის სულ მცირე მონაკვეთში.

მიუხედავად განსხვავებული საზოგადოებრივი წყობისა, პოლიტიკური ლიდერების როლი, მაინც, თანაბრად არის დამოკიდებული მის თვისებებზე, კულტურაზე, ქარიზმაზე, ლეგიტიმურობაზე და რაც მთავარია გარემოზე, ანუ იმ ისტორიული განვითარების საფეხურზე, როდესაც იგი წარმოიშობა. საქართველოში ეს პრობლემა მუდმივად აქტუალური არის და პოლიტიკური ლიდერის დიდ თავსატეხს წარმოადგენს, რადგან საზოგადოებას ახასიათებს პოლარულობა. ხალხს ყოველთვის უჭირს მესამე გზის დანახვა, რის გამოც მოსახლეობა უმეტეს შემთხვევაში იყოფა ორ ბანაკად და შესაბამისად თავს იყრის ორ პოლუსთან, განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში. შესაბამისად, პოლიტიკურმა ლიდერმა თავისი ლეგიტიმურობა უნდა გამოყენოს პირველ რიგში, სწორედ, ერის გამთლიანებისა და კონსოლიდაციისთვის, რაც დღესაც ერთ ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ საქართველოში არამედ სხვა დემოკრატიულ საზოგადოებებშიც.

დემოკრატიის გაძლიერების პირობებში, საზოგადოების კონსოლიდაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსფორმაციის აქტიური სუბიექტი სამოქალაქო საზოგადოება ხდება, არ გვინდა დავაკნინოთ ქართველი ხალხის გამოცოცხლებული პოლიტიკური კულტურა, მაგრამ შეუძლებელია ხაზი არ გაუსვა მუდმივად ახალი პოლიტიკური ლიდერის ძებნისკენ ლტოლვას.

საზოგადოებაში პოლიტიკური და სამოქალაქო კულტურის განვითარება და გაძლიერება რეალობასთან უნდა იყოს მიახლოებული, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების გათვალისწინებით, რაც საშუალებას მიცემს პოლიტიკურ ლიდერს მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებით მოქმედებდეს, ხოლო საზოგადოებას საჭიროების შემთხვევაში, ათწლეულები არ უნდა ელოდოს პოლიტიკური ელიტისა და ლიდერის შეცვლას, რაც ხშირ შემთხვევაში, სერიოზულ პრობლემად იქცევა ქვეყნის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ უსაფრთხოებისა და განვითარებისათვის უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში კვლევებს ლიდერობის შესახებ მძლავრი სტიმული მისცა მენეჯმენტის თეორიის განვითარებამ. მართვის მიზნით, ლიდერობის სოციოლოგიურმა და ფსიქოლოგიურმა თეორიების გამოყენებამ, სხადასხვა მართვითი პროექტების ფარგლებში, ლიდერობის პრობლემატიკის შემუშავებამდე მიგვიყვანა. მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი სპეციალისტი გ. საიმონი თავის წიგნში „ადმინისტრაციული ქცევა“ (1965) უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ინსტიტუციურ და არა პიროვნულ ასპექტებს. მენეჯმენტის თეორიებში პიროვნება ფიგურირებს იმ დოზით, რა დოზითაც აუცილებელია მისი ფაქტორის ორგანიზაციის მართვისთვის გათვალისწინება. ამგვარად, არც პოლიტიკის მეცნიერებაში, არც ფსიქოლოგიაში, არც სხვა შერეულ ჰუმანიტარულ სფეროებში ლიდერობის შესწავლის შესახებ არ არის ერთიანი მიდგომა. არ არის საყოველთაოდ აღიარებული შეხედულება ადამიანების საზოგადოებაში მისი ბუნების და ფუნქციის შესახებ. პოლიტიკური ლიდერობა, როგორც ლიდერობის ერთ-ერთი ფორმა არ არის აღწერილი ზოგადი თეორიის ფარგლებში, მაგრამ იგი კომპილაციური და დისციპლინათაშორისი სფეროა. მეცნიერების წინაშე კვლავ დგას მთლიანობაში ლიდერობის ბუნებასთან კითხვა, აგრეთვე უფრო კონკრეტული, პოლიტიკურ ლიდერობასთან და კითხვები.

1.2. პოლიტიკური ელიტები და ლიდერი, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკის სუბიექტი

პოლიტიკური ელიტის შესწავლისადმი ინტერესი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში იწყება. ლიბერალური დემოკრატიის გამოცდილებამ აჩვენა, რომ საყოველთაო საარჩევნო სისტემა და სხვა დემოკრატიული პროცედურები არ უზრუნველყოფს ხელისუფლებაში უმრავლესობის მოსვლას. რეალური და უშუალო მართვა კვლავ უმცირესობის ხელში რჩება. რას წარმოადგენს ეს უმცირესობა, რომელიც უმრავლესობაზე დომინირებს? როგორ ხდება მისი ფორმირება და როგორია მისი ფუნქციონირება? ამ ყველაფერს პასუხს სცემს მეცნიერება ელიტების შესახებ – პოლიტიკური ცოდნის სფერო, რომელიც პოლიტიკურ ელიტას სისტემური კვლევის ობიექტის სახით სწავლობს.

სოციალური დაყოფა მათ შორის, ვინც ხელისუფლებას ახორციელებს და ვის მიმართაც ეს ხელისუფლება ხორციელდება, თვითონ სახელისუფლებო ურთიერთობებიდან გამომდინარეობს. მართულებად და მმართველებად დაყოფა ნებისმიერი მმართველობის ფორმისა და რეჟიმისთვის არის დამახასიათებელი. როგორც დემოკრატიული, ისე არადემოკრატიული ქვეყნებში მოსახლეობის სისტემატური და მუდმივი მართვა არის ორგანიზებული უმცირესობის – პოლიტიკური ელიტის ხელში. თუმცა დემოკრატიულ ქვეყნებში გარკვეული პოლიტიკური ელიტა ხელისუფლებაში მოდის უმრავლესობის ძალისხმევით და სხვა ელიტებთან კონკურენციის პირობებში. გარდა ამისა, მხოლოდ დემოკრატიულ რეჟიმებში მოსახლეობას აქვს რეალური შესაძლებლობა გააკონტროლოს პოლიტიკური ელიტის საქმიანობა.

ორგანიზებულ უმცირესობას, რომელიც უშუალოდ ახორციელებს მართვას და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს სხვადასხვანაირად მოიხსენიებენ: „პოლიტიკური ელიტა“, „მმართველი ელიტა“, „პოლიტიკური კლასი“, „მმართველი კლასი“, „უმაღლესი პოლიტიკური ხელმძღვანელობა“ და სხვ. ამდენი დასახელება იხმარება ერთი და იგივე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის – რეალური უმცირესობის აღსანიშნავად, რომელიც ხელისუფლების პოლიტიკურ კონტროლს

ახორციელებს. თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში დამკვიდრდა ტერმინი „ელიტა“, რომელიც ხმარებაში იტალიელმა მეცნიერმა ვ. პარეტომ შემოიტანა.

„ელიტის“ ცნება შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ადამიანების მუდმივი და შედარებით დახურული წრე, რომელსაც გარემოცვასთან შედარებით მეტი წონა აქვს. ელიტა-სოციალური ცხოვრების ამა თუ იმ სფეროს „რჩეული“ ადამიანები არიან. ელიტა გულისხმობს გამორჩეულობას, შერჩევის კრიტერიუმების და მის ფუნქციონირებაში მონაწილეობის განსაკუთრებულობას.

პოლიტიკური ელიტა – ეს არის ორგანიზებული უმცირესობა, მაკონტროლებელი ჯგუფი, რომელიც კლასის ან სოციალური ფენის ნაწილია და ფლობს რეალურ პოლიტიკურ ძალაუფლებას, გავლენა მოახდინოს მოცემული საზოგადოების თითქმის ყველა ფუნქციასა და პოლიტიკურ ქმედებებზე. პოლიტიკური ელიტა უშუალოდ და სისტემატურად იღებს მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც სახელმწიფო ძალაუფლების გამოყენებასთან ან მასზე ზემოქმედებასთან არის დაკავშირებული.

ელიტის წარმოქმნის წინაპირობები რიგი ფაქტორებით არის განპირობებული:

- პოლიტიკური ხელისუფლება ძალაუფლების ცენტრების ორგანიზებულ რთულ სისტემას წარმოადგენს; სისტემის ფუნქციონირება პოლიტიკური ლიდერების და ხელმძღვანელების განსაკუთრებული ფენის არსებობას გულისხმობს, რომლებსაც ძალაუფლების ამ ცენტრებში საკვანძო თანამდებობები უკავიათ და გადამწყვეტი საზოგადოებრივი გავლენა აქვთ;
- რეალურ პოლიტიკურ პრაქტიკაში შენარჩუნებულია მასების გაუცხოება პოლიტიკური გადაწყვეტილებების უშუალო და მუდმივი მიღებისა და პოლიტიკის კონტროლისაგან; ხალხის ძალაუფლება და სახელმწიფოს მართვა ერთმანეთისაგან განცალკევებულია;
- ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილების შემუშავება სპეციალურ პროფესიულ ცოდნას მოითხოვს, რაც აგრეთვე ზღუდავს საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების „ქვემოდან“ კონტროლს;

- პოლიტიკა ყველას როდი აინტერესებს. მათთვის უფრო მიმზიდველია სოციალური აქტიობის სხვა სფეროები; რეალურად პოლიტიკით დაკავება უმცირესობას აინტერესებს;
- მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ ელიტებს ხელისუფლების შენარჩუნება სურთ; ელიტები უზრუნველყოფენ ხელისუფლების, სტაბილურობას, კვლავწარმოებას, პროლონგაციას (გახანგრძლივებას), პოლიტიკური ლიდერების და მმართველების გავლენის შენარჩუნებას.

ელიტები მკვეთრად გამოხატული ჯგუფური ცნობიერებით, მოქმედების საერთო ნებით და კონსოლიდაციით ხასიათდებიან. გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური ერთგვაროვნება ყველაზე რთულ სიტუაციებში განაპირობებს საკმარის ერთაზროვნებას, ერთსულოვნებას და შეთანხმებულ მოქმედებას. ამგვარად ხელისუფლება ძლიერდება, შენარჩუნებულია მისი მთლიანობა და მიზანსწრაფულობა. ადამიანები, რომლებიც მმართველ ელიტაში შედიან სულიერი მოთხოვნების, შესაძლებლობების კომპლექსით, სოციალური მოთხოვნებით, ადამიანური თვისებებითაც კი მაღალი ხარისხის თავსებადობით გამოირჩევიან. ყველაფერი ეს არაორდინარულ, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ ადამიანებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ კონსოლიდირება და სიტუაცია არ მიიყვანონ პირადულ განხეთქილებამდე და დაპირისპირებამდე.

ამგვარად, პოლიტიკური ელიტა შემთხვევითი, ძალაუფლებით აღჭურვილი კონკრეტული პირების უბრალო გაერთიანება არ არის. ეს არის სოციალური ჯგუფი, რომელიც სელექციის შედეგია და პოლიტიკურ ელიტაში რჩებიან ისინი, ვინც გარკვეულ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

წარმოადგენს რა თავისებურ სახელისუფლო დომინანტას, პოლიტიკური ელიტა საზოგადოების ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. ეს არის სახელმწიფო მმართველობის და პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცენტრალური რგოლი. პოლიტიკური ელიტის ქმედებებზე, მის პოლიტიკურ ქცევაზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული პოლიტიკური განვითარების მსვლელობა და მთლიანობაში პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება.

მმართველი ელიტის ლეგიტიმურობა, მისი ხელისუფლებაში ყოფნის და ამ ხელისუფლების შენარჩუნების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. როდესაც პოლიტიკური ან სახელმწიფო თანამეგობრობა წყვეტს ამა თუ იმ ელიტის ძალაუფლების სანქცირებას, ის კარგავს თავისი არსებობის სოციალურ ბაზას და ბოლოს და ბოლოს ხელისუფლებას კარგავს.

პოლიტიკური ელიტა ხელისუფლებაში შეიძლება არჩევნების გზით მოვიდეს, სხვა ორგანიზებულ უმცირესობასთან ბრძოლაში გამარჯვების შედეგად. ამ შემთხვევაში ელიტის და მასის ურთიერთქმედებას ლეგალური და ლეგიტიმური ხასიათი აქვს. თუმცა პოლიტიკური ელიტა ხელისუფლებაში შეიძლება რევოლუციური ან სახელმწიფო გადატრიალების გზით მოვიდეს. ამ შემთხვევაში ახალი პოლიტიკური ელიტა ცდილობს სავალდებულო ლეგიტიმურობა ხალხის მხრიდან არაფორმალური აღიარების გზით მოიპოვოს. ნებისმიერ შემთხვევაში ელიტების მასებთან ურთიერთობა ლიდერობის და ავტორიტეტული ხელმძღვანელობის პრინციპებზე იგება და არა ბრმა მორჩილებაზე.

პოლიტიკური ელიტების შესწავლის სხვადასხვა მიდგომები არსებობს, მაგრამ ელიტის ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა შეიძლება ელიტარულად ჩაითვალოს, რადგანაც „არსებობს უმცირესობა, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებას ფლობს. ამ უმცირესობას გადაწყვეტილების მიღებისას აქვს არსებითი უპირატესობა ანუ დომინირებული გავლენა.“²⁴

1.3. პოლიტიკური ლიდერი, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმი და პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი

როდესაც პოლიტიკურ კულტურაზე ვლაპარაკობთ, გამოვდივართ იმ მოსაზრებიდან, რომ სტაბილურ პოლიტიკურ სისტემებში პოლიტიკური სტრუქტურები და პოლიტიკური კულტურა ერთმანეთს ამაგრებენ. რაც შეეხება

²⁴ Parsons T. Societies... Ch. 2; Parsons T. Social systems and subsystems; Interaction // International Encyclopedia of the Social Sciences. — NY, Macmillan, 1968; а также вводные разделы в книге: Theories of society. / Ed. by T. Parsons, E. Shils, K. Naegle, J. Pitts. — NY, Free Press, 1961.

სახელმწიფო პოლიტიკას, უფრო ზუსტად, ლეგიტიმურ სამთვრობო და პოლიტიკურ წესრიგს, პოლიტიკური კულტურა შეიძლება იყოს კონსენსუსური და კონფლიქტური. როგორც წესი, კონსენსუსურ პოლიტიკურ კულტურებში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების და საზოგადოების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი პრობლემების და მათი გადაჭრის გზების შესახებ მოქალაქეებში არსებობს კონსენსუსი. კონფლიქტურ პოლიტიკურ კულტურებში კი მოქალაქეთა წარმოდგენები მკვეთრად განსხვავებულია, ამასთან აზრთა სხვადასხვაობა ეხება როგორც რეჟიმის ლეგიტიმურობას, ისე უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრის გზებს.

თუ ქვეყანაში პოლიტიკური წესების შესახებ აზრთა დიდი სხვაობა არსებობს და ასეთი მდგომარეობა დიდი ხანი გრძელდება, მაშინ სახელმწიფოში შეიძლება განსაკუთრებული სუბკულტურები განვითარდეს. ასეთი სუბკულტურების ჩარჩოში მოქალაქეებს შეიძლება განსხვავებული აზრი ქონდეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის შესახებ, მაგ., ნაციონალური საზღვრების, პოლიტიკური რეჟიმის ბუნების ან მართებული იდეოლოგიის შესახებ. ჩვეულებრივ, სხვადასხვა სუბკულტურების წარმომადგენლები სხვადასხვა პარტიების, ინტერსთა ჯგუფების წევრები ხდებიან, სხვადასხვა გაზეთებს კითხულობენ, სხვადასხვა საზოგადოებრივი კლუბები და სპორტული ორგანიზაციებიც კი აქვთ, ამიტომაც მათი პოლიტიკური შეხედულებები განსხვავებულია. ხშირად განსხვავებულობა რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებს შორის მკვეთრად იმიტომ აღიქმება, რომ ისინი ამგვარ სიღრმისეულ აღქმებზეა დამყარებული.

პოლიტიკური ლიდერობა პოლიტიკური ძალაუფლების მექანიზმის საკვანძო რგოლია. იგი მრავალწილად განსაზღვრავს და მიმართავს პოლიტიკურ პროცესებს. სწორედ პოლიტიკური ლიდერები ახდენენ უპირველეს გავლენას გადაწყვეტილების მიღებაზე ხელისუფლების ყველა დონეზე. პოლიტიკური ლიდერების ეფექტურობაზე, მათ უნარზე კომუნიკაცია დაამყარონ სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან და მთელ საზოგადოებასთან, პირდაპირ არის დამოკიდებული საზოგადოებრივი განვითარების შემდგომი ვექტორი.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში, როგორც ზემოთ დავინახეთ, პოლიტიკური ლიდერობის არაერთი თეორია და მიდგომა არსებობს, რაც თანამედროვე პოლიტიკური სამყაროს მრავალფეროვნებით და სირთულით აიხსნება. დღეს ძალზე აქტუალურია იმ ფაქტორების შესწავლა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ინტეგრაციული პროცესების განხორციელებას. განსაკუთრებით. ამიტომაც პოლიტიკური ლიდერის, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმის შესწავლა, რომელიც არასაკმარისად არის ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ლიდერების როლი განსაკუთრებით იზრდება და რთულდება გარდამავალი ტიპის ქვეყნებში, დემოკრატიული გარდაქმნების პირობებში. პოლიტიკური ლიდერების ეფექტურ მოქმედებებზე მრავალწილად არის დამოკიდებული საზოგადოების კონსოლიდაცია და ინტეგრაცია – ქართული პოლიტიკური სისტემა ტრადიციულად ხელისუფლების პერსონიფიკაციის მაღალი ხარისხით ხასიათდება.

პოლიტიკური ლიდერობის მექანიზმს სამი ძირითადი ასპექტი აქვს:

ინსტიტუციონალური – ლიდერის მდგომარეობა და სტატუსი ხელისუფლების ინსტიტუტებში;

ფუნქციონალური – პოლიტიკური ხელმძღვანელობის და მართვის ფუნქციის შესრულება;

სიმბოლური – მიმდევრების ლიდერთან იდენტიფიცირება, რომლის საფუძველზეც შეიძლება საერთო მიზნების და ღირებულებების მქონე ადამიანების კონსოლიდირება.

პოლიტიკური ლიდერობის მექანიზმში სწორედ სიმბოლური ასპექტი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია.

პოლიტიკური ლიდერობა საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმია, ანუ ეს არის სოციალურ-პოლიტიკური კავშირების და ურთიერთობების სისტემა, რომელშიც პოლიტიკური ლიდერები და სოციალური გაერთიანებები ერთმანეთთან და პოლიტიკურ სისტემასთან ურთიერთქმედებაშია დროისა და

ადგილის კონკრეტულ პირობებში. ამ მექანიზმის ფუნქციონირებისას მნიშვნელოვანია ურთიერთდაკავშირებული კომპონენტები: ლიდერის პიროვნული მახასიათებლები, მიმდევართა სოციოკულტურული მახასიათებლები; არსებული პოლიტიკური სისტემის თავისებურებები. ამასთან, თითოეული კომპონენტის გავლენა ინტეგრაციის განხორციელებაზე და ძირეული პრობლემების გადაჭრაზე, განსხვავებულია და დამოკიდებულია პოლიტიკური რეჟიმის ტიპზე.

ზემოთ აღნიშნული სამი კომპონენტი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს პოლიტიკური ლიდერის მექანიზმის ფუნქციონირებაზე. მათი შერწყმა კონკრეტულ დროსა და ადგილას პოლიტიკური ლიდერობის უნიკალურ მახასიათებლებს ქმნის. პოლიტიკური ლიდერობა ხორციელდება კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში, ხოლო პოლიტიკური ლიდერების მოღვაწეობის წარმატება და ეფექტურობა დამოკიდებულია მათი მხრიდან საზოგადოებრივ დაკვეთებზე დროულ რეაგირებაზე. ქვეყნებში, რომლებმაც ღრმა სოციალური ტრანსფორმაცია განიცადეს, სწორედ ეროვნული დონის პოლიტიკური ლიდერები შეიძლება გახდნენ ინტეგრაციის სუბიექტები. პოლიტიკურ ლიდერებზეა დამოკიდებული მოდერნიზაციის პროცესების განხორციელება. პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებები პოლიტიკური ლიდერობის, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის მექანიზმის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი საშუალებაა.

პოლიტიკური კომუნიკაციები პოლიტიკური ლიდერობის, როგორც საზოგადოების ინტეგრაციის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია. კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების და ფორმების გამოყენებით, პოლიტიკური ლიდერებს საშუალება აქვთ ფართოდ მოახდინონ თავისი იდეების და ღირებულებების ტრანსლირება. პოლიტიკური კომუნიკაციების ინოვაციური მეთოდების გამოყენება ამ პროცესს ორმხრივ ხასიათს ანიჭებს. ერთი მხრივ, წარმატებული პოლიტიკური კომუნიკაცია პირდაპირ არის დამოკიდებული ლიდერის მიერ დაგროვილი სიმბოლური კაპიტალის მოცულობაზე, მეორე მხრივ, თვითონ ლიდერობის კაპიტალი არის ერთ-ერთი ძირითადი წყარო წარმატებული პოლიტიკური კომუნიკაციებისა. ეს ორი ფაქტორი კი ლიდერის ეფექტური მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

საზოგადოების კონსოლიდაცია მოსახლეობის დარაზმვას ითვალისწინებს, რომელიც განვითარების კონკრეტულ მიზანს ხედავს. როდესაც საზოგადოებაში საკმაოდ მდგრადი კონსენსუსია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ღირებულებები უნდა შეადგენდეს მის საფუძველს, მათი მხარდაჭერა კონსოლიდაციის საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს. კონსოლიდაციის პროცესის ძირითად სუბიექტებად შეიძლება გახდნენ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც იმ ღირებულებათა სისტემას ეყრდნობიან, რომელსაც საზოგადოების უდიდესი ნაწილი იზიარებს. სწორედ კონკრეტული პრობლემების გადაჭრაში მდგომარეობს პოლიტიკური ლიდერის ფუნქციონალური ასპექტი, რომლის ეფექტურობაც განპირობებულია ერთი მხრივ, გაცხადებული მიზნების შედეგებთან შესაბამისობაზე და მეორე მხრივ, ამ მიზნების საზოგადოების რეალურ დაკვეთასთან შესაბამისობაზე.

ტ.პარსონსის აზრით, „ლიდერობის დიფერენცირება და ავტორიტეტი გულისხმობს იმ სოციალური ურთიერთგაცვლის განზოგადების განსაკუთრებულ დონეს, რომელსაც ჩვენ ხელისუფლებას ვუწოდებთ.“²⁵ ჩვენ ხელისუფლებას ვსაზღვრავთ, როგორც უნარს მიიღოს და „თავს მოახვიოს“ გადაწყვეტილებები, რომლებიც აუცილებელია შესაბამისი კოლექტივებისათვის და მათი წევრებისათვის, რადგანაც მათი სტატუსი ემთხვევა იმ ვალდებულებებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებით არის გათვალისწინებული. ძალაუფლება უნდა განვასხვავოთ გავლენისაგან, რადგანაც გამოცემული სავალდებულო გადაწყვეტილებები სულაც არ გავს დარწმუნებისათვის მიღებულ ზომებს. ჩვენი განსაზღვრებების თანახმად, მოქალაქე, რომელიც არჩევნებზე თავის ხმას აძლევს, ხელისუფლებას ახორციელებს, რადგანაც „ასეთი ხმების ერთობლიობა განსაზღვრავს არჩევნების შედეგს. ხელისუფლების პატარა პორცია – მაინც ხელისუფლებაა, ისევე როგორც ერთი დოლარი – დიდი ფული არ არი, მაგრამ მაინც ფულია.“²⁶

თანამედროვე საზოგადოებაში, განსაკუთრებით გარდამავალი ტიპის საზოგადოებაში, დიდია მოთხოვნა ძლიერ ლიდერებზე, რომლებსაც ეროვნული

²⁵ Parsons T. The political aspect of social structure and process. // Varieties of political theory. / Ed. by D. Easton; см. также: Almond G. A., Powell G. B. Comparative politics: A developmental approach. — Boston: Little Brown, 1966.

²⁶ Parsons T. Societies... Ch. 2; Parsons T. Social systems and subsystems; Interaction // International Encyclopedia of the Social Sciences. — NY, Macmillan, 1968; а также вводные разделы в книге:

თანხმობის მისაღწევად, შეუძლიათ პოლიტიკური ნება გამოავლინონ. ძლიერი ლიდერი, რომელიც ამავედროულად სახელმწიფოს მეთაურია, უნდა იყოს პიროვნება, რომელსაც შეუძლია განვითარების

არჩეული გზის პერსპექტიულობის პროგნოზირება და პოლიტიკური სტაბილურობისა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში სახელმწიფო სათანადოდ აღარ წარმოადგენს პოლიტიკის და მართვის საზოგადოებრივ-მაკონსოლიდირებელ სუბიექტს. ამ პირობებში კი პოლიტიკურ ლიდერებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარების შემდგომი ვექტორის განსაზღვრაში, ინტეგრაციული პროცესების განხორციელებაში. პოლიტიკური ლიდერობის პიროვნული კომპონენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა და აქვს, ქვეყნის ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე, ამიტომაც ძლიერ ლიდერზე დაკვეთა საკმაოდ დიდია. შემდგომ თავებში ჩვენ განვიხილავთ იმ ლიდერების როლს, რომლებმაც განაპირობეს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოებრივი განვითარების ესა თუ ის შედეგი და მრავალწილად განსაზღვრეს ამ ქვეყნებში მიმდინარე ისტორიული პროცესები.

თავი II. პოლიტიკური ლიდერებისა და ელიტების ფორმირების თავისებურებები პოსტსაბჭოთა საქართველოში

2.1. დამოუკიდებლობის მიღება და ეროვნული ხელისუფლების ფორმირება - ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური ლიდერის ფენომენი

ლიდერები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში გვევლინებიან – პოლიტიკაში, რელიგიაში, ბიზნესში, სპორტში, ორგანიზაციებში, კრიმინალურ გაერთიანებებში და სხვ. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ლიდერს განსაკუთრებული როლი ენიჭება ჯგუფური საქმიანობის ორგანიზებასა და სოციალურ ინტეგრაციაში. ეროვნული ლიდერები უზრუნველყოფენ ხალხის კოორდინაციას და მობილიზაციას, მიუხედავად იმისა საბოლოო მიზნები უტოპიურია თუ რეალური.

ინგლისელი ანთროპოლოგის ფ. ჰოლტონის მიერ XIX საუკუნეში ჩამოაყალიბდა "თვისებების თეორია", რომლის მიხედვითაც ადამიანები იბადებიან ლიდერებად და დაბადებიდანვე განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩევიან. ამ თეორიაში შედის "ავტორიტარული პიროვნების", "ქარიზმატული ლიდერის", "უდიდესი პიროვნების" კონცეფცია და ა.შ. პიროვნების მახასიათებლების განსაზღვრის პრაქტიკული სირთულის გამო, როგორც ლიდერის, ასევე ნებისმიერი სხვა ადამიანის შეფასებისას, სწორედ "თვისებების თეორიას" უნდა მივმართოთ.

ხსენებული პოპულარული თეორიის თანახმად, მიმდევრებს დომინანტური როლი ენიჭებათ ლიდერის მიერ გარკვეულ მოქმედებებზე მათი იძულების შემთხვევაში, ხოლო უფრო ნაკლები როლი ენიჭება ლიდერის თანდაყოლილ თვისებებს. ამ თეორიის მიმდევრები თვლიან, რომ ლიდერობის სწავლა შესაძლებელია. ამ ორი თეორიის გაერთიანებამ ჩამოაყალიბა „სიტუაციური თეორია“, რომლის მიხედვით ლიდერს ზრდის სოციალური და კონკრეტული ვითარება.

დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი რიცხოვანი და სოციალურ-ეკონომიკური დაბალი ზღავრის მქონე ხალხისთვის "ერის განმათავისუფლებელი",

"სამშობლოს მხსნელი", "დამოუკიდებლობის მომცემი", "ქვეყნის გამაერთიანებელი", "აღმდგენი" – ქარიზმატული ეროვნული ლიდერი, მაგალითად, საქართველოში, ბუნებრივი მოვლენაა. ამგვარ ქვეყნებში ხალხს აქვს ქარიზმატული ლიდერის მოლოდინი და პოლიტიკური აქტივობა შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი კანდიდატის ძიებითა და ემოციური მხარდაჭერით.

საქართველოში პოლიტიკური ლიდერების და ელიტის ფორმირების პროცესში გადამწყვეტი როლი ითამაშა აღმოსავლური საზოგადოებებისა და საბჭოთა წარსულის მქონე ქვეყნებისთვის დამახასიათებელმა პატრიარქულმა აზროვნებამ. საქართველოში გარდამავალი პერიოდი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ფონზე, იწვევდა ქარიზმატული ლიდერისადმი რწმენის ისტორიული ტრადიციის სპონტანურად აღორძინებას. ამ რწმენამ ახალი განზოგადება ჰპოვა ზ.გამსახურდიას, ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილის, ბ. ივანიშვილის პიროვნებებში.

აღმოსავლური და დასავლური ელემენტების გათვალისწინებით, ჩვენ გავაანალიზეთ პოლიტიკური ლიდერების და ელიტების კულტურული და ღირებულებითი მიმართულებები და, ამ მიზნით, გამოვკვეთეთ ქარიზმატული ლიდერის მიმართ დამოკიდებულებების კულტურა ქართულ საზოგადოებაში, დავეყრდენით რა ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხაილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობას. დიდი ადგილი დაუთმეთ თანამედროვე საქართველოში ავტორიტარიზმის აღორძინების საწყისების მიმოხილვას და დაქვემდებარებულობის კულტურის ელემენტებისა და ტოტალიტარული პიროვნებების ზრდის ტენდენციას. ჩვენ ასევე შევისწავლეთ სოციალურ და პოლიტიკურ კულტურაში სახელმწიფოებრივი აზროვნების ელემენტები, საზოგადოების კონსოლიდაციისაკენ ან დეზინტეგრაციისაკენ მიმართული ქმედებები და ამ ყველაფერზე ტოტალიტარული მემკვიდრეობის გავლენა.

საქართველოში პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემდეგ, ძალაუფლება გადაეცა დისიდენტურ ოპოზიციას. ზ. გამსახურდიას მეთაურობით ქვეყნის სათავეში ეროვნული ძალები მოვიდნენ. ეს ძალები პოლიტიკურ ბლოკში "მრგვალი მაგიდა" გაერთიანდა. დისიდენტური

ეროვნული მოძრაობის კონსოლიდაციისთვის, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა პერესტროიკის პერიოდში, როდესაც დადგა გორბაჩოვის "ნათესაური დემოკრატიისთვის" ხელსაყრელი დრო. 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა თბილისში დისიდენტური მოძრაობა და ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ძალები ერთ პოლიტიკურ ელიტად ჩამოაყალიბა. ეროვნული დამოუკიდებლობის იდეალებმა ფართო მასები მოიცვა, რამაც ეროვნული თვითცნობიერების ამაღლება და განმტკიცება გამოიწვია. დისიდენტთა გააქტიურების შედეგად, ეროვნული კონტრ-ელიტა ხელისუფლებაში 1990 წლის 28 ოქტომბერს მოვიდა.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ „მრგვალი მაგიდის“ არჩევნებში გამარჯვების მთავარი მიზეზი იყო დაპირება, რომ „მასებს სოციალურ გარდაქმნების განხორციელების შესაძლებლობა ექნებოდათ“. ამით გაერთიანებამ "მრგვალი მაგიდა" შეძლო ნაციონალურ მოძრაობა სოციალურ მოძრაობად ექცია, რამაც განსაზღვრა მოქმედებების რეალური მდგომარეობა. ეს იყო ყველაზე მოკლე გზა ძალაუფლებისკენ.²⁷

უზარმაზარი როლი ითამაშა, როგორც რაციონალურ-ბიუროკრატიულმა ლიდერმა. კოალიციის მიერ საქართველოში ჩატარებული არჩევნები თავისუფალი არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლის მნიშვნელოვანი პრეცედენტია, რაც დემოკრატიის ფუნდამენტური ღირებულებაა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროებში შემდგომი მოქმედებაა საჭირო.

ბ. ივანიშვილის ხელმძღვანელობით, როდესაც კოალიცია „ქართული ოცნებამ“ გაიმარჯვა, პირველ წლებში, როგორც არაერთხელ ავღნიშნეთ, ახალი ლიდერი ხასიათდებოდა რაციონალური და ბიუროკრატიული უნარ-ჩვევებით. ამავე პერიოდში, იგი ხანდახან ავლენდა ქარიზმატული ლიდერებისათვის დამახასიათებელ პატრიარქულ აზროვნებასაც.

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ბ. ივანიშვილმა გამოიყენა თავისი ავტორიტეტი. საქართველოს პრეზიდენტად ამომრჩეველმა აირჩია გ. მარგველაშვილი – საზოგადოების ფართო ფენებისათვის უცნობი ადამიანი (საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მას არ აღიქვამდა როგორც პოლიტიკოსს). პატრიარქალური კულტურისა და მორჩილებითი აზროვნების გამოვლენის მეორე მაგალითს წარმოადგენდა ბ. ივანიშვილი გადაწყვეტილება დაეტოვებინა "ქართული ოცნება", დაეარსებინა არასამთავრობო ორგანიზაცია "მოქალაქე" მისი ლიდერის სტატუსით, რათა უზრუნველყო მმართველი პარტიისათვის იდეოლოგიური და პროგრამული მხარდაჭერა. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ბ. ივანიშვილმა ჩაატარა პრესკონფერენციების სერია. ეს პერფომანსი პირდაპირ ეთერში გავიდა თითქმის ყველა წამყვანი მასმედიის საშუალებით. ბ. ივანიშვილმა პირდაპირ დააფიქსირა თავისი კეთილგანწყობა "ქართული ოცნებისადმი" და მოუწოდა ამომრჩევლებს ხმა მიეცათ ამ პარტიისათვის. ბ. ივანიშვილმა ჩამოაყალიბა და განაცხადა მმართველი პარტიის პროგრამული იდეები, რომელთა რეალიზებისთვისაც მეორე ვადის განმავლობაში იბრძოლებდა.

ამ საარჩევნო პოლიტიკამ შედეგი გამოიღო. ქართულმა ოცნებამ მოიგო მეორე საპარლამენტო არჩევნები და უზრუნველყო საკონსტიტუციო უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში. ეს მოხდა მაშინ, როდესაც, სააკაშვილის მმართველობის დროს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად,

„არსებული საკონსტიტუციო უმრავლესობის კვორუმი 2/3-ზე მეტი უნდა ყოფილიყო. ეს კი ნიშნავდა, რომ კონსტიტუციის შესწორებისთვის, 100 წარმომადგენლის ნაცვლად, 113 დეპუტატის მხარდაჭერა იყო საჭირო.“⁵⁰

თითქმის ანალოგიური პოლიტიკური ვითარება დაფიქსირდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მხოლოდ ერთი განსხვავებით: თუ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გ. მარგველაშვილი პირველ ტურში იქნა არჩეული, "დამოუკიდებელი" კანდიდატის ს. ზურაბიშვილის შემთხვევაში, აუცილებელი შეიქნა მეორე ტური, სადაც იგი კონკურენციას უწევდა ოპოზიციის "ძალა ერთობას" და მის მიერ დასახელებულ პრეზიდენტობის კანდიდატს გ. ვაშაძეს "ნაციონალური მოძრაობიდან".

2016 წლის 2 სექტემბრის საპარლამენტო არჩევნებში ქართველმა ამომრჩეველმა გამოხატა მორჩილებითი და პატრიარქალური ქცევის უკიდურესი ხარისხი. შერეულ საარჩევნო სისტემაში, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ საარჩევნო სისტემაში მიიღო ხმების დაახლოებით 49%, ხოლო მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში 71. ისინი ასოცირდნენ ბ. ივანიშვილის პარტიასთან დაახლოებულ პირებთან. ეს იყო ის შემთხვევა, როდესაც საარჩევნო კამპანიის დროს არ დაფიქსირებულა ოპოზიციის კანდიდატებზე ზეწოლის ან დაშინების ფაქტები. აღნიშნული ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას საზოგადოების ფართო მასებში პატრიარქალური და მორჩილებითი პოლიტიკური კულტურის მაღალი ზღვარის შესახებ.

რაც შეეხება კოალიციის ცალკეულ პარტიებად დაშლას, ეს გარდაუვალი იყო, რადგან მათაც კარგად ესმოდათ, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ შეძლებდა კონსტრუქციულ ოპოზიციურ ძალად გადაქცევას. 2012 წლის არჩევნებში, ბ. ივანიშვილის ხელმძღვანელობით კოალიცია "ქართული ოცნების" გამარჯვებას პოლიტიკური რეჟიმის "დარბილება" და მეტ-ნაკლებად პლურალისტური გარემოს დამკვიდრება მოჰყვა.

მთლიანობაში, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია წარმოშობს ერთიანობის, საერთო სულიერი ღირებულებების გამოცდილებას, რაც საჭიროა

⁵⁰ ცვლილებები კონსტიტუციაში, პირველი მოსმენა ელ.რეურსი:
<http://www.civil.ge/geo/article.php?id=24945>

სულიერებაში ერთიანობისა და თვითმყოფადობის გასაძლიერებლად. საზოგადოების მოდერნიზაცია ასევე გადამწყვეტი ფაქტორია განათლებისა და კულტურის განვითარებაში. მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების ვალდებულება, სამოქალაქო ინტეგრაციისა და პლურალისტური დემოკრატიის ჩამოყალიბების საქმეში, დიდ როლს შეასრულებს ისტორიული შემწყნარებლობის ფაქტორი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ხორციელდებოდა და ქართველების თანდაყოლილი თავისებურებაა. სამოქალაქო კულტურის დამკვიდრების პროცესში, ლომის წილი მიუძღვის პლურალისტურ მასმედიას, რომლის ნიშნებიც აშკარადაა გამოკვეთილი.

III. ისრაელის ლიდერების როლი საზოგადოების კონსოლიდაციისა და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში და პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა თანამედროვე ისრაელში. ემპირიული კვლევა-ებრაელი და ქართველი ექსპერტების გამოკითხვა

3.1. ბრძოლა ისრაელის სახელმწიფოს შექმნისათვის და პოლიტიკური ლიდერების როლი

ებრაელების ისტორიის დიდი ნაწილი დევნილობაში ყოფნასა და ჩაგვრასთან არის დაკავშირებული. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისინი თავიანთი ქვეყნის აღდგენისთვის იბრძოდნენ.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პროცესის ძირითად ეტაპებად შეიძლება მივიჩნიოთ: სიონისტური მოძრაობის ჩამოყალიბება, ბალფურის დეკლარაცია, ბრიტანული მანდატის მოქმედება პალესტინაზე, გაეროს გეგმა პალესტინის დაყოფა-განაწილების შესახებ და დამოუკიდებლობისათვის ომი.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა იმ პოლიტიკური პროცესების ერთობლიობას, რომელიც 1897 წელს პოლიტიკური მოძრაობა სიონიზმის შექმნით დაიწყო და დასრულდა 1948 წლის 14 მაისს - დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ასევე 1949 წელს დამოუკიდებლობისათვის ომში გამარჯვებით და იმავე წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც არაბებმა, მოგვიანებით კი თურქებმა დაიპყრეს პალესტინა, ებრაელების რიცხოვნობამ ამ მიწაზე პირიქით-იმატა. ესენი იყვნენ ებრაელები ჩრდილოეთ აფრიკიდან და სეფარადიებრაელები ესპანეთიდან, რომლებიც 1492 წელს ესპანური ინკვიზიციის დროს განდევნეს ქვეყნიდან.

მე-18 საუკუნეში პირველად გამოჩნდნენ ერეც ისრაელში აშკენაზი ებრაელები გერმანიიდან, პოლონეთიდან და ლიტვიდან. 1700 წელს განხორციელდა ებრაელების პირველი მასიური გადასახლება გერმანიიდან.

1777 წელს დაიწყო ხასიდოზმის მიმდევართა აღია. ბაალ შემ ტოვის (ბაშატ-აკრონიმი) 3 მოსწავლე სათავეში ჩაუდგა ხასიდური ოჯახებისაგან შემდგარ 300-კაციან ჯგუფს. თუმცა ამ მოძრაობამ გზა გაუკვალა ისრაელში ევროპელ ებრაელებს და გახდნენ ებრაული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ფუნდამენტი, დღესდღეობით არ აღიარებენ ისრაელის სახელმწიფოს. აღმსარებლობის მიხედვით, ისინი არიან

ორთოდოქსული იუდეველები, რომლებიც მიეკუთვნებიან სატმარელი ხასიდების მიმდინარეობას. ამ მიმართულებამ დასახელება მიიღო რუმინული ქალაქიდან „სატმარე“, სადაც მდებარეობდა მათი ხელმძღვანელის რეზიდენცია, რომელიც პრინციპულად არ აღიარებდა ისრაელის სახელმწიფოს, რადგან მიიჩნევდა, რომ ებრაული სახელმწიფო უნდა დაფუძნებულიყო არა სიონისტების მიერ, არამედ თორის მიხედვით უნდა შეექმნა მესია.

მე-19 საუკუნის დასაწყისში ევროპაში დიდი ცვლილებების ერა დადგა. კერძოდ, საფრანგეთში მოხდა დიდი რევოლუცია (1789-1799 წწ.). ებრაელებს სამოქალაქო უფლებები მიენიჭათ. ევროპაში განხორციელდა ემანსიპაცია, რასაც ებრაელების გეტოებიდან გამოსვლა მოჰყვა.

რწმენა განთავისუფლების თაობაზე ურყევი იყო. ებრაელები მოუთმენლად ელოდებოდნენ მესიის მობრძანებას. თუმცა მარტო ლოდინი არ კმაროდა, ბუნებრივი, მოქმედებაც იყო საჭირო. ამ იდეოლოგიის ავტორი იყო იეჰუდა ალკალაი, ბელგრადის მახლობლად პატარა თემის ნაკლებად ცნობილი მქადაგებელი, რომელმაც აქტიურად დაიწყო თავისი შეხედულებებისა და იდეოლოგიის გავრცელება: წერდა სტატიებს, ბეჭდავდა ბროშურებს, სტუმრობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, შემდეგ კი გადასახლდა ერეც ისრაელში, სადაც დაუღწეოდ უწევდა პროპაგანდას იდეას ებრაელების ჩასახლების თაობაზე სხვადასხვა ქვეყნიდან, მხარს უჭერდა და ადვოკატირებდა ნაციონალური ერთობის იდეას. თითქმის მსგავსი იდეებით იყო შეპყრობილი ჰირშ კალიშერი (1795-1874 წწ.)-წარმოშობით პოლონელი გერმანელი რაბინი და სწავლული, იგი მიიჩნევდა, რომ ებრაელების მიერ დასავლეთ ევროპაში მიღებული თავისუფლება - ეს მხოლოდ დასაწყისი იყო გეულის (განთავისუფლების), რის გამოც აქტიურ აგიტაციას ეწეოდა და მხარს უჭერდა ებრაელების გადასახლებას წინაპართა ქვეყანაში.

ასეთივე მოსაზრებები ჰქონდა ებრაული ნაციონალიზმის კიდევ ერთ წარმომადგენელს მოსე ჰესს (1812-1875), თუმცა მისი თეორია საგრძნობლად განსხვავდებოდა ალკალაისა და კალიშერისაგან. თუ ეს უკანასკნელნი წარმატებით ორიენტირდებოდნენ და ყურადღებას ამახვილებდნენ თანახის, თალმუდისა და კაბალის პირველწყაროს არგუმენტებზე, ჰესის ცოდნა ამ სფეროში იყო შემოფარგლული. ჰესის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ებრაული მენტალიტეტი მიმართული იყო სეკულარიზმისკენ, მან განაცალკევა მესიანიზმი სამშობლოში დაბრუნების იდეისაგან.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დასავლეთ ევროპის უმეტეს ქვეყანაში დასრულდა ებრაელების ემანსიპაციის პროცესი. ებრაელებს სჯეროდათ, რომ ისინი იყვნენ თავიანთი ქვეყნის თანასწორუფლებიანი მოქალაქეები. თუმცა ებრაელები ნუგეშს ვერსაიდან ხედავდნენ და დაიწყეს პალესტინოფილური დაჯგუფებების შექმნა, რომელმაც 1887 წელს საფუძველი დაუდო მოძრაობა „ხოვევეი ციონის“ შექმნას.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ევროპელმა ებრაელებმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკაში, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, რის საფუძველზეც საშუალო კლასის წარმომადგენელთა რიგებიდან გადაინაცვლეს წამყვან პოზიციებზე. თუმცა წარმატებისა და აღიარების გარდა, ამ ერის წარმომადგენლები განიცდიდნენ დევნას და რბევას, რომლებიც ხშირ შემთხვევებში წაქეზებული და წახალისებული იყო ხელისუფლების მხრიდან.

ამ მოვლენას დაერქვა სახელად „ანტისემიტიზმი“. ებრაელებისთვის, დამამცირებელი და უდიერი მოპყრობა ხდებოდა ნებაყოფლობითი ასიმილაციის საფუძველი.

1897 წელს, შვეიცარიის ქალაქ ბაზელში, პირველ სიონისტურ კონგრესზე დაფუძნდა ებრაელ ხალხთა ეროვნული მოძრაობა-სიონიზმი. აღნიშნული კონგრესის მოწვევის ინიციატორი იყო თეოდორ ჰერცლი.

ჰერცლის თანამოაზრედ და აქტიურ მხარდამჭერად ითვლებოდა დავიდ ვოლფსონი, რომელმაც მთელი თავის შეგნებული ცხოვრება ისრაელის სახელმწიფოს შექმნისთვის ბრძოლას მიუძღვნა. მისი მოღვაწეობის დროს სიონიზმს დაემატა ახალი თვისება, თუ სიონიზმი ადრე მხოლოდ, რელიგიური და პრაქტიკული მიმდინარეობით ხასიათდებოდა, საჭირო გახდა პოლიტიკური მიმართულების ამოქმედებაც. პოლიტიკური სიონისტების პროგრამად მიჩნეული იქნა თეოდორ ჰერცლის წიგნი „ებრაელების სახელმწიფო“, ებრ. „მედინათ ჰაიეჰუდიმ“, რომელშიც გაერთიანებული იყო ებრაული საკითხის თანამედროვე გადაწყვეტის გამოცდილება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჰერცლის მიერ სიონიზმის ჩამოყალიბება მოხდა სეკულარულ საწყისებზე და არ წარმოადგენდა რელიგიურ მოძრაობას.

ამ ყველაფრის პარალელურად 1899 წელს, ინგლისში პირველი და მეორე სიონისტური კონგრესის გადაწყვეტილებით დაფუძნდა პირველი სიონისტური-ებრაული კოლონიალური ბანკი, რომელიც დარეგისტრირდა ინგლისურ სააქციო საზოგადოებად. „ბანკის შექმნის მთავარი ინიციატორი იყო ჰერცლი. მის მიზანს

წარმოადგენდა ხსენებული ბანკის, სიონისტური მოძრაობის ძლიერ საყრდენად გადაქცევა. არსებობის დაწყებისთანავე ანგლო-პალესტინური კომპანია დაკავდა მიწების შეძენით, იმპორტითა და კონცესიით. იგი ფინანსურად მხარს უჭერდა თანადაკრედიტების საზოგადოებას, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პალესტინაში ებრაული მოსახლეობის ჩასახლების მოძრაობისთვის. ერთ-ერთ ასეთ საზოგადოებას წარმოადგენდა ზემოხსენებული „ჰა-შომერი“, რომელიც შემდეგში გარდაიქმნა „ჰაგანაში“, საბოლოოდ კი ისრაელის თავდაცვის არმიად.⁵¹

1904 წლის 30 ივლისს, თეოდორ ჰერცლის გარდაცვალების შემდეგ, მისი გზა გააგრძელა ზეევ ჟაბოტინსკიმ.

1914 წლის ოქტომბერში პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მხარდასაჭერად ომში ჩაება თურქეთი. ამ პერიოდისათვის პალესტინა შედიოდა თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში.

პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, 1917 წელს, ზეევ ჟაბოტინსკისა და იოსებ ტრუმპელდორის ინიციატივით ბრიტანული არმიის შემადგენლობაში ჩამოყალიბდა „ებრაული ლეგიონი“,

იმავე წლის ნოემბერში დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა-საგარეო საქმეთა მდივანმა არტურ ბალფურმა გამოსცა დოკუმენტი, რომელსაც შემდგომში ეწოდა ბალფურის დეკლარაცია.

დეკლარაციის მიღებამ ხელი შეუწყო ებრაელების პალესტინაში იმიგრაციის მნიშვნელოვან ზრდას, კერძოდ 1919 წლიდან 1921 წლის ჩათვლით პალესტინაში საცხოვრებლად გადავიდა 18 ათასი ებრაელი. თუმცა ებრაელთა მიგრაციამ 1920 წლის აპრილში იერუსალიმში გამოიწვია არეულობა.

თუმცა ინგლისური ადმინისტრაცია ხელოვნურად უზღუდავდა ებრაელებს პალესტინის ტერიტორიაზე შესვლის საშუალებას. 1936 წლის მაისში გერმანიის ანტიებრაული პოლიტიკიდან და ებრაელების ევროპიდან ფართომასშტაბიანი გაქცევის გამო ინგლისელებმა გამოაქვეყნეს მე-3 „თეთრი წიგნი“, რომლითაც სრულად აიკრძალა ებრაელების რეპატრაცია პალესტინის მიწაზე.

1939 წლის სექტემბერში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც დიდი უბედურება მოუტანა ებრაელ ხალხს. ჰიტლერის ანტიებრაულმა პოლიტიკამ ებრაელები აიძულა, ემიგრირებულიყვნენ, გაიზარდა რეპატრიანტთა ნაკადი.

⁵¹ ლომოური ნ., სიონიზმის აღმოცენება და განვითარება. - ქართული დიპლომატია, ტ.10, თბილისი, 2002 წ. 144 გვ

გერმანელთა მიერ ევროპის ოკუპაციის და სსრკ-ში შეჭრის შემდეგ დაიწყო ებრაელი ხალხის ყველაზე საშინელი ტრაგედია მის მთელ ისტორიაში. ამ ტრაგედიას გააჩნდა რამოდენიმე ეტაპი-შოა (კატასტროფა, ჰოლოკოსტი) გერმანელ-ფაშისტთა მიერ მეორე მსოფლიო ომში გაჟლეტილ იქნა 6 მილიონამდე ებრაელი.

ებრაელი ხალხი გმირულად იბრძოდა ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, მარტო საბჭოთა კავშირის მხრიდან 131 ებრაელი გახდა ამ ქვეყნის გმირი. მათგან 45-მა ორჯერ მიიღო ეს წოდება. მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას ებრაელ ხალხს არ შეუწყვეტია ფიქრი და მოქმედება ებრაული სახელმწიფოს შექმნის შესახებ პალესტინის ტერიტორიაზე, სიონისტები შეთანხმდნენ საგანგებო სიონისტური კონფერენციის მოწვევის თაობაზე ნიუ-იორკში. კონფერენცია გაიმართა 1942 წელს ნიუ-იორკში, სასტუმრო „ბილტმორში“, იგი მიმდინარეობდა 6 მაისიდან 11 მაისამდე პერიოდში.

ინგლისის სურვილს წარმოადგენდა პალესტინაში მულტიეთნიკური სახელმწიფოს შექმნა, საბჭოთა კავშირი და აშშ კი მხარს უჭერდნენ პალესტინის ტერიტორიაზე 2 – ებრაული და არაბული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აშშ-ს პოლიტიკურ ელიტაში არ არსებობდა ერთიანი შეხედულება. მიუხედავად წამოჭრილი საკითხის მიმართ აქტიური წინააღმდეგობისა მარშალის, ფორესტოლისა და სხვათა მხრიდან, ტრუმენზე ებრაული ლობის ზემოქმედების ხარისხი მატულობდა. იგი 1947 წლის ნოემბერში საიდუმლოდ შეხვდა ხაიმ ვაიცმანს, რომელსაც მხარდაჭერას დაპირდა, თუმცა გამოთქვა ვარაუდი რეგიონში საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის გაძლიერების საფრთხესთან დაკავშირებით, რაც მეორე მხრის მიერ არგუმენტირებულად იქნა იგნორირებული. ტრუმენს ძალიან დაეხმარა ნელსონ როკფელერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფარული ბიზნესით იყო დაკავებული ნაცისტებთან. მან შეძლო და პოზიტიურად განაწყო ლათინური ამერიკის ქვეყნები ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საკითხის მხარდასაჭერად.

1947 წლის 29 ნოემბერს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ მხარდაჭერილ იქნა 181 რეზოლუცია, ბრიტანული მანდატის მოქმედების შეწყვეტისა და პალესტინის ტერიტორიაზე ორი ქვეყნის ჩამოყალიბების შესახებ.

ებრაელი ხალხი და დავიდ ბენ-გურიონი ხედავდნენ, რომ შეიძლებოდა, სიტუაცია რადიკალურად შეცვლილიყო და ებრაელთა სახელმწიფოს შექმნას საფრთხე დამუქრებოდა.. ბენ-გურიონმა გადაწყვიტა, მსოფლიოსთვის ეცნობებინა ებრაული

დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების თაობაზე და 1948 წლის 14 მაისს, ბრიტანული მანდატის მოქმედების მიწურულს, თელ-ავივში, როტშილდის ბულვარზე მდებარე მუზეუმში⁵² (მეირ დიზენგოფის ყოფილი სახლი), დღის 4 საათზე, შაბათის შემობრძანებამდე, გააჟღერა დეკლარაციის შინაარსი დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს დაარსების შესახებ.

დეკლარაციის გაჟღერებიდან უკვე მეორე დღეს არაბული ლიგის 5 წევრმა ქვეყანამ (სირია, ეგვიპტე, ლიბანი, ერაყი და ტრანსიორდანია) დაიწყო სამხედრო მოქმედებები თვითგამოცხადებული ქვეყნის წინააღმდეგ.

„ებრაული ხალხისთვის ეს იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რომელიც დაიწყო პალესტინის გაყოფის თაობაზე გაეროს რეზოლუციის მიღების მომდევნო დღეს, გადაწყვეტილებით უკმაყოფილო არაბების მხრიდან. ქრონოლოგიურად ეს იყო ომის პირველი ეტაპი, რომელიც გაგრძელდა 1948 წლის 14 მაისამდე. მეორე ეტაპი კი როგორც აღვნიშნეთ, დაიწყო 15 მაისიდან, დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ მეორე დღეს და გაგრძელდა 1949 წლის 20 ივლისამდე, საბოლოოდ სირიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე.“⁵³

საბოლოო ზავის დადებამდე, გაეროს რეზოლუციებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და დადგენილ კრიტერიუმებთან ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისობის დადასტურების საფუძველზე, უშიშროების საბჭომ დაამტკიცა ისრაელის კანდიდატურა, რის შემდეგაც 1949 წლის 11 მაისს იგი აღიარებულ იქნა გაეროს 59-ე წევრად.

თუ გადავხედავთ ისრაელის პოლიტიკური ცხოვრების საწყის ეტაპს, შევამჩნევთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში მუშათა მოძრაობის პიონერებმა დააფუძნეს პირველი პოლიტიკური პარტიები. მათგან მაგალითი გადაიღეს სხვა საზოგადოებრივმა დაჯგუფებებმა, კერძოდ: რელიგიური სიონიზმის მიმდევრებმა, საშუალო კლასის წარმომადგენლებმა, რადიკალური ნაციონალიზმის იდეით შეპყრობილმა სიონისტ-რევოლუციონისტებმა.

1948 წლის 11 აპრილს, ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადებამდე, პალესტინის ტერიტორიაზე მოქმედი პოლიტიკური პარტიების წევრთა შემადგენლობიდან დაფუძნდა კოალიციური სახალხო საბჭო, როგორც იშუვის

⁵³გვენეტაძე ე., ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიიდან. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. გამომც. უნივერსალი“. თბ., 2010 წ. 96 გვ. 17

წარმომადგენლობითი ორგანო. სახალხო საბჭოს წევრთა რიგებიდან სოხნუთის დირექციამ აირჩია 13-წევრიანი სახალხო მმართველობა დავიდ ბენ-გურიონის ხელმძღვანელობით, დროებითი მთავრობა მინისტრთა კაბინეტის პროტოტიპის სახით. სახალხო მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს ჯორჯ მარშალის გეგმაზე, 1948 წლის 14 მაისს ისრაელის სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების გადადების თაობაზე უარის თქმა. დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ სახალხო მმართველობა გახდა ახალგაზრდა სახელმწიფოს პირველი მინისტრთა კაბინეტი, რომელმაც თავისი მოვალეობა შეასრულა 1949 წელს გამართულ ქნესეთის პირველ არჩევნებამდე.

სახალხო საბჭომ ძალადაკარგულად გამოაცხადა რიგი ბრიტანული კანონებისა. 16 მაისს იმავე საბჭომ თავმჯდომარედ აირჩია ქვეყნის მომავალი პრეზიდენტი ხაიმ ვაიცმანი.

1949 წლის 25 იანვარს გამართული არჩევნების შედეგად წარმომადგენლობით ორგანოში მოსახვედრად საკმარის ხმათა რაოდენობა მოიპოვა 21-დან 12-მა ორგანიზაციამ.

სადამფუძნებლო კრებამ თავისი პირველი სხდომა გამართა იმავე წლის 14 თებერვალს იერუსალიმში, ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ რეზიდენციაში, სადაც სპიკერად არჩეულ იქნა იოსებ შპრინცაკი, სიონისტური მოღვაწე, პარტია „ჰა-პოელ ჰა ცაირ“-ის ლიდერი, ჰისტადრუთის გენერალური მდივანი. პირველი კრებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ წარმომადგენლობითმა ორგანომ შეიცვალა სახელწოდება და ეწოდა „ქნესეთი“.

ისრაელის პარლამენტის პირველმა შემადგენლობამ არა მარტო დაამკვიდრა მწვავე დისკუსიების ეტალონი, არამედ სათავე დაუდო ისრაელის სახელმწიფოებრიობის სიმბოლურ და პრაქტიკულ ფუნქციონირებას. მიღებულ იქნა „კანონი განათლების შესახებ“, „კანონი ქალთა თანასწორობის შესახებ“, „კანონი დაბრუნების შესახებ“, რომელმაც ნებისმიერ ებრაელს, სურვილის არსებობის შემთხვევაში, მიანიჭა უფლება ისრაელში რეპატრიაციის, „კანონი ნაცისტებისა და მათი თანამზრახველების დასჯის შესახებ“, რომლის საფუძველზეც ისრაელის ხელისუფლებამ დაიწყო ჰიტლერის რეჟიმის დამნაშავეთა დევნა. ამავე პერიოდში

არჩეული იქნა ქვეყნის პირველი პრეზიდენტი და დამკვიდრდა ხელისუფლების ცვლის სამართლებრივი პრინციპი.

1949 წლის 17 თებერვალს ისრაელის პარლამენტის მიერ არჩეულ იქნა ქვეყნის პირველი პრეზიდენტი-პროფესიით ქიმიკოსი, სიონისტი - ხაიმ ვაიცმანი, რომელმაც პოსტზე დაჰყო 3 წელზე მეტი.

1952 წლის ნოემბერში, ალბერტ აინშტეინისაგან პრეზიდენტობაზე უარის მიღების შემდეგ, ქვეყნის მეორე პრეზიდენტად ქნესეთის მიერ არჩეულ იქნა ებრაელი პოლიტიკოსი იცხაკ ბენ ცვი, ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრი იყო პოლონეთიდან ემიგრირებული დავიდ ბენ-გურიონი, სიონიზმის თვალსაჩინო მოღვაწე, პალესტინაში ებრაული მუშათა მოძრაობის ლიდერი, ებრაული სააგენტოს „სოხნუთის“ თავმჯდომარე, რომელმაც თანამდებობა დაიკავა 1948 წლის მაისში, მას შემდეგ, რაც დაარსდა ისრაელის სახელმწიფო. მისი ახალგაზრდობა უკავშირდება ზევე ჟაბოტინსკისთან თანამშრომლობას, მისი დიდი დამსახურებაა ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადება და სახელმწიფოს დაარსება.

1952 წელს ბენ-გურიონი აღმოჩნდა იმ პოლიტიკური კრიზისის წინაშე, რომელიც უკავშირდებოდა გერმანული მხარისგან რეპარაციის მიღებას. აღნიშნულის გამო იგი 1953 წელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში დროებით ჩამოშორდა სახელმწიფო მოღვაწეობას, მაგრამ ისრაელის სამხედრო დაზვერვის წარუმატებელი ოპერაციისა და მისი მომხრეების დაჟინებული მოთხოვნის შედეგად იგი დაბრუნდა ხელისუფლებაში.

ისრაელის სახელმწიფოს რიგით მე-5 პრემიერ-მინისტრის გოლდა მეირის (გოლდა მახოვიჩი-შემდგომში მეუღლის გვარზე მყოფი, მეერსონი-მეირი) დაიბადა 1898 წელს კიევში. იგი იყო იმ 38 ადამიანთა შორის, რომელმაც ხელი მოაწერა ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციას. აღნიშნული მოვლენების შემდეგ 1949 წლამდე, იგი გახლდათ ისრაელის პირველი ელჩი საბჭოთა კავშირში, რის შემდეგაც გადაინაცვლა მთავრობაში. სხვადასხვა პერიოდში ეკავა პრემიერ-მინისტრის, შინაგან საქმეთა, სოციალური უზრუნველყოფის და საგარეო საქმეთა მინისტრების პოსტები.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნასა და მისი სუვერენიტეტის დაცვაში არანაკლები წვლილი მიუძღვის „მოშე დაიანს, რომელიც, გოლდა მეირისა და დავიდ ბენ-გურიონის მსგავსად, იყო პარტია „მაპაის“ მანდატით შესული წევრი ქნესეთში,

ისრაელის მთავრობაში ეკავა სხვადასხვა თანამდებობა, ლევი ეშქოლის და გოლდა მეირის პრემიერობის დროს იყო თავდაცვის მინისტრი (1967-1974 წწ), მენახემ ბეგინის მმართველობის პერიოდში ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი (1977-1979 წწ). მას დავიდ ბენ-გურიონის თავდაცვის მინისტრობის პერიოდში ეკავა გენერალური შტაბის უფროსის პოზიცია. ამ პოსტზე ყოფნისას მან ითამაშა საკვანძო როლი სუეცის კრიზისთან დაკავშირებული ოპერაცია „კადემის“ დადგენაში, რაც ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. იგი ასევე იღებდა მონაწილეობას 6 დღიანი ომის (1967 წ.) და „განკითხვის დღის“ (იომ ქიფური) ომის (1973 წ.) დაგეგმვასა და წარმოებაში.⁵⁴

ისრაელის სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით ებრაელმა ლიდერებმა გაცილებით ადრე დაიწყეს ფიქრი, შესაბამისად-ყველა ძალისხმევა მიმართული იყო პალესტინის ტერიტორიაზე დასახელებული ებრაელების საკუთრებაში არსებული ქონების დაცვაზე, მიწების შეძენასა და შეირაღებული გასამხედროებული იატაკქვეშა ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების ჩამოყალიბებაზე.

ისრაელის თავდაცვის არმია (ცაჰალი), ჩამოყალიბდა 1948 წლის მაისში, დამოუკიდებლობისათვის ომის პერიოდში, იმჟამინდელი დროებითი მთავრობის ხელმძღვანელის დავიდ ბენ-გურიონის გადაწყვეტილებით.

ამ პერიოდისათვის ისრაელს არ გააჩნდა ოფიციალურად დაწერილი დოქტრინა ეროვნული უშიშროების შესახებ. ქვეყანაში მიმდინარე ომი მოითხოვდა დიდ რესურსებსა და ძალისხმევას, რის გამოც 1948 წლის ივნისში, ორგანიზაცია „ჰაგანას“ ხელმძღვანელობას (ისრაელ გალილი და ლევი ეშქოლი) და სხვა იატაკქვეშა გასამხედროებული ორგანიზაციების, „ეცელის“ (მენახემ ბეგინი) და „ლეხის“ (ნათან იალინ-მორი, ისრაელ ელდადი) ხელმძღვანელებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება მათი დანაყოფების „ცაჰალის“ შემადგენლობაში ინტეგრაციის შესახებ.

1948 წლის 14 მაისამდე ებრაულ თავდაცვის ორგანიზაცია „ჰაგანაში“ არსებობდა ერთიანი სამსახური „შერუთ იედიოთ“, შემოკლებით „შაი“, რომელიც ასრულებდა საინფორმაციო-სადაზვერვო და კონტრდაზვერვით ფუნქციებს. ებრძოდა „ლეხი“-ს მსგავს რადიკალურად განწყობილ ებრაულ ორგანიზაციებს.

⁵⁴ რაბინოვიჩი ა., „იომ-ქიფურის ომი“. მთარგმნელები: არჩილ ახალკაციშვილის, რატი ჭკადუა, თბ. ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 2007 წ. გვ.46-53

1948 წლის ივნისში, დავიდ ბენ-გურიონის გადაწყვეტილებით საგარეო დაზვერვა დაექვემდებარა სამხედრო დაზვერვას და საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური სამმართველოს დანაყოფს „მახლექეთ ე-მეხკარ“-ს. კონტრდაზვერვითი საქმიანობისა და შიგა უსაფრთხოების დაცვის ფუნქციებით აღიჭურვა „უსაფრთხოების საერთო სამსახური“ დღეს მოქმედი „შაბაქი“. მათ შორის 1951 წლამდე სტატუსი შეინარჩუნა არალეგალური იმიგრაციით დაკავებულმა სამსახურმა „ალია-ბეთმა“, „მოსად ლე ალია-ბეთ“. სამსახური წლების განმავლობაში ეხმარებოდა ებრაელებს სხვადასხვა ქვეყნიდან გამოსვლასა და ერეც-ისრაელის ტერიტორიაზე იმიგრაციაში. ისრაელის საგარეო დაზვერვის სამსახური, ლეგენდარული „მოსადი“, რომელსაც მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიო სპეცსამსახურებს შორის, დაარსებულ იქნა 1951 წლის 1 აპრილს, 2 ორგანიზაციის „კოორდინაციის ცენტრალური სააგენტოს“ და „დაზვერვისა და უსაფრთხოების ცენტრალური სააგენტოს“ გაერთიანების საფუძველზე, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა გამოცდილ და სადაზვერვო საქმიანობის უბადლო მცოდნე პროფესიონალს-რუვენ შილოახს. „მოსადი“, როგორც სხვა დანარჩენი სპეცსამსახურები, დაექვემდებარა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და მისი ხელმძღვანელი იმავდროულად წარმოადგენდა ისრაელის სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა კომიტეტის „ვარაშის“ წევრს.

„მოსადი“, განსხვავებით „შაბაქისაგან“, დაკავებულია საგარეო, ანუ ქვეყნის გარეთ პოლიტიკური სადაზვერვო საქმიანობის წარმოებით. მისი საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ სადაზვერვო საქმიანობის წარმოებითა და აქტიური ღონისძიებების გატარებით ისრაელის ფარგლებს გარეთ. „მოსადის“ სამსახურის თანამშრომლების ფუნქციებში შედის ასევე ებრაელების რეპატრიაცია ისეთი ქვეყნებიდან, საიდანაც შეზღუდულია გამოსვლა გარკვეულ გარემოებათა გამო.

„მოსადის“ ძირითადი სამსახურები დაკომპლექტებულია გეოგრაფიული სპეციალიზაციის და ინტერესის სფეროების მიხედვით. სამსახურის შემადგენლობაშია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან ურთიერთობების, ფსიქოლოგიური ომისა და პროპაგანდის წარმოების დანაყოფები, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია ბირთვული იარაღის შექმნით დაკავებული ისრაელის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების შეკავების და მათ მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარების ფუნქციით აღჭურვილი სამსახური, ასევე საგარეო კონტრდაზვერვითი საქმიანობის განმახორციელებელი და ნაცისტების მოძიების და მათთან ანგარიშსწორების

სამსახურები, გარდა ხსენებული სამსახურებისა, განსაკუთრებული ფუნქციებით არის აღჭურვილი ადმინისტრაციული და ანალიტიკური დანაყოფები.“⁵⁵

„მოსადის“ შემადგენლობაშია ასევე სასწავლო აკადემია „მიდრაში“, რომელიც ამზადებს მომავალ კადრებს სამსახურისთვის და კვალიფიკაციას უმაღლებს უკვე დასაქმებულ თანამშრომლებს.

1957 წელს ისრაელის სპეცსამსახურების რიგებში გაჩნდა კიდევ ერთი ორგანიზაცია-სამეცნიერო კავშირების ბიურო-„ლაკამი“ რომლის საჭიროება განპირობებული იყო ისრაელის სახელმწიფოს ბირთვული იარაღით უზრუნველყოფის აუცილებლობით. დასაწყისში „ლაკამს“ დაევალა ქალაქ დიმონაში მშენებარე ბირთვული რეაქტორის საიდუმლოებისა და უსაფრთხოების დაცვა, შემდეგ კი ზრუნავდა ქვეყნისთვის აუცილებელი ბირთვული კომპონენტებისა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ინფორმაციის მოპოვებაზე.

დასახელებულ უწყებებთან და სამსახურებთან შედარებით, გაცილებით გვიან, 1999 წელს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა ისრაელის ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც დაექვემდებარა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კანცელარიას.

თითქმის იმავე პერიოდში, 2001 წელს, „მთავრობის შესახებ კანონის“ საფუძველზე ფორმირებულ იქნა ისრაელის სამხედრო-პოლიტიკური კაბინეტი, იგივე ისრაელის მინისტრთა კომისია უშიშროების საკითხებში. კაბინეტი დაკავებულია ეროვნული უშიშროების შედარებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტით და მოქცეულია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობის ქვეშ.

⁵⁵ Дайчман И. Моссад. История лучшей в мире разведки. 2001 г. 116 ст.

3.2. პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა თანამედროვე ისრაელში

პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა პოლიტიკური, როგორც არაერთხელ ავლნიშნეთ ზემოთ, მეცნიერების ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. პოლიტიკური ელიტის კვლევა მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით, ასევე ქვეყნის განვითარების ყველაზე სავარაუდო სცენარის პროგნოზირებით. ამ მხრივ ისრაელის პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის განხილვა მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსა და ისრაელის საგარეო-პოლიტიკური თანამშრომლობის კუთხით, ასევე ისრაელის რეგიონის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების თვალსაზრისითაც, აგრეთვე, ახლო აღმოსავლეთის პრობლემების დარეგულირების კონტექსტში. თვალსაჩინოა, რომ ისრაელისთვის ყოველთვის აუცილებელი იყო ძლიერი პოლიტიკოსების არსებობა, გამოკვეთილი ლიდერის თვისებებით, რომლებიც შეძლებდნენ თავის გარშემო გაერთიანებინათ განსაკუთრებულად არაერთგვაროვანი საზოგადოება. ჩვენ შევეცადეთ გამოგვეყო ისრაელში ლიდერის ჩამოყალიბების ეტაპები, მოვახდინეთ ამ პროცესის პერიოდიზაცია და განვიხილეთ თითოეული ეტაპი.

ისრაელში ლიდერად ჩამოყალიბების შემდეგი ეტაპები შეიძლება გამოიყოს:

1) ქარიზმატული ლიდერის ეპოქა (მე-19 საუკუნის დასასრული - მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი); 2) გარდამავალი პერიოდი - ახალი თაობის ლიდერის ძიების პერიოდი (80-იანი წლების დასაწყისი დ 90-იანი წლების დასასრული); 3) ტექნოკრატი ლიდერების ეპოქა (21-ე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე). ქარიზმატული ლიდერები კმნიდნენ და მართვდნენ ქვეყანას პირველ ათწლეულებში, ესენი იყვნენ დავიდ ბენ-გურიონი, მენახემ ბეგინი, გოლდა მეირი. ამ პოლიტიკოსების სტილი მართველობის ავტორიტარული ტიპით ხასიათდება.

მაგალითისთვის, მენახემ ბეგინმ შექმნა პარტია „ხეზუტი“, რომლის უპირობო ლიდერი იყო, ხოლო მისი ავტორიტეტი ეფუძნებოდა მის სამხედრო დამსახურებს. ხეზუტი - როგორც მოძრაობა, დაფუძნდა 1948 წლის ივლისში ორგანიზაცია „ეცელ“-ის წევრების მიერ იმ მიზნით, რომ იატაკქვეშა საბრძოლო

ორგანიზაცია საპალამენტო პარტიად ექციათ. ეს მოძრაობა სამართლებრივ პოლიტიკური სპექტრის პარტიად 1948 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა, მართვის დირექტიული სტილით. პარტიაში წინააღმდეგობების აღმოცენების დროს ბეგინი იატაკქვეშა მდგომარეობაში ყოფნისას, დასახმარებლად ან „ძველ გვარდიას“ - მის თანამებრძოლებს მიმართავდა, ან შანტაჟს - უპირობოთ მიეღოთ მისი ხედვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაენთავისუფლებინათ პარტიის ლიდერის პისტიდან. ბეგინი მიზანმიმართულად ინახავდა „გაბერილ“ ცენტრალურ კომიტეტს (500 კაცისგან შემდგარს), თანაც მინიმუმამდე დაყავდა მისი რეალური ძალაუფლება. მან უარყო წინადადება ცენტრალური კომიტეტის 27 კაცამდე შემცირების თაობაზე.

საკმაოდ მკაცრი იყო ისეთი „მემარცხენე ლიდერების“ სტილი, როგორებიც იყვნენ დავიდ ბენ-გურიონი და გოლდა მეირი. ისინი ეყრდნობოდნენ მათთან დაახლოებულ პირების ვიწრო წრეს და ამასთანავე, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საჭიროებდნენ არაორდინალური, ძლიერი ლიდერულ თვისებებს. ამის ნათელ მაგალითად გამოდგება ბენ-გურიონის მიერ ცეხლის გახსნის ბრძანება ხომალდ „ალტალენასთვის“, რომელზეც ამ დროს ბეგინი იმყოფებოდა. გემი „ალტალენა“ ევროპიდან იარაღით დატვირთული ბრუნდებოდა. „ეცელის“ ხელმძღვანელობა თანამხმა იყო ისრაელის თავდაცვის არმიისთვის ტვირთის დიდი ნაწილი გადაეცა და დაეტოვებინა მხოლოდ მეხუთედი ნაწილი, რაც აუცილებელი იყო იერუსალიმში მებრძოდი დანაყოფებისთვის. თუმცა ისრაელის მთავრობამ ბენ-გურიონის მეთაურობით არ მიიღო ეს წინადადება და მოითხოვა ტვირთის სრულად გადაცემა. „ეცელი“ არ დათანხმდა და ბენ-გურიონმა გასცა ბრძანება ცეხლი გაეხსნათ და ჩაეძირათ „ალტალენა“. გემი რომელზედაც იმყოფებოდა ბეგინი, ჩაიძირა თელ-ავივის სანაპიროსთან. ამ აქციის შედეგად ისრაელში სამოქალაქო ომის საშიშროება შეიქმნა.

სიტუაცია 1980-იანი წლებიდან იცვლება. ისრაელის ისტორიაში ამ პერიოდს დემოკრატიის კრიზისს უკავშირებენ, რომელიც ხასიათდება პოლიტიკური თმენის ვალდებულების უარყოფით და რადიკალური ჯგუფების გამოჩენით. ამ დროს ისრაელში იწყება ე.წ. „მენეჯერების რევოლუცია“. პარტიულ სტრუქტურებში ჩნდება მრჩეველთა ინსტიტუტები, თითოეული მათგანი პასუხისმგებელია თავის „მონაკვეთზე“, ამასთანავე მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკურ პარტიაშიც. შედეგად ისრაელის პოლიტიკური პარტიული სისტემის უმსხვილესი

პოლიტიკური პარტიები მემარჯვენე „ლიკუდი“ და მემარცხენე „ავოდა“ გადადიან არჩევნების ახალ სისტემაზე - კანდიდატების სიები „ქნესეტში“ ფორმირდება პარტიის ყველა წევრის მონაწილეობით და არა მხოლოდ ცენტრალური კომიტეტების შემადგენლობით.

სხავგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ სისტემაში მიმდინარეობს ძალაუფლების გადანაწილება. იწყება „გარდამავალი ეტაპი“ - მცდელობა იპოვონ „ახალი ლიდერები“, როდესაც ქვეყნის მართვაში ახალი თაობის ლიდერები მოვიდნენ (ბენი ბეგინი, დან მერიდორი, პონი მილო, ლიმორ ლივნატი და სხვა). მათი მამები მოძრაობა „ხერუტის“ დამაარსებლები – მინისტრები, ქნესეტის წევრები და გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ. ამ თაობას განეკუთვნებიან ისეთი პოლიტიკოსები, როგორიცაა ეხუტ ოლმერტი და უზი ლანდაუ.

ცნობილი გვარების მიუხედავად, ახალ ლიდერებს მაინც არ გააჩნდათ ქარიზმა და „მამების“ ლიდერული თვისებები. მათ „უფლისწულებს“ ეძახდნენ. მოგვიანებით „ახალგაზრდა სისხლის“ ჩართულობა წამგებიანად ჩაითვა და ხელისუფლების სათავეში ისევ უფროსი თაობა დაბრუნდა. 2001 წელს ხელისუფლებაში „ძველი გვარდიის“ წარმომადგენელი მოდის, რომელსაც გამორჩეულად ლიდერული თვისებები აქვს, გამოცდილი პოლიტიკოსი და სამხედრო პირი არიელ შარონი.

21-ე საუკუნის დასაწყისში ისრაელის პოლიტიკურ ლიდერებთან დაკავშირებით ბევრ სკანდალს ქონდა ადგილი. 2005 წელი აღინიშნა პრემიერ-მინისტრის შვილის ომრი შარონის წინააღმდეგ აღძრული საქმით, რაც თავად არიელ შარონის რეიტინგზეც აისახა (ჩაიტანე სქოლიოებში შენიშვნის სახით) (ომრი შარონი გაასამართლეს მამის საარჩევნო კამპანიისას სახსრების არაკანონიერი გზით შეგროვებაში და საბანკო დოკუმენტაციის გაყალბებაში).

საყურადღებოა 2006 წლის ქნესეტის არჩევნების შედეგები, რომლებმაც აჩვენა მმართველი პარტიებისა და მათი პოლიტიკისადმი მოქალაქეების დამოკიდებულება. პირველად „უმსხვილესმა“ პარტიებმა, რომლებსაც „ეროვნულ“ პარტიებად მოიხსენიებან ელექტორატის რაოდენობისა და გატარებული პოლიტიკის გამო, გამანადგურებელი მარცხი განიცადეს. თუმცა პარტია „ლიკუდის“ ლიდერ არიელ

შარონისთვის ამას ხელი არ შეუშლია. მან თავისი „ცალმხრივად გამყოფი გეგმის“ რეალიზება შეძლო. შარონი პარტიული პოლიტიკის ნააღმდეგ წავიდა და საერთოპარტიული ხმის მიცემის გადაწყვეტილება მიიღო. 2006 წელს ისრაელი შეარყია სკანდალმა, რომელიც რამოდენიმე წლის წინ ალბათ წარმოუდგენელი იქნებოდა. ისრაელის პრეზიდენტი მოშე კაცაბი ბრალდებული იქნა სექსუალურ ძალადობაში და იძულებული გახდა დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. პრეზიდენტი ისრაელში მნიშვნელოვან ძალაუფლებას არ ფლობს, მას მეტწილად ცერემონიული ფუნქცია აკისრია და ყოველთვის განსაკუთრებულად საპატივცემულო ფიგურას წარმოადგენს, რომლის სიტყვასაც ტრადიციულად ყურს უგდებენ. ამის გარდა, სხვა ნებისმიერი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, პრესა ყოველთვის თავს იკავებს ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ არასასურველი ეპითეტების გამოთქმისაგან. „ქვეყნის სიმბოლოს“ მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ხმაურიანმა საქმემ ისრაელში ლიდერობის მიმართ განწყობა სერიოზულად დააზარალა. ყოფილი პრეზიდენტი რამოდენიმე „ეპიზოდში“ დამნაშავედ სცნეს და სასჯელიც განუსაზღვრეს.

წინამდებარე ხმაურიანი საქმე მორიგმა სკანდალმა გადაფარა, რომელიც მთელ რიგ სისხლის სამართლის საქმეებს უკავშირდება. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა პარტია „კადიმი“ ლიდერ, პრემიერი ეხუტ ოლმერტის საქმე, რომელიც ერთდროულად ექვს სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობდა, მათ შორის თაღლითობასა და კორუფციასთან დაკავშირებით. „კადიმა“ ისრაელის ცენტრისტული პარტიაა. ის არიელ შარონის მიერ 2005 წელს დაფუძნდა, მას შემდეგ რაც პარტია „ლიკუდში“ ე.წ. „ცალმხრივი გაყოფის გეგმის“ რეალიზაციისას განხეთქილებამ იჩინა თავი. პარტიამ 2006 წლის არჩევნებში ქნესეტში 29 ადგილი მიიღო, რამაც მთავრობის ფორმირების საშუალება მისცა.

პუბლიკაციებმა საბრძოლო მოქმედებების და „გახმაურებული საქმეების“ შესახებ ოლმერტი აიძულეს გადამდგარიყო. მან რიგგარეშე არჩევნები დანიშნა. ისრაელის პრესა დღესაც სავსეა სტატიებით, რომლებიც სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკების მიმართ ბრალდებებს შეიცავენ. მათ შორისაა საგარეო საქმეთა მინისტრის (ისრაელის პოლიტიკურ სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა) ავიგდორ ლიბერმანი. ეს და სხვა სკანდალური საქმეები მიუთითებენ მთლიანობაში ისრაელის ხელისუფლების და ნაწილობრივ ლიდერობის კრიზისზე.

გარდამავალ ეტაპზე პოლიტიკაში ქარიზმატული ლიდერების გაქრობასთან ერთად, ასევე შეინიშნება ეკონომიკური ელიტის როლის ზრდა (მაგალითად გამოდგება არკადი გაიდამაკის მოულოდნელი პოპულარობა), გამოკვეთილი პოლიტიკოსების არარსებობა და ხელისუფლებაში ეგრეთწოდებული ტექნოკრატიების მოსვლა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტენდენცია არა მარტო ისრაელს, არამედ დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანას შეეხეო. ისრაელში არიელ შარონის წასვლის შემდეგ ძველი ტიპის ლიდერი თითქმის არ დარჩა, ხოლო ახალი ტიპის ტექნოკრატ პოლიტიკოსებს ჯერ კიდევ არ აქვთ საკმარის გამოცდილება და ნდობა. „ახალი ტიპი“-ს ლიდერობაზე გადასვლის მანიშნებელია, აგრეთვე, ხელისუფლებაში ქალის გამოკვეთილი როლი. დროდადრო წინა პლანზე გამოდის ქალის პოლიტიკაში ჩართულობის თემაც. ეს თემა საკმაოდ პოპულარულია და დღეს ქალები მნიშვნელოვან პოლიტიკური პოსტებს იკავებენ.

ისრაელში ქალი პოლიტიკოსი არასოდეს იყო გამონაკლისი. რელიგიური წრეების წინააღმდეგობის მიუხედავად, ისრაელის სახელმწიფოს შექმნის დღიდან ქალებმა მიიღეს უფლება მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში და არჩეულნი ყოფილიყვნენ. ქნესეტის პირველი მოწვევისას 1949 წელს ქალების ხვედრითი წილი 14,4% განსაზღვრა. მათი უდიდესი უმრავლესობა მემარცხენე იყო. პირველ მთავრობაში დეპუტატი ქალი გოლდა მეიერი შრომისა და სოციალური განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობდა. მსგავსი სიტუაცია 1969 წლამდე შენარჩუნდა, ვიდრე იგივე გოლდა მეიერი მართავდა მთავრობას.

1999 წლამდე ქნესეტში ქალების წარმომადგენლობა 10,8% დან (9 მანდატი) - 16,8% (14 მანდატი) მერყეობდა. მე15 მოწვევის ქნესეტში კი ქალთა წარმომადგენლობამ 20, 4 % შეადგინა, ხოლო 2003 წელს 30%. ეს რაოდენობა არ არის ბევრი და ევროპული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს შეესაბამება, მაგრამ 50-იან წლებთან შედარებით ქნესეტში ქალების რაოდენობა 2,5 ჯერ გაიზარდა, მინისტრი ქალების რაოდენობა 6-8 ჯერ.

ბოლო რვა წლის განმავლობაში ქალთა რაოდენობა ქნესეტში მემარჯვენე და ცენტრისტული პარტიების წარმომადგენელთა შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა. დალილა იციკი ისრაელის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა, შემდეგ ის ქნესეკით თავმჯდომარე გახდა. 2006 წელს ანნა აზარი ისრაელის სახელმწიფოს

საელჩოს ხელმძღვანელობდა რუსეთში, 2010 წლიდან ამავე პოსტზე ისევ ქალი დორრიტ გოლენდერი დაინიშნა. ციპი ლივნი ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელიც, ამავდროულად, 2009 წლის პარტია კადიმას უმსხვილესი საარჩევბო პროცესის ხელმძღვანელი იყო. ციპი ლივნი 1999 წელს პარტია ლიკუდის სიებით გავიდა კნესეტში. იგი იყო კონსტიტუციის, სამართლისა და იუსტიციის კომიტეტის წევრი, ქალთა სტატუსის კომიტეტის წევრი, ასევე თავმჯდომარეობდა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტს.

2001 წლის მთავრობაში არიელ შარონმა რეგიონული თანამშრომლობის მინისტრის პოსტი მიიღო, შემდეგ კი სოფლის მეურნეობის მინისტრად დაინიშნა. 2003 წლის მთავრობაში შარონი დაინიშნა იმიგრანტების აბსორბციის მინისტრად, 2004 წელს მშენებლობის მინისტრად, ხოლო 2005 წელს – იუსტიციის მინისტრად. 2005 წლის ბოლოს დატოვა პარტია ლიკუდი და მის მიერ შექმნილ პარტია კადიმაში გადავიდა.

2006 წლის 18 იანვარს პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა ეხუტ ოლმერტმა ციპი ლივნი დანიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად. მოგვიანებით ქალბატონი ლივნი იკავებდა ვიცეპრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობებს. 2007 წლის მაისში მთავრობის თავმჯდომარე ეხუდ ოლმერტმა განცხადება გააკეთა თანამდებობიდან წასვლის შესახებ, ციპი ლივნიმ გადაწყვეტილება მიიღო პარტია კადიმას თავმჯდომარეობაზე ეყარა კენჭი. ეს გადაწყვეტილება გამოკითხვის შედეგებს ეფუძნებოდა. გამოკითხულთა 65% თვლიდა რომ ოლმერტი დაუყოვნებლივ უნდა გადამდგერიყო, ხოლო 32% ციპი ლივნის პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავებას მიზანშეწონილად მიიჩნევდა.

ოლმერტის გადადგომის შემდეგ ლივნი პარტია კადიმას თავმჯდომარედ აირჩიეს. უნდა აღინიშნოს რომ ციპი ლივნი და მისი კოლეგა მამაკაცები პარტიაში არ მიეკუთვნებოდნენ ქარზმატული ლიდერის ტიპს. აქვე უნდა ითქვას რომ ქალის ხელისუფლებაში ყოფნა ახალი ტიპის ლიდერობაზე გადასვლის კიდევ ერთი მაჩვენებელი იყო.

თუ ქარიზმატული ლიდერისთვის მნიშვნელოვანია ისეთი დეტალები, როგორიცაა სამხედრო კარიერა (ვთქვთ, შარლ დეგოლის პორტრეტში

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მის წინააღმდეგობას, ხოლო მენახემა ბეგინისთვის – იატაკქვეშეთის მოძრაობაში მის მონაწილეობას), რაციონალურ-ლეგალური ტიპის ლიდერისთვის მნიშვნელოვანი არაა სამხედრო დამსახურებები. ასეთ შემთხვევაში პოლიტიკოსის სქესს მნიშვნელობა არა აქვს. უფრო მნიშვნელოვანია პროფესიონალიზმი, სამუშაო გამოცდილება და მმართველობის უნარი.

პროფესიონალი პოლიტიკოსების მართვის „რაციონალურ-ლეგალურ“ ლიდერობის ტიპის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითი იყო ისრაელის ჩინოვნიკების პოლიტიკის სფეროში მასიური გადასვლა. 1999 წელს ქნესეტის მე-14 მოწვევისას არჩეულ იქნა ძალიან ბევრი ახალი დეპუტატი, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ მაღალ სახელმწიფო პოსტებს იკავებდნენ: ისრაელ ახატიდან („ერთიანი ისრაელი“ მემარცხენე პარტიების ბლოკი, მშრომელთა პარტია ავოდის თავმჯდომარეობით, რომელიც 1999 წლის ქნესეტის არჩევნების წინ შეიქმნა) თადარიგის გენერალი მატან ვილნაი (1998 წლამდე გენშტაბის უფროსის მოადგილე) და ციპი ლივნი (1999 წლის თებერვლამდე – სახელმწიფო კომპანიების მართვის ხელმძღვანელი), მიფლეგეტ მერკაზი (1995 წლიდან „ცენტრის პარტია“ – ცენტრისტული პარტია დამფუძნებელი).

პარტიაში შევიდნენ ისრაელის პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა წარმომადგენლები, რომლებმაც სხავდასხვა მიზეზით დატოვეს თავის პირვანდელი თანამდებობები (მაგ. თადარიგის ბრიგადის გენერალი ამნონ ლიპკინშახაკი და სხვ.). ისრაელის კანონის თანახმად, პირს რომელიც მსახურობდა ისრაელის სახელმწიფო სამსახურში, მკაცრად ეზღუდება პოლიტიკური საქმიანობა. შეზღუდვის ხასიათი დამოკიდებულია ჩინოვნიკის მდგომარეობაზე სახელმწიფო იერარქიაში. ასე, მაგალითად, სახელმწიფო აპარატის ყველა ჩინოვნიკს, თუ ისინი შედიან რომელიმე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ეკრძალებათ მონაწილეობა მიიღონ ხმის კენჭისყრაში, რომლითაც ქნესეტის არჩევნებისას, განისაზღვრება პარტიის სიები.

ამგვარად, ქვეყნის მმართველობის სამოც წელზე უფრო ნაკლებ პერიოდში ისრაელის პოლიტიკაში ქარიზმატული ლიდერები პოლიტიკოს-პროფესიონალი ტიპის ლიდერებმა ჩაანაცვლეს, რომლებიც არ ფლობდნენ თავიანთი წინამორბედების თვისებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ქარიზმატული ლიდერების

ნაცვლად ხელისუფლებაში ტექნოკრატების მოსვლა, დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ ისრაელისთვის, არამედ დასავლეთის ქვეყნებისათვისაც. სხვაობა იმაშია, რომ ახლო ღმოსავლეთის რეგიონი განსაკუთრებულად არასტაბილური რეგიონია და ის, თუ ვინ დგას ამ რეგიონის ქვეყნების სათავეში, არსებითად განაპირობებს სიტუაციის დარეგულირებას და სტაბილურობას.

საიდუმლო არაა, რომ ეგვიპტესა და ისრაელს შორის 1979 წლის მშვიდობის ხელშეკრულება, არა მხოლოდ საერთაშორისო ჩართულობის შედეგი იყო, არამედ დიდწილად განპირობებული იყო ბეგინისა და სადათის გადაწყვეტილებებით და დიპლომატ კისინჯერის ძალისხმევით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისრაელის სათავეში მდგომი პოლიტიკოსი მრავალწილად განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს. ისრაელის საზოგადოებას მრავალი შინაგანი შეუთავსებლობა და პრობლემა აქვს: სოციალური წინააღმდეგობა, ეთნიკური და სუბეთნიკური მრავალფეროვნება, პოლიტიკური და სეკულარული წრეების კონფლიქტები და ა.შ.

ამჟამად ისრაელი გარკვეული შიდა სამოქალაქო დაპირისპირების პრობლემის წინაშე დადგა, რამაც შესაძლოა რეგიონის უსაფრთხოებაზეც იმოქმედოს.

მართვის სტილი, რომელიც პრემიერ მინისტრმა ბინიამენ ნეთანაჰუმ (2009 წელს მოვიდა) აირჩია, მიმართულია „მამების“ ავტორიტარიზმისკენ. პარტია ლიკუდის ლიდერი არაერთხელ დაადანაშაულეს სამართლოზე ზეწოლაში, რაც ეწინააღმდეგება ხელისუფლების დემოკრატიულობის პრონციპებს. ზოგიერთი პოლიტიკოსი და ანალიტიკოსი მას ბრალს სდებს სახელმწიფოს იმაში, რომ იგი დაშორდა იმ სტანდარტს, რომელიც დამახასიათებელი იყო ისრაელისთვის მისი ჩამოყალიბების დღიდან და ადრეული განვითარების ეტაპზე.

3.3. შეხედულებები პოლიტიკური ლიდერების და პოლიტიკური ელიტის შესახებ სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და საზოგადოების ინტეგრაციის პროცესში (ემპირიული კვლევა – ებრაელი და ქართველი ექსპერტების გამოკითხვა)

ამჟამად, "ლიდერის" კონცეფცია ყველაზე ფართოდ ცნობილია შემდეგი მნიშვნელობით: პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის ან საერთოდ, ხალხის ნებისმიერი ჯგუფის „მეთაური“. მისი ასეთი განმარტება მხოლოდ XX საუკუნეში გამოჩნდა, თუმცა მე-19 საუკუნის ბოლოს – მე-20 საუკუნის დასაწყისში მას სხვა მნიშვნელობითაც ხმარობდნენ. ის უკავშირდება ბრიტანულ პოლიტიკურ რეალიებს და ქვეყნის შიგნით პოლიტიკური მოვლენების აღწერას, რისთვისაც იშვიათად გამოიყენებოდა, რადგან ემოციურად უარყოფით კონოტაციას ატარებდა.

საზოგადოების ექსტრემალურ პირობებში ფუნქციონირებისას ჩნდება ეროვნული პოლიტიკური ლიდერის გამოჩენის აუცილებლობა, რომელსაც აქვს თვისებები და შესწევს ძალა ეროვნულ მოძრაობას ჩაუდგეს სათავეში.

ასეთი თვისებები შეიძლება იყოს:

- მიზნების, პროგრამების, იდეოლოგიის ჩამოყალიბების შესაძლებლობა იმ პირობებში, როდესაც ძველი ორიენტირები დაკარგულია, საზოგადოება გაყოფილია და მასში აპათია და ანარქია სუფევს;
- კონკრეტული ისტორიული პერიოდისთვის ფუნდამენტური ეროვნული ფასეულობების პერსონიფიკაციის შესაძლებლობა;
- გადაუდებელი გადაწყვეტილების მიღებისას ბიუროკრატიული პროცედურების მიღმა მოქმედების მზაობა;
- ქვეყნის ისტორიასთან, თანამედროვე და წინა თაობების ტრადიციებთან ძირითადი ეროვნული ინტერესების დაკავშირება;
- ქვეყნის და აზროვნების ფუნდამენტურად ახალი მოდელის შექმნის ხელოვნება, რომელიც გავრცელდება ელიტიდან მთელ საზოგადოებაზე;
- უნარი ერში აღძრას რწმენა და ოპტიმიზმი, დაეხმაროს ხალხს გადალახოს დაუცველობის, დანაშაულისა და არასრულფასოვნების კომპლექსები.

აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა მიზანშეწონილია, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ადგილისა და როლის, პოლიტიკისა და ძალაუფლების სტრუქტურის გაცნობიერება, მეორეც, ამ ფენომენთან დაკავშირებული ძირითადი ელემენტებისა და საფუძვლების ძიება, და მესამე, ისტორიულ პროცესზე გავლენის მოხდენაში მისი მარეგულირებელი ფუნქციის შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გაგება. პოლიტიკური ლიდერობა ხორციელდება სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სუბიექტების მეშვეობით: პოლიტიკური ინტერესებითა და პრეფერენციებით გაერთიანებული ინდივიდებიდან და მცირე ჯგუფებიდან დაწყებული, მაკროსისტემებით (ცივილიზაციებით) დამთავრებული, რომელიც ლიდერობის შენარჩუნებას ან ხელში ჩაგდებას ცდილობენ.

ყოველივე ეს წარმოაჩენს პოლიტიკური ხელმძღვანელობის, როგორც მეცნიერულად მნიშვნელოვან პრობლემას, და მნიშვნელოვანს ხდის პოლიტიკური ხელმძღვანელობის კონცეპტუალური ანალიზის საკითხს, როგორც მრავალ დონიან და მრავალ საგნობრივ ფენომენს, რომელიც დაფუძნებულია ცოდნისა და მეცნიერული სტრატეგიული კომუნიკაციების ინტერდისციპლინარულ სინთეზზე.

ისტორიულ ტრადიციაში პოლიტიკური ლიდერობის პრობლემების პროდუქტიული შესწავლა შესაძლებელი ხდება ამ ფენომენის მსოფლიო და საშინაო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, რომელშიც, ყველაზე ზოგადი თვალსაზრისით, ვაკვირდებით ორ გამარტივებულ კონცეპტუალურ-შეფასებით მიდგომას: პოლიტიკური ხელმძღვანელობის აპოლოგეტიკას (ბოდინს), ვხედავთ რა მასში მოქმედ, ეფექტურ და ეფექტურ და ავტონომიურ პოლიტიკურ ინსტიტუტსა და ინსტრუმენტებს.

ჩვენი კვლევის მიზანია დავადგინოთ და გავაანალიზოთ, თუ რას ფიქრობენ ებრაელი და ქართველი ექსპერტები:

- რა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობეს ისრაელის სახელწიფოს შექმნა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა?
- პოლიტიკური ლიდერებისა და პოლიტიკური ელიტის როლზე ქვეყნის აღმშენებლობის, მოსახლეობის კონსოლიდაციისა და მისი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში?

- რა როლი მიუძღვის ზოგადად პოლიტიკურ ლიდერს საზოგადოების კონსოლიდაციაში, რაც სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს?
- ვის (რომელ ებრაელ პოლიტიკურ ლიდერებს) მიუძღვით განსაკუთრებული როლი ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში?
- რომელმა ქართველ პოლიტიკურმა ლიდერებმა შეასრულეს განსაკუთრებული როლი საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მიღებასა და ქვეყნის აღმშენებლობაში?

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების განსახორციელებლად ავირჩიეთ ნახევრადსტრუქტურირებული ჩადრმავებული ინტერვიუ. სამიზნე ჯგუფად კი ებრაელი და ქართველი ექსპერტები იყვნენ, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, რომლებსაც აქვთ საკმაო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. ებრაელი ექსპერტების მოძიება მოხდა ებრაელი პროფესორის – იაკობ ოფირის დახმარებით, რომელიც ისრაელში მოღვაწეობს, მაგრამ ამასთანავე კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას და თანამედროვეობას და საქართველოსთან სამეცნიერო მოღვაწეობა აკავშირებს.

ისრაელის მხარიდან კვლევაში მონაწილეობენ:

- **იგზაკ ილანი**, გენერალი, შაბაქის (ისრაელის ეროვნული პოლიციის) უფროსის ყოფილი მოადგილე;
- **ლია კრიხელი**, პროფესორი, ისრაელის საზოგადო მოღვაწე, მრავალი პროექტების ავტორი, საქართველოს ღირსების ორდენის მფლობელი;
- **შალვა წიწუაშვილი**, პროფესორი, ებრაელთა ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე
- **იაკობ ოფირი**, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და კულტურის ცენტრის თავჯდომარე;
- **რობერტ ადარი**, პროფესორი, ისრაელის მაქსშავიტის აკადემიის საპატიო ორდენის კავალერი „ღირსეული ქართველი ებრაელი“, ქართველ-ებრაელ

ურიერთობათა გაერთიანება „გულთა კავშირი“-ს დამფუძნებელი და პრეზიდენტი, საქართველოს მწერალთა კავშირის საპატიო წევრი და დესპანი ისრაელში, დავით აღმაშენებლის სახელობის აკადემიის საპატიო პროფესორი.

თითოეული ინტერვიუ დაახლოებით 50-60 წუთი გაგრძელდა. ისინი ჩაიწერა აუდიო ფაილებად. მიღებული ინფორმაცია ცალ-ცალკე დამუშავდა ჩანაწერების დეტალური გაშიფვრისა და ტრანსკრიპტების მომზადების საფუძველზე. ებრაელ ექსპერტებს დავუსვით შემდეგი კითხვები:

1. როგორ ფიქრობთ, რატომ შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ? საუკუნეების განმავლობაში ებრაელი ხალხის ბევრი თაობა ცდილობდა ამ სანუკვარი ოცნების ასრულებას? რა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა მისი შექმნა?

2. ვის (რომელ ებრაელ მოღვაწეებს) მიუძღვით განსაკუთრებული როლი ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში?

3. რომელ პოლიტიკურ მოღვაწეს გამოყოფდით ისრაელის შექმნის შემდგომი ისტორიიდან და რატომ?

4. რა როლს ასრულებდა ისრაელის პოლიტიკური ელიტა ქვეყნის აღმშენებლობას, მოსახლეობის კონსოლიდაციასა და მისი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში?

5. რა როლს თამაშობს ქვეყნის ისტორიაში სპეცსამსახურები და რა კავშირია პოლიტიკურ ელიტასა და ამ სამსახურებს შორის?

ებრაელების ისტორიის დიდი ნაწილი დევნილობაში ყოფნასა და ჩაგვრას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ერის ისტორია უდავოდ საინტერესოა, ჩვენთვის კი აქტუალურია თანამედროვე ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების აქტიური ხანა, სიონისტური მოძრაობის დაარსების პერიოდიდან. ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პროცესის ძირითად ეტაპებად შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი გარემოებები: კერძოდ, სიონისტური მოძრაობის ჩამოყალიბება, ბალფურის დეკლარაცია, ბრიტანული მანდატის მოქმედება პალესტინაზე, გაეროს გეგმა პალესტინის დაყოფა-განაწილების შესახებ და დამოუკიდებლობისათვის ომი.

შეკითხვაზე რატომ შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ? საუკუნეების განმავლობაში ებრაელი ხალხის ბევრი თაობა ცდილობდა ამ

სანუკვარი ოცნების ასრულებას? რა ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა მისი შექმნა?

იაკობ ოფირი: დიასპორაში მცხოვრებ ებრაელებს შორის, მათი ისტორიული სამშობლოში დაბრუნების ძლიერი სურვილი ყოველთვის იყო გავრცელებული. ისრაელის შექმნა ნაკარნახევი იყო ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი სურვილით, აღედგინათ ეროვნული კერა მათ ისტორიულ სამშობლოში და აეცილებინათ მასობრივი დევნა, რაც სასწრაფოდ მოითხოვდა იუდეველთა პოლიტიკურად გარანტირებულ თავშესაფარს. ისრაელის სახელმწიფოს შექმნა არის პოლიტიკური პროცესი, რომელიც დაიწყო 1897 წელს პოლიტიკური სიონიზმის მოძრაობის წარმოქმნით და დასრულდა მისი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 1948 წლის 14 მაისს, დამოუკიდებლობის ომში გამარჯვებითა და გაეროს აღიარებით 1949 წელს. სახელმწიფოს შექმნის პროცესის ძირითადი ეტაპები იყო სიონისტური მოძრაობის წარმოშობა, ბალფურის დეკლარაცია, ბრიტანეთის მანდატი პალესტინაში, გაეროს გეგმა პალესტინის დაყოფისა და ომი დამოუკიდებლობისათვის. თანამედროვე ემიგრაციის პირველი დიდი ტალღა ჯერ კიდევ 1881 წელს დაიწყო. 1882 წელს ლეონ პინსკერი წერდა, რომ ანტისემიტიზმის პრობლემა შეიძლება მოგვარდეს მხოლოდ ებრაული სახელმწიფოს შექმნით. არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ 1933-1945 წლებს შორის ევროპული ებრაელების ჰოლოკოსტი იყო მნიშვნელოვანი წინაპირობა ისრაელის შექმნისთვის.

რობერ ადარის აზრით, არა მხოლოდ საუკუნეების, არამედ ათასწლეულების განმავლობაშიც ხშირად უწევდა ებრაელ ხალხს ეგვიპტელთა ტყვეობიდან ღმერთის შეწევნითა და მოსეს წინამძღოლობით გამოსვლის შემდგომ, აღთქმულ ქვეყანაში შექმნილი ეროვნული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და შენარჩუნებისთვის მუდმივი შემართება, არაერთგზის დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და ხელახლა თავისუფლების მოპოვებისთვის თავგანწირული ბრძოლა, მისი განმტკიცებისთვის განუხრელი ზრუნვა

ლია კრიხელმა თავისი ინტერვიუ თქმულებით დაიწყო:

თავის დროზე, მორიგი გამარჯვების შემდეგ, ალექსანდრე მაკედონელს მოუხმია კარის მხატვარი და უთხოვია დაეხატა ყველა ეროვნების წარმომადგენელი თავის ეროვნულ სამოსში. როდესაც მხატვარმა მიიწვია გალერეის

დასათვალისწინებლად, მოხიბლულა დიდი მხედართმთავარი ოსტატის ნახელავით, მაგრამ მისი ყურადღება მიუპყრია ერთ სურათზე დედიშობილა ადამიანს. „ეს ვინაა?“ „ებრაელი, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს, იქაური ტანსაცმელი აცვია, იმ ენაზე ლაპარაკობს და მღერის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების იმედით.“ ეს მრავლისმთქმელი ამბავია, დამეთანხმებით. მორწმუნეები ლოცულობდნენ, სიონისტები კი, მოქმედებდნენ, რომელთა მოძრაობა 1897 წელს იღებს სათავეს ქ. ბაზელში გმართული კონგრესიდან. რამდენიმე წლით ადრე კი, 1987 წელს პოეტი ნაფთალი ჰერც იმბერგი, წერს ლექსს „იმედი“, რომელიც 70 წლის შემდეგ სახელმწიფო ჰიმნად გადაიქცა, სადაც ნათქვამია, რომ ებრაელის მზერა სიონისკენაა მიპყრობილი. მე-20 საუკუნის შუაში ევროპის ქვეყნებში აზოპოქრებულ ანტისემიტიზმს, შედეგად მეორე მსოფლიო ომი მოსდევს. ეს უკვე გადაწყვეტი ბიძგი გახლდათ ისრაელის სახელმწიფოს დაარსების განხორციელების საქმეში.

რობერტ ადარი აღნიშნავს, რომ მრავალრიცხოვანმა დაპყრობებმა და დაპირისპირებებმა განაპირობა ებრაელი ხალხის მიერ მოძალადეთა მიმართ მძალავრი და ფართო მასშტაბიანი წინააღმდეგობის საპროტესტო მოძრაობათა დაწყება, სხვადასხვა შეთქმულებათა და აჯანყებათა მოწყობა. მაგრამ განუზომლად დიდი და მრავალრიცხოვანი მტრების მოგერიება ერთი მედგარი და მაღალინტელექტუალური, მაგრამ მცირერიცხოვანი ხალხისთვის გადაუღახავი ბარიერი აღმოჩნდა. ეროვნული თავისთავადობის, მისი მეობისა და საკუთარი რელიგიური მრწამსის გადარჩენის მიზნით ღვთის რჩეული ერი ტოვებს თავის სამშობლო ქვეყანას და მთელს მსოფლიოში გაბნეულებულები, სხვადასხვა დიასპორებში აგრძელებს ცხოვრებასა და მოღვაწეობას. თუმცა ძალმომრეობა, ჩაგვრა და შევიწროება არც ამ მდგომარეობაში დაკლებიათ, რაც ხშირად სისხლიან დაპირისპირებაშიც გადაზრდილა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ნაცისტური გერმანიის მიერ განხორციელებული დაუსრულებელი უმძიმესი ეპოპეა და განასაკუთრებით ჰოლოკოსტის ტრაგედია ადამიანურობის საზღვრებს სცდება, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი უსასტიკესი დანაშაული. აღნიშნულმა გამოუვალმა სიტუაციამ, რაც ებრაელ ხალხს ფიზიკური განადგურების საშიშროების წინაშე აყენებდა, მსოფლიო საზოგადოებრიობა და, კონკრეტულად, გაერო მიიყვანა იმ გადაწყვეტილებამდე, რომ ორი ათასწლეულის შემდგომ აღდგენილიყო ისრაელის სახელმწიფო საკუთარ ისტორიულ

ტერიტორიაზე ამას ხელი შეუწყო და უდავოდ განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ერთმანეთისგან სრულიად დამორეზულ ებრაულმა დიასპორებმა მიუხედავად ურთულესი გამოწვევებისა, არსებითად შეინარჩუნა თავისი ეთნორელიგიური იდენტობა. ამ უნიკალურმა გარემოებამ განაპირობა მძლავრი სიონისტური მოძრაობის ჩამოყალიბება, რომლის თაოსნობით საუკუნეების განმავლობაში შენარჩუნებული ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისთვის მისწრაფება რეალურად განხორციელდა და შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო.

სიონისტური დიპლომატიის გენია იმაში გამოიხატა, რომ ზუსტად დაადგინეს, თუ რომელი ძალები განიცდიან აღმავლობას და რომელი დაღმავლობას, და შეძლებოდათ ამ დაპირისპირებათა შუა ბალანსირება. სიონისტები ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსები იყვნენ, რომ მხოლოდ ერთი ძალაუფლების მეგობრობას დაყრდნობოდნენ. ებრაელი ლიდერები და დიპლომატები არწმუნებდნენ დიდი იმპერიების მართველებს, რომელთა ანტაგონიზმი გამუდმებით იზრდებოდა, რომ ებრაული სახელმწიფო ემსახურებოდა თითოეული მათგანის ინტერესებს. გამოჩენილი სიონისტი დიპლომატი ელიუჰუ სასონი, რომელიც გაეროში დელეგაციის წევრი გახლდათ, შენიშნავდა, რომ მთელ შუა აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირი ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთს. მან წინასწარმეტყველური დასკვნა გამოთქვა: "ჩვენ განა უნდა გვეშინოდეს, რომ რუსები მიიღებენ ჩვენს მიმართ მტრულ პოზიციას, არამედ პირიქით, არსებობს სერიოზული მიზეზები, რომელთა აზრითაც სსრკ-ს პოზიცია მეგობრული იქნება არა იმიტომ, რომ ისინი ჩვენ თანაგვიგრძნობენ ან ეზიზღებათ არაბები, არამედ ბრიტანელებთან პოლიტიკური ანგარიშსწორების ნიშნის საფუძველზე".

გენერალ იცხაკ ილანის აზრით, ისრაელის სახელმწიფოს შექმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა რამდენიმე დამოუკიდებელი პროცესების ერთდროულად მომწიფებით ზუსტად ამ დროს ემთხვევა:

ა) **დიდი ბრიტანეთის დე-კოლონიზაციის პროცესი:** დიდმა ბრიტანეთმა დაკარგა ერევ ისრაელის(პალესტინის) დაკავების სტრატეგიული მიზეზი, როდესაც გადაწყვიტა ინდოეთის, პაკისტანის და სხვა კოლონიების მიტოვება

აღმოსავლეთში. პალესტინა იყო როგორც სტრატეგიული ხიდი ბრიტანეთსა და მის კოლონიებს შორის აღმოსავლეთში.

ბ) **ებრაელი ერის შოა (კატასტროფა):** 6 მილიონი ებრაელის დახოცვა გერმანელი ნაცისტების და მითი თანამშრობლების მიერ. საბოლოო დარწმუნება რომ ებრაელები იცხოვრებენ შიშის გარეშე მარტო თავიანთ დამოუკიდებელ ქვეყანაში.

გ) **მეორე მსოფლიო ომის ებრაელი ლტოვილების მიღება** ერეც ისრაელში, როცა ბრიტანეთის მანდატი არ ამღევდა ამის უფლებას და ძალიან ზღუდავდა ლტოვილების აბსორფციას.

დ) **ისრაელის სამხედრო ძალების მომწიფება** როგორც მომზადებით და იარაღით, ასევე რიცხოვნობით, რომ გაემარჯვათ ომში, რომელიც გარდაუვალი იყო არაბულ ქვეყნებთან და პალესტინელ მოსახლეობასთან (მაშინ, 1948 წელს, ცხოვრობდნენ პალესტინაში 600,000 ებრაელი და 1,800,000 პალესტინელი).

ე) **"ცივი ომი"** ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის, რის გამოც ორივე ზე-სახელმწიფოს ინტერესი იყო ისრაელის სახელმწიფოს შექმნა.

ვ) **ემანსიპაცია და სეკულარიზაცია**, რომელიც დაიწყო 19 საუკუნეში. ამას შეუერთდა ევროპული და ქრისტიანული ანტისემიტიზმი, რომლის ერთ-ერთი გამოხატვა იყო დრაიფუსის საქმე საფრანგეთში, რომელიც გახდა მიზეზი თეოდორ ჰერცლის მიერ წიგნის **"ებრაელთა სახელმწიფო"** გამოქვეყნების და ებრაელთა კონგრესის დაარსების ბაზელში, რომლებმაც ჩაუდო საფუძველი ისრაელის დაარსებას.

შალვა წიწუაშვილი აღნიშნავს, რომ ებრაელი მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოში განიცდიდა შევიწროებას. 1895 წ. მიმდინარე სასამართლო პროცესმა საფრანგეთის არმიის, ეროვნებით ებრაელ, სამხედრო ოფიცერზე სამშობლოს ღალატის ბრალდებით, რომელიც ტყუილ ჩვენებებზე აგებული აღმოჩნდა, გამოიწვია მოწინავე პროგრესული საზოგადოებრიობის აღშფოთება. ფრანგმა მწერალმა ემილ ზოლამ გაილაშქრა სახელმწიფო ხელისუფლებისა და სასამართლოს წინააღმდეგ, რის გამოც იძულებული გახდა წასულიყო ემიგრაციაში ინგლისში. დრეიფუსის (ბრალდებულის გვარი) უსამართლო ბრალდების შედეგად დრეიფუსის დასჯამ (გადაასახლეს საფრანგეთის ერთერთ უკაცრიელ კუნძულზე) განსაკუთრებით აღაშფოთა მსოფლიოს ებრაელები და 1897წ. შვეიცარიის ქალაქ ბაზელში შეიკრიბნენ ებრაელთა

წარმომადგენლები სხვადასხვა ქვეყნებიდან, რათა ემსჯელათ ებრაელთა მომავლის შესახებ. ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება – ებრაელებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი სახელმწიფო-სამშობლო-სიონში. ყრილობას ეწოდა სიონისტური და შექმნილ პარტიასაც ასევე – სიონისტური. პირველ პრეზიდენტად არჩულ იქნა ჟურნალისტი, ყრილობის მოწვევის ინიციატორი თეოდორ ჰერცლი.

განსაკუთრებით ხშირი და სისხლიანი იყო ებრაელთა დარბევები რუსეთში რუსეთში ანტისემიტიზმმა ებრაელთა მიმართ პოლიტიკური ხასიათი მიიღო. ებრაელობა დაიძრა ამერიკისკენ და, შედარებით ნაკლებად, პალესტინისკენ. ევროპის ებრაელთა ნაცისტების მიერ მოწყობილმა ებრაელთა გენოციდმა საბოლოოდ დაარწმუნა ებრაელები საკუთარი ქვეყნის, საკუთარი თავშესაფრის აუცილებლობაში. 1969 წლიდან ებრაელობა გააქტიურდა. ისინი ხმამაღლა მოითხოვდნენ ისრაელში რეპატრაციის უფლებას. შემდეგ რეპატრაციის საფუძველი ხდება მჭიდრო ნათესაური კავშირები. არც სოციალური მოტყევებია გამოსარიცხი. მისი აზრით, ესაა ებრაელთა რეპატრაციის (ანტისემიტიზმი, რელიგიური, სოციალური და ნათესაური კავშირები) ძირითადი მიზეზები.

მართლაც, ისრაელის სახელმწიფოს შექმნა წარმომადგენდა იმ პოლიტიკური პროცესების ერთობლიობას, რომელიც დაიწყო 1897 წელს პოლიტიკური მოძრაობა სიონიზმის შექმნით და დასრულდა 1948 წლის 14 მაისს - დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ასევე 1949 წელს დამოუკიდებლობისათვის ომში გამარჯვებით და იმავე წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებით.⁵⁶

ისრაელის სახელმწიფოს შექმნაზე ებრაელმა ლიდერებმა გაცილებით ადრე დაიწყეს ფიქრი და თავისი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის შექმნასა და აღმშენებლობაში. საინტერესო იყო რესპონდენტების აზრი, თუ ვის (რომელ ებრაელ მოღვაწეებს) მიუძღვით განსაკუთრებული როლი ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში და რომელ პოლიტიკურ ლიდერებს გამოყოფდნენ?

გენერალ იცხაკ ილანს მიაჩნია, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში განსაკუთრებული როლი მიუძღვით:

⁵⁶ სარაიდაროვი ლ. „ისრაელი-საერთაშორისო უშიშროების სისტემაში“, დისერტაცია დოქტორის აკად. ხარისხის მოსაპოვებლად, 2020

ბინიამინ-ზევე თეოდორ ჰერცლს – სიონიზმის დამფუძნებელს, რომელმაც ჩაუყარა საფუძველი ისრაელის სახელმწიფოს შექმნას არა-რელიგიური ნიშნით, ხაიმ ვაიცმან – რომელმაც დიდი როლი ითამაშა ბალფურის დეკლარაციის მიღებაში ბრიტანეთის მთავრობის მიერ. დავიდ ბენ გურიონს – მთავარი ლიდერს, რომელმაც გაანხორციელა ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, ზევე ჟაბოტინსკის – რევიზიონისტული მოძრაობის ლიდერი. მოშე შარეთს – ვინც შექმნა ისრაელის დიპლომატია. იგი იყო სოხნუთის(ებრაელთა სააგენტოს) პოლიტიკური განყოფილების უფროსი.

მაგრამ მაინც გამოყოფილი პოლიტიკური მოღვაწე არის დავიდ ბენ გურიონი – ვერავინ ვერ შეედრება მის მოღვაწეობას: ბენ გურიონმა გადააქცია ებრაელების დასახლება ("ჰა-იშუვ ჰა-იეჰუდი") სახელმწიფოდ და გაუძღვა 1963 წლამდე.

ისრაელის პოლიტიკური ელიტა ასრულებდა ძალიან დიდ როლს ქვეყნის აღმშენებლობაში, მოსახლეობის კონსოლიდაციასა და მისი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში:

მნიშვნელოვანი იყო კიბუცების დაარსება, რამაც გასაზღვრა მომავალი ქვეყნის საზღვრები. თანაც მისცა საშუალება ებრაელ დასახლებას სურსათის უზრუნველყოფისა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ქალაქი თელავივის, პირველ რიგში, და სხვა ქალაქების დაარსებაც: ნეთანია, ნაჰარია, კირიათ-შმონა, რეხოვოთ...

პოლიტიკურმა ლიდერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ივრითის (ებრაული ენის) აღდგენაშიც და ამ ენაზე სწავლებაში საბავშვო ბაღებში, სკოლებში და უნივერსიტეტებში, რომლებიც დაარსდნენ მათი წვლილითაც: გიმნაზია "ჰერცლია", იერუსალიმის უნივერსიტეტი, ხაიფის ტექნიონი. საერთო ერთმა ენამ შექმნა ერთი კულტურა და დაუახლოვა ერთმანეთს სხვადაცხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მოსახლეობა, რომლებიც მანამდე სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ.

სიონუსტური მოძრაობის მოღვაწეებმა განაახლეს და შექმნეს ახალი სეკულარული სიმბოლოები ძველი ებრაული რელიგიური სიმბოლოებიდან. მაგალითად მაკაბიელების გმირობა, მესადას დამცველების გმირობა, ბარ-ქოხვას აჯანყებულების გმირობა. ამან დაუდო საძირკველი ახალი საერთო სეკულარული მითოსების ჩამოყალიბებას და სეკულარულ ებრაულ კულტურას, რაც მანამდე არ არსებობდა და საჭირო იყო სახელმწიფოს აღსადგენად.

შალვა წიწუაშვილის აზრით, ხაიმ ვაიცმანს, დავიდ ბენ-გურიონს, მოშე შარეთს დიდი წვლილი მიუძღვით ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში. 1948წ. 14 მაისს თელ-ავივის მუზეუმის დარბაზში ბენ-გურიონმა წაიკითხა ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. მეორე დღეს ხუთმა არაბულმა სახელმწიფომ ომი გამოუცხადა ისრაელს. მითითებული მოღვაწეების გარდა ქვეყნის განმტკიცება-აღმშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ბენ-ცვის, შიმონ პერესს, შაზარს, იცხაკ რაბინს, იცხაკ შამირს, არიელ შარონს, გოლდა მეირს, მოშე დაიანს და სხვებს.

რობერტ ადარი აღნიშნავს, რომ ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სიონისტურმა მოძრაობამ, რომლის დამაარსებელი იყო თეოდორ ჰერცლი. სწორედ მან გაერთიანა ებრაელი სიონისტები ერთ ორგანიზაციაში. მისი ძალისხმევით ბაზელში გამართულ პირველ მსოფლიო სიონისტურ კონგრესზე წარმოდგენილ იქნა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის სპეციალურად შექმნილ-შემუშავებული გეგმა. ჰერცლმა სხვადასხვა მიმართულებით ფართოდ გაშალა თავისი მოღვაწეობა. მისი საქმიანობა ღირსეულად განაგრძო ამ მოძრაობის ასევე ცნობილმა და აქტიურმა ერთერთმა ლიდერმა ხაიმ ვაიცმანმა, რომლის ინიციატივით ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა არტურ ბალფურმა წარმოადგინა ბრიტანეთის იმპერიის ებრაელი ხალხის ეროვნული ინტერესებისადმი მხარდამჭერი დეკლარაცია.

აღსანიშნავია, რომ ვაიცმანი გახდა ისრაელის სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი. რობერტ ადალის აზრით სიონიზმის იდეოლოგიაში გამოირჩეოდა რამდენიმე ძირითადი დინება, რომელთაგან ყველაზე აღსანიშნავია სოციალისტური, რევოიუციონისტური და რელიგიური სიონიზმი.

ბენჯამინ ზეევ ჰერცლი (1860-1904) არის ებრაელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწე, მსოფლიო სიონისტური ორგანიზაციის დამფუძნებელი, ებრაული სახელმწიფოს წინამორბედი და პოლიტიკური სიონიზმის იდეოლოგიის ფუძემდებელი, სამართლის დოქტორი, ჟურნალისტი, მწერალი. ჰერცლის აზრით: "ებრაული საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი გამოსავალი არის დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფოს შექმნა". სიონიზმის მთავარი მიზანი ორმხრივი იყო: ებრაელთა თვითშეფასების და ღირსების აღდგენა არა მხოლოდ იუდეველთა თვალთახედვით და ებრაელთა ეროვნული კერის აღდგენა, რომ ებრაელებმა "ისე

იცხოვრონ, როგორც თავისუფალმა ადამიანებმა თავიანთ მიწაზე, მშვიდობიანად მოკვდნენ საკუთარ სახლებში". ჰერცლი წერდა: „ჩემს სულში იდეები მიდევდნენ ერთმანეთს მიყოლებით. ადამიანის მთელი ცხოვრება საკმარისი არ არის ამ ყველაფრის რეალიზაციისთვის". 1896 წელს გამოაქვეყნა თავისი წიგნი „ებრაული სახელმწიფო (გერმან. Der Judenstaat), რომელშიც ასახულია მისი ხედვა მომავალი ებრაული სახელმწიფოს შესახებ. მართალია, მაშინ ჰერცლის ძალისხმევა წარმატებული არ იყო, მაგრამ მისმა შრომებმა საფუძველი დაუდო ისრაელის სახელმწიფოს შექმნის წინაპირობებს. ეს განძი ემსახურებოდა თავის ხალხს.

ზეევ (ვლადიმერ) ჟაბოტინსკი (1880-1940) – სიონისტთა ლიდერი, რევოლუციონისტული მოძრაობის დამფუძნებელი იხსენებს: "ჰერცლმა უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მხოლოდ აქ გავაცნობიერე, რომ ჩემს წინ იდგა დიდი ადამიანი, წინასწარმეტყველი და წინამძღვარი". მისი გარდაცვალების შემდეგ, ჟაბოტინსკი წერდა: "ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ სიონიზმს იმ პოლიტიკურ საფუძვლებს, რომლებიც დაივიწყეს და მიტოვებულ იქნა ჰერცლის სიკვდილის შემდეგ." "არ არსებობს ადამიანი, რომელიც 2000 წლის შემდეგ საკუთარ მიწაზე მაცხოვრებელს, სხვა ხალხს მისცემდა მასზე ცხოვრების უფლებას. ჟაბოტინსკი ისტორიის მიერ მოწოდებულ ერთადერთ გამოსავალს მიუბრუნდა – მანდატური ძალაუფლების წინააღმდეგ აჯანყებულიყო ებრაელი ხალხი და ძალით გაენთავისუფლებინათ მამა-პაპათა მიწები." ამ ეტაპზე, ჩვენ ვალდებული ვართ გავამწვავოთ კონფლიქტი ებრაელთა დასახლებასა და მმართველ უცხოელს შორის. "ბენ-გურიონსა და ჟაბოტინსკის შორის უთანხმოების მთავარი დებულება ეკონომიკურ სფეროში მიდგომაში გამოიხატებოდა. ჟაბოტინსკის მომხრეებს თავისუფალი ბაზარი და ლიბერალური ეკონომიკა და ბენ-გურიონი მომხრე იყო იდეების სოციალიზმის. ისრაელის პოლიტიკოსი ბენჯამინ ნეთანიაჰუ თავის ერთ-ერთ სტატიაში ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბენ-გურიონი და ჟაბოტინსკი არ ეთანხმებოდნენ ბევრ საკითხებში, ბენ-გურიონი იყო, ვინც შეასრულა ჟაბოტინსკის გზის მრავალი თეზისი.

ხაიმ ვეიცმანი (1874-1952)-კოსმოპოლიტი და ლიბერალი, დასავლური კულტურის წარმომადგენელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა დიპლომატიაში. იგი, პირველ რიგში, განვითარდა როგორც ებრაელი ხალხის ეროვნული ლიდერი და არა როგორც პალესტინის ებრაელი პოლიტიკოსი, იგი

თავისუფლად მოძრაობდა მთელ ევროპაში, პალესტინაში გადავიდა მხოლოდ ხანდაზმულ ასაკში. დიდი ბრიტანეთის მმართველ წრეებში მისი კავშირების წყალობით და ამავე დროს მისი მზარდი გავლენის მეშვეობით სიონისტურ მოძრაობაში, მან შეძლო ბრიტანეთის მთავრობის გაზრდილი ინტერესის გამოეწვია სიონიზმისადმი, რასაც მიაღწია ბულფურის დეკლარაციამ: 1917 წლის 2 ნოემბერს, ბრიტანეთის ამჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მიწერა ლორდ ლიონელ ვალტერ როტშილდს ბრიტანეთის მთავრობის ხელსაყრელი დამოკიდებულების შესახებ: აღადგინონ ებრაელთა ეროვნული კერა პალესტინაში და რომ მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მას.

1921 წელს აინშტაინთან ერთად გაგზავნეს შეერთებულ შტატებში ებრაული უნივერსიტეტისთვის ფულის მოსაგროვებლად. მან დააარსა დანიელ ზივის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი რეჰოვოთში და 1932 წლიდან მისი დირექტორი გახლდათ. შემდგომში, ეს ინსტიტუტი გახდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საფუძველი, რომელსაც თავად ვეიცმანის სახელს ატარებს. 1937 წელს დასახლდა რეჰოვოთში. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო გაეროს გენერალური ასამბლეის მუშაობაში, რომელშიც განხილული იყო ამ კომისიის რეკომენდაციები პალესტინის გაყოფის შესახებ.

1947 წლის 29 ნოემბერს, ხმათა უმრავლესობით, გაერომ მიიღო დადგენილება პალესტინის გაყოფის შესახებ. სახელმწიფოს დაფუძნების დღეს, ვეიცმანმა მიიღო წერილი ისრაელის მშრომელთა პარტიების ლიდერებისგან, რომ ისინი აპირებენ ის დაასახელონ ისრაელის პრეზიდენტობის კანდიდატად. რამდენიმე დღის შემდეგ, ვეიცმანს პირად შეხვედრაში შეეძლო აშშ-ს პრეზიდენტის ტრუმენის თანხმობის მიღება, ახალი ებრაული სახელმწიფოსთვის 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის შეღავათიანი სესხის უზრუნველყოფისა. სრული დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ ბენ-გურიონთან ერთად, იგი იწყებს შეერთებულ შტატებში მომავალი ებრაული სახელმწიფოს იდეის პოპულარიზაციას, რამაც შემდგომში გამოიწვია ისრაელის სწრაფი აღიარება ამერიკის მთავრობის მიერ. ვეიცმანის რწმენა გამოიხატება გამოთქმაში: "ჩვენს გარშემო სიბნელე სუფებს: ვიმედოვნებ გადავრჩებით და ჩვენი საქმე გაგრძელდება, ვინ იცის, იქნებ ახალი შუქით ამოვანათოთ ჩვენ ამ სიბნელისაგან".

შიმონ პერესმა, ისრაელმა პოლიტიკოსმა და სახელმწიფო ლიდერმა, აღნიშნა, რომ მიუხედავად სიონიზმის ორ უდიდეს ლიდერს შორის უთანხმოებისა, მათ შეძლეს კომპრომისის პოვნა საერთო სიკეთისთვის. დოქტორი ალექ ეპშტეინი თვლის, რომ ვეიცმანისა და ბენ-გურიონის შეხედულებათა განსხვავებანი გამოწვეულია მათი ბიოგრაფიების განსხვავებით.

დავით ბენ-გურიონი (1886-1973). ბენ-გურიონის ცხოვრება განუყოფლად იყო დაკავშირებული პალესტინასთან. ბენ-გურიონი იყო სოციალისტი და უპირატესობას ანიჭებდა პალესტინაში ებრაული სახელმწიფოს პრაქტიკულ მშენებლობას. 1948 წლის 14 მაისს დავით ბენ-გურიონმა წაიკითხა ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და სატავეში ჩაუდგა ახალგაზრდა სახელმწიფოს. ბენ-გურიონის ხელმძღვანელობით ისრაელმა მოიპოვა დამოუკიდებლობა და გაიმარჯვა 1947-1949 წლების არაბ-ისრაელის ომში. ბენ-გურიონი მიიჩნევა ისრაელის ერთ-ერთ დამფუძნებელ მამად, სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი ებრაულ სახელმწიფოს, პირდაპირ გავლენა მოახდინა საკვანძო საკითხების გადაჭრაზე და ისრაელის სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუციების ჩამოყალიბებაზე.

ლია კრიხელი თვლის, რომ ანტისემიტიზმის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა, ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა იყო. სიონისტური მოძრაობის ლიდერად, სავსებით საფუძვლიანად, ითვლება თეოდორ ჰერცლი. ეს როდი ნიშნავს იმას, რომ მანამდე არ იყვნენ იატაკქვეშა მოღვაწე დიდი სიონისტები, რომლებსაც საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი უჯდებოდათ იდეებისათვის ბრძოლა. სამწუხაროდ, ზოგიერთის სახელი არ შემორჩა ისტორიას. მე-19 საუკუნის ბოლოს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან დაიძრა რეპარტიანტების პირველი ტალღა, რომლებმაც დაიწყეს ჭაობების ამოშრობა, უდაბნოს ათვისება და კიბუცების დაარსება. ებრაული სააგენტოს („სოხნუთი“) შექმნა 1929 წელს, სავსებით კანონზომიერი იყო.

იმ ადამიანების ჩამოთვლა, ვინც განსაკუთრებული როლი შეასრულა ამ ისტორიული მნიშვნელობის საქმეში, შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგიერთი მათგანის გამოყოფა, უპრიანად მიმაჩნია. ბელორუსიაში დაბადებული, მეტად განათლებული ზალმან შაზარი, ისრაელში საცხოვრებლად გადავიდა 1924 წელს.

შემოიკრიბა რა, თავისნაირი პროგრესული შეხედულების ახალგაზრდები, თავდაუზოგავად შრომობდა მიზნის მისაღწევად, არჩეულ იქნა ჰისტორიის (პროფკავშირი) თავმჯდომარედ. 1947 წელს მონაწილეობდა გაეროს გენერალურ ასამბლეაში. დაუკავშირდა ლუბავიჩესის რეზე შნეერსონს (რელიგიური მიმართულება „ხაბადი“), რომელმაც აღუქვა ყოველმხრივი დახმარება, მათ შორის ეკონომიური და შეასრულა კიდევ. ზალმან შაზარი ორი კადენცია გახლდათ ისრაელის პრეზიდენტი 1963–73 წ.წ. პინხას ლავონი ებრაელ მუშათა მოძრაობის ლიდერი იყო. 1938 წ. მან დააარსა მასწავლებელთა კავშირი. მიაჩნდა, რომ კიბუცების გაერთიანება შესძლებდა მძლავრი ბირთვის შექმნას, რომელიც მომავალი სახელმწიფოს წარმოების საყრდენი გახდებოდა და გამართლდა კიდევ. შემდგომში იგი სოფლის მეურნეობის მინისტრად იქნა არჩეული 1950 წელს. დავით რემეზი 1918 წლიდან ცხოვრობდა თელ-ავივში. სიონისტური ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრობიდან მოყოლებული, მისი პუბლიკაციები პოლიტიკურ თემებზე, ძლიერ გავლენას ახდენდნენ როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ასევე საზღვარგარეთ მყოფ პროგრესულ ებრაელ ახალგაზრდებზე. საჭიროდ მიაჩნდა შინაარსიანი პროპაგანდა ქვეყნის შექმნის აუცილებლობაზე და ხედევდა კიდევ საგრძნობ შედეგებს.

1950–51 წლებში დავით რემეზი იყო განათლებისა და კულტურის მინისტრი. მოშე შარეთი 1906 წელს საცხოვრებლად უკრაინიდან ერეც ისრაელში გადავიდა. ლონდონში მიღებული ეკონომიური და პოლიტიკური განათლება დაეხმარა აქტიურად ჩართულიყო ებრაული სააგენტოს მუშაობაში და შეეტანა სიახლეები. მტრულად განწყობილ ქვეყნებთანაც კი გამოიწვევდა კონფლიქტებიდან გამოსვლის დიპლომატიური გზები, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ებრაელ გავლენიან ლიდერებს ევროპასა და ამერიკაში. მისი წონადი როლი ფასდაუდებელია ქვეყნის ჩამოყალიბების საქმეში. 1948წ. მოშე შარეთი იყო საგარეო საქმეთა მინისტრი, ხოლო 1954წ. უკვე მთავრობის მეთაური.

ჯერ კიდევ ბერლინში სწავლის პერიოდში, ხაიმ ვაიცმანის ყურადღება მიიპყრო თეოდორ ჰერცელის მოწოდებამ ებრაული სახელმწიფოს შექმნის ათობაზე. 1901 წელს მან თავისი პირველი პატენტი ქიმიაში გაყიდა შვეიცარიაში, ვაიცმანმა მთელი თანხა მოახმარა სიონისტურ მოღვაწეობას. პარალელურად ქიმიის სამეცნიერო კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მალე დააარსა დემოკრატიული

ფრაქცია, რომლის პოლიტიკური მიზნები ისრაელის სახელმწიფოს დაარსება იყო. იგი კატეგორიულად ილაშქრებდა უგანდის გეგმის წინააღმდეგ და ლორდ ბალფურის შეკითხვაზე თუ რატომ? ვაიცმანმა უთხრა: „მიატოვებდით ლონდონს პარიზის სანაცვლოდ?“ „კი მაგრამ, ლონდონი ჩემი ქვეყნის დედაქალაქია.“ „ხოდა, იერუსალიმი ჩემი ქვეყნის დედაქალაქი იყო მაშინ, როცა ლონდონი ჭაობს წარმოადგენდა“, უპასუხია ვაიცმანს. მან თავისი პრაგმატული სიონისტური იდეებით, ბევრი ინგლისელი პოლიტიკოსი მოხიბლა. იგი თავგამოდებით იბრძოდა ივრითის დამკვიდრებაზე ქ. ხაიფის ტექნიონში. მან შეიმუშავა აცეტონის მიღების ახალი მეთოდი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა საბრძოლო იარაღის წარმოებაში. მანვე წამოაყენა საკითხი სიონისტურ კონგრესზე 1937წ. ებრაული სახელმწიფოს აუცილებლობის თაობაზე, აღმოსავლეთ ევროპის ებრაელთა გადარჩენის მიზნით. ტრუმენიგან მიაღწია 100 მილიონი დოლარით დაფინანსებას ეკონომიური განვითარების მიზნით. 1969 წელს ხაიმ ვაიცმანი აირჩიეს ისრაელის პრეზიდენტად.

კითხვაზე რომელ პოლიტიკურ მოღვაწეს გამოყოფდით ისრაელის შექმნის შემდგომი ისტორიიდან და რატომ?

იაკობ ოფირი პასუხობს: გოლდა მეირი – (1898-1978). მისმა მთელმამთელი ცხოვრებამ ებრაელთა უფლებებისთვის ბრძოლაში გაიარა. 1948 წელს, მეირი გახდა ერთ-ერთი იმ ორი ქალიდან, ვინც ხელი მოაწერა ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციას და დაინიშნა ისრაელის ელჩად სსრკ-ში. მომდევნო 17 წლის განმავლობაში გოლდა მეირი მუშაობდა შრომის მინისტრად და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო 1969 წელს იგი ხელმძღვანელობდა მთავრობას. მან ეს თანამდებობა 1974 წლამდე ეჭირა. მხურვალე მოყვარული ერისა, გაწონასწორებული მოღვაწე ამბობდა: "პოლიტიკურ ლიდერს, რომელიც დაუყოვნებლივ თავის ხალხს ომში ჩაითრევს არ აქვს ლიდერობის უფლება". "ჩემი ცხოვრება ძალიან ბედნიერი იყო. მე არა მხოლოდ იუდეური სახელმწიფოს დაბადებას ვხედავდი, არამედ დავინახე, თუ როგორ მიიღო იგი და აღიქვა მთელმა მსოფლიომ". "საკმარისი არ არის მხოლოდ რწმენა-საჭიროა სასიცოცხლო დიდი ძალა, რათა გადალახოს დაბრკოლებები და ბრძოლა არ გაანელოს". "გულწრფელად შემძლია ვთქვა, რომ წარმატების მიმდევარი არასდროს ვყოფილვარ. თუ მივხვდი,

რომ სწორად ვაკეთებდი საქმეს, გავაკეთე ყველაფერი, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული, მიუხედავად შესაძლო შედეგისა.

მენაჰემ ბეგინი (1913-1992) – ისრაელის პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ისრაელის მთავრობის ხელმძღვანელი (1977–83წ.), ნობელის პრემიის ლაურეატი (1978). იგი მოკრძალებული ევროპელი კაცი გახლდათ, კეთილგანწყობილი, თავშეკავებული. იგი ჩინებულ ორატორად და პოლემიკოსად ითვლებოდა, კარგად ფლობდა ცხრა ენას. ვინც მას პირადად იცნობდა, აღნიშნავდნენ მის განსაკუთრებულ ელევანტურობას და თავდაბლობას. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დაიწყო აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება, გარკვეული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად: ისრაელის გეოპოლიტიკური პოზიციის გაძლიერება შუა აღმოსავლეთში. ესმოდა შეერთებულ შტატებთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა და ლიბანზე სირიული კონტროლის აღკვეთა. იყო მოლაპარაკებების ინიციატორი ეგვიპტის პრეზიდენტ ა.სადატთან. ეგვიპტესთან ფარული მოლაპარაკება დაიწყო 1977 წელს ლიკუდის მთავრობის ჩამოყალიბებისთანავე. ბეგინის როლი ეგვიპტესთან მშვიდობის მიღწევაში გადამწყვეტი გახლდათ. ბეგინის მზადყოფნა დათმობებზე არ ვრცელდებოდა Eretz Yisrael-ის ისტორიულ ტერიტორიების მიმართებით. დაიწყო იუდეის, სამარიასა და ღაზას ზონის ინტენსიური ებრაული დასახლება.

რობერტ ადარის აზრით, ისრაელის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებით გამორჩეულია იცხაკ რაბინის მოღვაწეობა, რომლის მაღალ სახელმწიფო თანამდებობზე საქმიანობა ქვეყნისათვის უდავოდ მნიშვნელოვანი და მეტად წარმატებული იყო. კერძოდ, გენერალური შტაბის ხელმძღვანელის პოსტზე სამსახურის დროს, ისრაელის არმიამ მისი მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ექვსდღიანი ომის მიმდინარეობისას ეგვიპტის, სირიისა და იორდანის შეიარაღებულ ძალების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. სამხედრო კარიერის შემდეგ აღსანიშნავია იცხაკ რაბინის დიპლომატიურ და სამთავრობო დონეზე წარმართული მუშაობა ჯერ მინისტრის, ხოლო ორჯერ პრემიერ მინისტრის რანგში. როგორც სახელმწიფოს მეთაურისთვის, უმნიშვნელოვანესია რაბინის მიერ პალესტინის განთვისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელთან იასირ არფატთან ოსლოში ხელმოწერილი შეთანხმება,

რისთვისაც მას, პალესტინის ლიდერს და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს შიმონ პერესს მიენიჭათ ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. აღსანიშნავია, რომ პერესი სრულიად უნიკალური და მეტად გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწეა არა მხოლოდ თავისი ქვეყნის, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. დაახლოებით შვიდი ათეული წლის განმავლობაში მას თორმეტჯერ ეკავა სხვადასხვა სამინისტროს პირველი პირის თანამდებობა ეროვნული მთავრობის შემადგელობაში. ორჯერ იქნა არჩეული პრემიერ მინისტრად, ხოლო ერთხელ პრეზიდენტად. არის 11 წიგნისა და მრავალი პუბლიკაციის ავტორი. შიმონ პერესს უდიდესი წვლილი აქვს შეტანილი რეგიონში სამშვიდობო პროცესების დასამყარებლად.

ლია კრიხელს მიაჩნია, რომ მენახემ ბეგინი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი, მუშათა პარტიის თავმჯდომარე. ისრაელის მეშვიდე პრემიერ-მინისტრი, ნობელის პრემიის ლაურეატი 1978 წელს. 1982 წელს სენატორი, ჯო ბაიდენი დამუქრებია მენახემ ბეგინს ამერიკული ფინანსური დახმარების შემცირებით. ბეგნს უპასუხია: „ნუ ეცდებით ჩვენ შეგვაშინოთ მატერიალური დახმარების გარეშე დატოვებით. ეს არ მოქმედებს იმ ხალხზე, ვისაც მუხლები არ უკანკალლებს. მე ვამაყობ ჩემი წარმომავლობით. მაშინაც კი არავინ მოსულა დასახმარებლად, როცა ებრაელები გაზის კამერებში იხოცებოდნენ და არც მაშინ, როცა სახელმწიფოს შექმნას ვისწრაფოდით. დღესაც მზადა ვართ, საკუთარი სიცოცხლის ფასად დავიცვათ ჩვენი ეროვნული და იდეოლოგიური ინტერესები.“ მენახემ ბეგინისთვის არც სამშვიდობო პოლიტიკური გზა იყო მიუღებელი გუშინდელ მტრულად განწყობილ მხარეებთან. იგი შეხვდა ეგვიპტის პრეზიდენტს, ანვარ სადათს და სწორედ მაშინ მოეწერა ხელი კემპ-დევიდის ცნობილ სამშვიდობო ხელშეკრულებას. მენახემ ბეგინი შვიდ ენას ფლობდა, გამოირჩეოდა დიდი ორატორული ნიჭით და ოცნებობდა შესულიყო ისტორიაში, როგორც ისრაელის სამუდამო საზღვრების დამამტკიცებელი.

პოლიტიკური ელიტის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მკვლევარი გ. მოსკა თვლიდა, რომ ელიტას აქვს განსაკუთრებული შესაძლებლობები. ის პოლიტიკური ელიტის ლეგიტიმურობას, მისი წევრების განსაკუთრებულ პირად თვისებებს უკავშირებდა. როდესაც განსაკუთრებული თვისებებით პედალირება ხდება, ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა ადამიანური ღირსებების ფართო სპექტრს. ეს შეიძლება იყოს სიმდიდრე, სამხედრო ღირსება, ინტელექტუალური

უპრატესობა და სხვ.⁵⁷ ისრაელის შემთხვევაში პოლიტიკური ელიტის წევრი ადამიანები მართლაც განსაკუთრებული თვისებებით და, უპირველეს ყოვლისა, თავიანთი ქვეყნის შექმნისა და მისი კეთილდღეობის იდეით იყვნენ გამსჭვალულნი.

კითხვაზე რა როლს ასრულებდა ისრაელის პოლიტიკური ელიტა ქვეყნის აღმშენებლობის, მოსახლეობის კონსოლიდაციისა და მისი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში?

რობერტ ადარი პასუხობს: ისრაელის სახელმწიფო სხვა დამოუკიდებლობა აღდგენილი და თავისუფლება მოპოვებული ქვეყნებისგან არსებითად განსხვავებულია, რადგანაც მეტად რთული გამოწვევების წინაშე იდგა და დღესაც დგას. თავისი დრამატული და არაორდინალურად განვითარებული ისტორიული მდგომარეობის გამო, ისრაელი ჩამოყალიბდა როგორც რეპატრიანტთა ქვეყანა. ამ სიტუაციას უაღრესად ართულებს თანამედროვე ეპოქაში მიმდინარე დაუსრულებელი ეთნოკონფლიქტების შედეგად წარმოქმნილი საომარი ვითარება. აქედან გამომდინარე, ისრაელის პოლიტიკური ელიტა სრულიად ახალი რეალობის შექმნისა და ახლებური მიდგომების განუხრელი დანერგვითა და განხორციელებით შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას, რამაც წარმოუდგენლად დიდი და მასშტაბური მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზაზე დააყენა მოსახლეობის ფართო ფენები. სახელმწიფოს მეთაურებმა მაღალი პატრიოტული სულისკვეთებითა და წინსვლისაკენ დაუოკებული მისწრაფების გრძნობით გამსჭვალეს მსოფლიოს სხვადასხვა მხარეებიდან და ქვეყნებიდან ახლად ამოსული, მაგრამ სოციალურად მყარად დამკვიდრებული ისრაელის თითოეული მოქალაქე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი (ფიგურალურად რომ ვთქვათ) „უდაბნოში წალკოტის“ შექმნას.

შალვა წიწუაშვილი აღნიშნავს, რომ დავიდ ბენ გურიონი, შიმონ პერესი, გოლდა მეირი, მოშე შარეთი, ბენიამინ ნეთანიაუ, მოშე დაიანი და სხვ. ყოველ მათაგანთან და მათ გარშემო არსებულ პოლიტიკურ ელიტასთან დაკავშირებულია ქვეყნის განვითარებისა და პოლიტიკური წარმატებების სხვადასხვა პერიოდები.

⁵⁷ Моска Г. Правящий класс// Социс, №10, 1994. С.191

იგზაკ ილანის აზრით, ისრაელის პოლიტიკური ელიტა ასრულებდა ძალიან დიდ როლს ქვეყნის აღმშენებლობაში, მოსახლეობის კონსოლიდაციასა და მისი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში. რაც გამოიხატა შემდეგში: **კიბუცების დაარსება**, რამაც გასაზღვრა მომავალი ქვეყნის საზღვრები. თანაც მისცა საშუალება უზრუნველყო ებრაული დასახლებას სურსათით. **ქალაქი თელ-ავივისა და** სხვა ქალაქების დაარსებაც: ნეთანია, ნაჰარია, კირიათ-შმონა, რეხოვოთ.

პოლიტიკურმა ლიდერებმა დიდი წვლილი შეიტანეს **ივრითის** (ებრაული ენის) აღდგენაში და ამ ენაზე სწავლება საბავშვო ბაღებში, სკოლებში და უნივერსიტეტებში, რომლებიც დაარსდნენ მათი წვლილითაც: გიმნაზია "ჰერცლია", იერუსალიმის უნივერსიტეტი, ხაიფის ტექნიონი. საერთო ერთმა ენამ შეჰქმნა ერთი კულტურა და დაუახლოვა ერთმანეთს სხვადაცხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მოსახლეობა, რომლებიც სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ.

სიონისტური მოძრაობის მოღვაწეება განაახლეს და შექმნეს ახალი სეკულარული სიმბოლოები ძველი ებრაული რელიგიური სიმბოლოებიდან. მაგალითად **მაკაბიელების გმირობა, მესადას დამცველების გმირობა, ბარ-ქოხვას აჯანყებულების გმირობა**. ამან დაუდო საძირკველი ახალი საერთო სეკულარული მითოსების ჩამოყალიბებას და სეკულარულ ებრაულ კულტურას, რაც მანამდე არ არსებობდა და საჭირო იყო სახელმწიფოს აღსადგენად.

საინტერესოა **ლია კრიხელის** მოსაზრება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: იგი ამბობს: პოლიტიკური ელიტის გამოკვეთა, არც თუ ისე იოლია, რამეთუ ისრაელში იგი საზოგადოებრივი ელიტის განუყოფელი ნაწილია. თუ გავივალისწინებთ იმას, რომ პოლიტიკური კულტურის როლი სხვა კულტურების გან განსხვავებით, ისტორიული შეცდომების ნიადაგზე ახალი ტაქტიკის შემუშავებას, პოლიტიკოსების ქცევის ნორმების წონასწორობასა და ეროვნული ფასეულობის გაფრთხილებას ნიშნავს, ამ მხრივ ისრაელის პარლამენტში გაერთიანებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, თითქმის შეთანხმებულად მოქმედებენ. მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაც ხომ პოლიტიკურად გათვითცნობიერებაზეა დამოკიდებული, რაშიც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის 18 წლის ასაკიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურს ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის. როგორც წესი, პოლიტიკური კულტურის სახეს ქმნიან

გავლენიანი პოლიტიკური პორები, მსხვილი წარმოებებისა და ფინანსური ინსტიტუტების ხელმძღვანელები. პრემიერ-მინისტრის კაბინეტის მმართველ ძალებში გაერთიანებული არიან მემარჯვენე და მემარცხენე ძალების წარმომადგენლები. მათი მოღვაწეობა მიმართულია სრულიად საკაცობრიო ფასეულობების შენარჩუნებისაკენ. ამის წყალობით, საზოგადოებაში პოლიტიკური ინფორმაცია საკმაოდ გამჭვირვალეა. ერთი შეხედვით, ჩამოყალიბებული შინა თანამშრომლობა, არც თუ ისე უმტკივნეულოდ მიმდინაერებს. რელიგიური სექტორის ლიდერებსაც გარკვეული გავლენა გააჩნიათ, რომელთაც დიდი დაფინანსება აქვთ მსოფლიო რელიგიური წრეებიდან. მმართველი პარტიების გარდა, საზოგადოებრივ წყობასა და ცხოვრების განვითარებაზე, კულტურისა და განათლების წარმომადგენლებიც ახდენენ გავლენას, არა მარტო ისრაელის მოქალაქეები, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ებრაელები. მაგალითისათვის იკმარებდა, ჩვენი დროის უდიდესი დირიჟორის, მანეტრო ზუბინ მეტას მაგალითი, რომელიც საომარი ოპერაციების დროს სპეციალურად ჩამოდიოდა და კონცერტებს მართავდა ხოლმე ჩვენი ჯარისკაცებისთვის. სამშობლოს დამცველთათვის მსგავსი მორალური მხარდაჭერა, უფრო ამაღლებს პატრიოტიზმის გრძნობასა და მოტივაციას. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას უშუალოდ პრემიერ-მინისტრი აკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის პოლიტიკურ კულტურას გამოკვეთილი კონტურები არ გააჩნია, იგი მაინც შესდგება პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიური, კულტურული და აკადემიური ფენებისაგან.

ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად შეიძლება შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ:

მათ მიაჩნიათ, რომ მსოფლიოში ანტისემიტიზმის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა, ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა იყო. პოლიტიკურმა ლიდერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში, აირჩიეს რა სწორი ტაქტიკა და სწორი დრო. მათ დიდი როლო მიუძღვით, აგრეთვე ივრითის (ებრაული ენის) აღდგენაშიც და ამ ენაზე სწავლებაში საბავშვო ბაღებში, სკოლებში და უნივერსიტეტებში, რომლებიც დაარსდნენ მათი ძალისხმევიტათაც: გიმნაზია "ჰერცლია", იერუსალიმის უნივერსიტეტი, ხაიფის ტეხნიონი. საერთო ერთმა ენამ შექმნა ერთი კულტურა და დაუახლოვა ერთმანეთს სხვადაცხვა ქვეყნებიდან

ჩამოსული მოსახლეობა, რომლებიც მანამდე სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ, უზრუნველყო ერის კონსოლიდაცია.

სიონუსტირი მოძრაობის მოღვაწეებმა განაახლეს და შექმნეს ახალი სეკულარული სიმბოლოები ძველი ებრაული რელიგიური სიმბოლოებიდან. მაგალითად მაკაბიელების გმირობა, მესადას დამცველების გმირობა, ბარ-ქოხვას აჯანყებულების გმირობა. ამან დაუდო საძირკველი ახალი საერთო სეკულარული მითოსების ჩამოაყალიბებას და სეკულარულ ებრაულ კულტურას, რაც მანამდე არ არსებობდა და საჭირო იყო სახელმწიფოს აღსადგენად და ერის საერთო ღირებულებების გარშემო კონსოლიდაციისათვის

ისრაელში პოლიტიკური ლიდერი საზოგადოებრივი ელიტის განუყოფელი ნაწილია. თუ გავივალისწინებთ იმას, რომ პოლიტიკური კულტურის როლი სხვა კულტურებისგან განსხვავებით, ისტორიული შეცდომების ნიადაგზე ახალი ტაქტიკის შემუშავებას, პოლიტიკოსების ქცევის ნორმების წონასწორობასა და ეროვნული ფასეულობის გაფრთხილებას ნიშნავს, ამ მხრივ ისრაელის პარლამენტში გაერთიანებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, თითქმის შეთანხმებულად მოქმედებენ. მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაც ხომ პოლიტიკურად გათვითცნობიერებაზეა დამოკიდებული, რაშიც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის 18 წლის ასაკიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურს ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის. როგორც წესი, პოლიტიკური კულტურის სახეს ქმნიან გავლენიანი პოლიტიკური პორები, მსხვილი წარმოებებისა და ფინანსური ინსტიტუტების ხელმძღვანელები.

მიუხედავად ლიდერებს შორის სხვადასხვა პერიოდში არსებული უთანხმოებისა, მათ შეძლეს კომპრომისების გამონახვა და ამ განხეთქილებებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დეზინტეგრაციის პროცესის თავიდან აცილება.

პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ლიდერობის თავისებურებები (ემპირიული კვლევა ქართველი ექსპერტების მონაწილეობით).

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობეს ქვეყნის პოლიტიკური ტრანსფორმირება. ამ პერიოდში დაწყებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა

ელიტური სტრუქტურების იდეოლოგიური და ღირებულებითი ტრანსფორმირება განაპირობებს, მათ შორის ელიტების ცირკულაციის მექანიზმების პროცედურული ცვლილებები. ამ ყველაფერმა ასახვა პოვა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

ქართულ სინამდვილეში სოციუმის ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია კონკრეტულ პოლიტიკურ ფიგურაზე, ამასთან ამ ლიდერის გარშემო გაერთიანებული ელიტური ჯგუფები განსხვავდება ერთმანეთისაგან თავიანთი ღირებულებებით და იდეოლოგიური ორიენტირებით. ამასთანავე, ყველა პოსტსაბჭოთა პოლიტიკურმა ლიდერმა სოციალურ-პოლიტიკური კაპიტალის დაგროვებისას, ერთმანეთისაგან განსხვავებული გზა გაიარა, რაც მათი ინდივიდუალური პოლიტიკური ქარიზმის ფორმირების მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა.

ჩვენი კვლევის ამ ნაწილის მიზანია დავადგინოთ და გავაანალიზოთ, თუ რას ფიქრობენ ქართველი ექსპერტები:

- პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებზე?
- რომელ მათგანს გამოყოფდნენ ამ ლიდერებიდა?
- რა ფაქტორებმა მოახდინეს გავლენა ასეთი ტიპის ლიდერის ჩამოყალიბებაზე?
- რომელმა ლიდერმა შეასრულა ქართველი ერის მაკონსოლიდირებელი ფუნქცია?
- აუცილებელია თუ არა ქარიზმატული ლიდერის არსებობა და რა როლის შესრულება შეუძლია მას ერის კონსოლიდაციისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში?

კვლევაში მონაწილეობენ:

ავთანდილ ტუკვაძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ პროფესორი

პეტრე მამრადე – სტრატეგიული კვლევების ცენტრის დირექტორი

გიგი თევზაძე – ფილოსოფოსის მეცნიერებათა დოქტორი, ილიაუნის პროფესორი

ვაჟა შუბითიძე – პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, სპუ პროფესორი

ავთანდილ ტუკვაძის აზრით, ლიდერები და ელიტები იყოფა შემდეგ ტიპებად: (აღნიშნული გადმოცემული აქვს მას თავის წიგნში) ზვიად გამსახურდია და მისი ერთგული ეთნოკრატიული შეფერილობის ელიტა, შევარდნაძე და მისი ნეონომენკლეტურული ელიტა, სააკაშვილს და მისი „პროდასავლური“ („ავტორიტარული“) პოლიტიკური ელიტა,

ლიდერს სჭირდება ქარიზმა, ქარიზმის გარეშე შეუძლებელია ლიდერად გახდომა. ქარიზმა ჰქონდა ზვიად გამსახურდიას და შევარდნაძეს, სააკაშვილს. შევარდნაძემ დააპირა გარდასახვა, მაგრამ მაინც საბჭოთა ნომენკლატურად დარჩა.

ბიძინა ივანიშვილს იგი რაციონალურ დემოკრატიულ ლიდერს უწოდებს ის ერთადერთია რომელმაც ხელისუფლება დათმო, თუმცა შემდეგ კიდეც მობრუნდა. მისი გატარებული პოლიტიკა, ჩატრებული მიტინგები უფრო რაციონალური საფუძვლს ემყარებოდა, ვიდრე ემოციებს.

ვაჟა შუბითიძეს მიაჩნია, რომ პოსტსაბჭოთა ლიდერების შერჩევა ხდებოდა ინერციით, ვინაიდან პოლიტიკური ცხოვრება საბჭოთა კავშირში არ არსებობდა და შეუძლებელი იყო ვინმეს პოლიტიკური სკოლა გაეწყო, თუ არ ჩავთვლით იმ ინტრიგებს, რომელიც ახასიათბდა იმდროინდელ მმართველობას.

პოსტსაბჭოთა ლიდერობა ესაა საბჭოთა პერიოდიდან ინერციით გადმოსული, ამიტომ პოსტსაბჭოთა ლიდერებმა მიიღეს ასეთი ჩვევები და უნარები, ამას დაემატა მათი ეროვნულობა, რომელიც მძლავრი ტენდენცია გახდა. თვით გუმბერძენეც კი ცდილობდა ეროვნული ხაზი გაეტარებინა. ეს კი შეუძლებელი იყო, რადგანაც ეროვნული ლიდერი ვერ გახდება თუ მას არ გაუვლია პოლიტიკური ბრძოლა თავის საზოგადოებასთან ერთად.

გამსახურდია პოლიტიკაში გათვითცნობიერებული ადამიანი იყო, მაგრამ არა პოლიტიკური ლიდერი. უბრალოდ, მას ამის გამოცდილება არ ჰქონდა, ის ინერციით შემოვიდა და ეროვნული მოძრაობის სათავეებთან აღმოჩნდა. მასთან, მარტო გამსახურდიას არ შეუქმნია დამოუკიდებელი საქართველო, იყვნენ სხვა ლიდერებიც. იგივე კოსტვა და სხვები. გამსახურდია, როგორც პოლიტიკური ლიდერი არ შედგა და ვერც შედგებოდა. გამომდინარე იქიდან რომ მას ტვირთად საბჭოთა წარსული აწვა, თუმცა მისმა განათლებამ, ეროვნულობამ,

არაკორუმპირებულობამ შექმნა გარკვეული სტანდარტები, რომლებიც უნდა გადაელახათ იმ ლიდერებს, ვისაც მასზე მეტის მიღწევა სურდათ შემდგომ პერიოდში. ეს ვერც შევარდნაძემ, ვერც სააკაშვილმა და ვერც მისმა შემდგომმა ლიდერებმა.

პეტრე მამრაძე ფიქრობს, რომ საჭიროა შემდგომ პერიოდში ხელისუფლებაში მოსულ პოლიტიკურ ლიდერებისაგან გამოვყოთ და ცალკე განვიხილოთ პოსტსაბჭოურ ლიდერთა პირველი ეშელონი. 1985 წელს, სსრკ-ს ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმის არსებობის 63-ე წელს, გორბაჩოვისა და მისი პოლიტიკურის მიერ გამოცხადებულმა პოლიტიკამ, „გარდაქმნამ“ და „საჯაროობამ“, დააჩქარა სსრკ-ში მანამდე ლატენტურად მიმდინარე პოლიტიკური სისტემის რღვევის პროცესები და დიდი არეულობა და დაბნეულობა გამოიწვია მმართველ კომუნისტურ ელიტებში – როგორც ცენტრში (მოსკოვში), ასევე მაშინდელ საკავშირო რესპუბლიკებში. ამ რესპუბლიკებში მოხდა ეროვნული მოძრაობების ლეგალიზაცია და მკვეთრი ინტენსიფიკაცია, ზოგ შემთხვევაში, კი რადიკალიზაცია. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ „თავისუფლება“ დაშვებული იყო ზევიდან და არ იყო მოპოვებული დისიდენტების და ეროვნული ლიდერების მიერ მათი ხელისუფლებასთან ბრძოლის შედეგად. სწორედ ამ გარემოებამ განსაზღვრა პოსტსაბჭოური პოლიტიკური ლიდერების პირველი ეშელონის ფორმირება. იგი ფიქრობს, რომ ამ ეშელონის ლიდერები, მცირე გამონაკლისის გარდა, სავსებით შეესაბამებოდნენ მათ გარშემო ფორმირებულ გარემოს.

გიგი თევზაძის აზრით, ყველა ლიდერი, საქართველოში, იმეორებს საბჭოთა კავშირში დადგენილ ფორმებს და მოქმედების წესებს.

კითხვაზე, თუ რომელ მათგანს გამოყოფდნენ ამ ლიდერებიდან?

ავთანდილ ტუკვაძე პასუხობს, რომ ზვიად გამსახურდია ბიოროკრატიულ ლიდერად ვერ გარდაიქმნებოდა, რადგან იმ დროს არ იყო ჩამოყალიბებული ინსტიტუტები, ამიტომაც ის დარჩა ქარიზმატულ, ეროვნულ ლიდერად. რაც შეეხება ედუარდ შევარდნაძეს, ინსტიტუტები მაშინაც მყოფე იყო, ამასთან, მისთვის უცხო იყო ეროვნული მოძრაობა, როგორც მთელი ნომენკლატურული ელიტისთვის. მნიშვნელოვანი იყო ხელისუფლების შეენარჩუნება. ბიძინა

ივანიშვიის ის უწოდებს რაციონალურ დემოკრატიულ ლიდერს. მან ერთადერთმა დათმო ხელისუფლება, თუმცა შემდეგ დაბრუნდა. მისი გატარებული პოლიტიკა, უფრო რაციონალური საფუძვლს ემყარებოდა ვიდრე ემოციებს.

პეტრე მამრაძე გამოყოფს ზვიად გამსახურდიას, მისი აღზევება და პოლიტიკურ ლიდერად ჩამოყალიბება მოხდა საქართველოში ჯ.პატიაშვილის მმართველობის წლებში. საქართველოს კომუნისტური პარტია ჯ.პატიაშვილის ხელმძღვანელობით 1985-1989 წლებში ახორციელებდა სრულიად კონტრპროდუქტიულ პოლიტიკას, რომლის კულმინაცია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია იყო. ამ პოლიტიკამ გამოიწვია საქართველოში ეროვნული მოძრაობის უკიდურესი პოლარიზაცია და რადიკალიზაცია. სწორედ ამ გარემოში ჩამოყალიბდა პოლიტიკურ ლიდერად ზვიად გამსახურდია, როგორც ეთნიკური ნაციონალისტი და „რუსეთთან შეუპოვარი მებრძოლი“. მისმა კონტრპროდუქტიულმა პოლიტიკამ დიდად შეუწყო ხელი საქართველოში საზოგადოების პოლარიზაციას, დაპირისპირებას და კონფლიქტების ფორსირებას.

გიგი თევზაძე გამოყოფს ბიძნა ივანიშვილს, რომელიც ცდილობს (წარმატებულად), საბჭოთა წარსულის ნოსტალგია გაუღვიძოს იმათ, ვისაც საბჭოთა კავშირის გამოცდილება არ ჰქონია.

ვაჟა შუბითიძე ფიქრობს, რომ ნიკო ნიკოლაძე იქნებოდა იდეალური პრეზიდენტი ნებისმიერი ქვეყნის და განსაკუთრებით საქართველოსთვის. მას უწოდეს „უღმრთელი საქმის კაცი“, ასეთი საქმიანი ადამიანი საქართველოს არ ყოფილა. იგი იყო უდუდესი ფიქურა საერთაშორისო ავტორიტეტი, იცნობდა ევროპის ბიზნეს ელიტას, პოლიტიკურ ელიტას, სამეცნიერო ელიტას. მე-20 საუკუნეში ტექნიკური პროგრესის თავლსაზრისით, მან მნიშვნელოვანწილად განავითარა საქართველო, დანერგა იმდროინდელი ინოვაციები.

პოსტსაბჭოთა ლიდერებიდან იგი გამოყოფს მერაბ კოსტვას. ის აწონასწორებდა გამსახურდიას ემოციურ გადაწყვეტილებებს. მას ჰქონდა მაღალი ინტელექტი, მოთმენის უნარი, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უნარი. ეს თვისებები ნაკლებად ჰქონდა გამსახურდიას. პოლიტიკისათვის საკმაოდ მოუმზადებელი. პოლიტიკაში მას უნდა მიეღო დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, და ამისთვის

ის არ აღმოჩნდა მზად. სამწუხაროდ გამსახურდიას ბევრი შეცდომა დააშვებინა რუსულმა სპეცსამსახურებმა.

ლიდერი იყო გია ჭიანჭურიაძე მაგრამ მას განსაკუთრებული ლიდერული უნარები და თვისებები არ ჰქონდა. იგი იყო საშუალო რანგის პოლიტიკური ლიდერი იგანსაკუთრებული არაფერი.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობეს ქვეყნის პოლიტიკური ტრანსფორმირება. ამ პერიოდში დაწყებულმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა ელიტური სტრუქტურების იდეოლოგიური და ღირებულებითი ტრანსფორმირება განაპირობეს, მათ შორის ელიტების ცირკულაციის მექანიზმების პროცედურული ცვლილებები. ამ ყველაფერმა ასახვა ჰპოვა ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. ამასთან დაკავშირებით, შემდეგი კითხვა, რომელიც ქართველ ექსპერტებს დავუსვით იყო:

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში განვითარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობეს ქვეყნის პოლიტიკური ტრანსფორმირება?

ავთანდილ ტუკვაძეს მიაჩნია, რომ, საერთოდ, საქართველოსნაირ ქვეყანაზე ძალიან დიდ გავლენას ახდებს გარე ფაქტორები, ჩვენ დამოუკიდებლობის გასაღები მთლიანად გავიტანეთ გარეთ. ანუ თუ გინდა იყო ლიდერი (ქვეყნის მხსნელი) მაგალითად, ივანიშვილის შემთქვევაში, ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენა, საქართველოში ლიდერს განსაზღვრავს ორიენტაცია. ანუ ნატოს-ევროკავშირის თუ რუსული ორიენტაცია. ჯერ კიდევ ილია და ნიკო ნიკოლაძე – საუბრობენ სხვის მოიმედებობაზე, როგორც ქართველების მახასიათებელზე.

დღეს საქართველოში ლიდერობა ნიშნავს, რომ ლიდერს აქვს დასავლური ორიენტაცია. ლაპარაკია იმაზე რომ საგარეო პოლიტიკის ვექტორი განსაზღვრავს ლიდერის იმიჯს. ამ მხრივ, თვალსაჩინოა ნაციონალების მმართველობის პერიოდში არსებული პოლიტიკურ შიზოფრენია, ამ პერიოდში ითქვა ყველაზე მეტი ტყუილი და გაიცა ყველაზე მეტი ცრუ დაპირება.

გიგი თევზაძე თვლის, რომ გადამწყვეტი გავლენა იქონია სახელმწიფო სისტემის და სიტემების (სასამართლო, განათლება, სასჯელაღსრულება, ა.შ.) პრინციპულმა უცვლელობამ საბჭოთა კავშირის დაშლიდან დღემდე.

ვაჟა შუბითიძის აზრით, საბჭოთა წარსული პოლიტიკური ელიტისთვის იყო მძიმე. რაც არ უნდა ახალი სახელმწიფო შექმნა, ეს წარსული მაინც დაღს ასვამს პოლიტიკურ ლიდერთა ქცევას. საქართველოში სრულიად მოუმზადებლად დავიწყეთ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და ქვეყნის შენება. არ იყო არანაირი ეროვნული პროგრამა, არ იყო შემუშავებული პრონციპები, რაზეც უნდა აშენებულიყო ახალი სახელმწიფო. იყო მხოლოდ სურვილი რომ განვთავისუფლებულიყავით, იყო აქტიური გამოსვლები, შიმშილობის აქციები, თუმცა ეს არ გაცდენია სტიქიურ ფორმებს. არავინ იცოდა რა უნდა ეკეთებიათ საერთაშორისო არენაზე, მეორე დღეს, მესამე დღეს, რა უნდა მოემოქმედებინა რუსეთთან დაპირისპირების კუთხით, არ იყო. ეკონომიკური პროგრამა. მეტნაკლები გამოცდილება ჰქონდა ალექსანდრე ჩიკვაძეს დიპლომატიური კუთხით, თუმცა მას არ ჰქონდა სახელმწიფოს მშენებლობის გამოცდილება და ვერც ჩამოყალიბდა პოლიტიკურ ლიდერად.

ედუარდ შევარდნაძეს ჰქონდა ტალანტი, ის ლიდერად იყო დაბადებული. თუმცა მას სათანადო განათლება არ ჰქონდა. გამოცდილებაც აკლდა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. გამსახურდიას დონის განთლება რომ ჰქონოდა საქართველოს მშენებლობისთვის ის ალბათ სხვანაირად იმოქმედებდა. ან პირიქით გამსახურდიას რომ ჰქონოდა საქმიანობის შევარდნაძისეული გამოცდილება სხვაგვარად განვითარდებოდა მოვლენები.

ამ ორი ლიდერის გაერთიანებული შესაძლებლობების მქონე ლიდერი იყო საჭირო. ერთიან მართვაში ეს ორი ლიდერი დააბალანსებდა ერთმანეთს.

კითხვაზე რომელმა ლიდერმა შეასრულა ერის მაკონსოლიდირებელი როლი?

ავთანდილ ტუკვაძე პასუხობს: ჩვენთან ვერ მოვიყვანეთ ვერცერთ ლიდერს, გარდა დავით აღმაშენებლისა, რომლის სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე საკმაოდ მაღალი იყო. ანუ საუბარია იმაზე რომ ამ ჭრილში თუ დავიწყებთ გამსახურდიადან, მან ბოლოს ერი დაშალა, და დაანაწევრა, ყველაფერმა ერთად

და მისმა იდეოლოგიამ გახლიჩა ერი. რაც შეეხება მის საკადრო პოლიტიკას, ხელისუფლებაში ძალიან ბევრი უცოდნიარი ადამიანი მოვიდა.

შევარდნაძემ, მან მემკვიდრეობითობა მთლიანად უარყო და ნომენკლატურა მოიყვანა ხელისუფლებაში. ამიტომ ვუწოდებ – ნეო-ნომენკლატურულ ელიტას. თუმცა შევარდნაძის დროს იყო ორხელისუფლებიანობა. იოსელიანი-შევარდნაძე.

სააკაშვილი, მხოლოდ ნაციონალებში და ახალგაზრდებში ეძებდა თავის კადრებს. გარეთ არც უნდოდა გაეხედვა. ამას აშშ-ში, მაგალითად, არცერთი პარტია არ აკეთებს, მიუხედავად იმისა რომ დემოკრატები და რესპუბლიკელები უზარმაზარი პარტიებია, ხშირად სხვა პარტიის წარმომადგენლებს მიშნავენ. მაგალითად, გია მაისაშვილი თავიდან ნაციონალებთან იყო, მაგრამ შემდეგ გააკეთა განცხადება, რომ სხვა პარტიაშიც არის ჭკვიანი ხალხი, რის გამოც ის მოიძულეს. სახელმწიო აზროვნება არაა, როცა შენ მხოლოდ პარტიულ ინტერესებს აყენებ წინა პლანზე, ფაქტიურად ნაციონალებმა სახელწიფოს პრივატიზაცია მოახდინეს და პარტია აქციეს მთავრობად. ეს ტოტალიტარიზმის ნიშანია.

ივანიშვილის ხელისუფლების შეფასება ძალიან ჭირს მისი პოლიტიკური ორიენტიერების მიხედვით. ისმის კითხვა – რამდენადაა შესაძლებელი დაბალანსებული პოლიტიკის გატარება?

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საქართველოში ლიდერობას განსაზღვრავს ორიენტაცია-გასაგებია. სადაც ინსტიტუტები სუსტია, იქ ლიდერზეა დამოკიდებული ბევრი რამ. შესაბამისად, ლიდერზე მიბმულობა მეტია და ლიდერსაც მეტი შესაძლებლობა აქვს, რომ თავისი ჩვევები და უნარები გამოავლინოს. საქართველოში ლიდერებს უნდა ზღუდავდეს ინსტიტუტები, მაგრამ ეს ისე ვერ ხერხდება როგორც დასავლეთში, ლიდერი დასავლეთში ისე თავუფალი ვერაა როგორც აღმოსავლეთში.

ვაჟა შუბითიძის აზრით, ამ ფუნქციის შესრულება დღესაც პრობლემაა. კონსოლიდაციის ფუნქცია ლიდერებმა კი არა მოვლენებმა შეასრულეს 9 აპრილის შემდგომი ორი თვე იყო კონსოლიდაციის პიკი, სამწუხაროდ ზუსტად მაშინ დაუპირისპირდნენ გამსახურდია და ჭანტურია ერთმანეთს. არადა ბევერი რამის გაკეთება შეიძლებოდა. ეროვნული კონგრესის და მრგვალი მაგიდა საქართველოს

დაპირისპირება სამწუხაროდ უშიშროების მიერ იმართებოდა. გამსახურდია ამ დაპირისპირების დროს პრეზიდენტი იყო და მას უფრო მეტად ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, თუმცა ოპოზიციასაც უნდა ქონოდა სამშობლოსადმი პასუხისმგებლობის გრძნობა, მათ გამსახურდიას არ აცადეს ქვეყნის მართვა და გეგმების განხორციელება. მას კონსოლიდირებული და შეკრული საქართველო არ ახსენდება.

საქართველოს ლიდერების სისუსტე 9 აპრილის ღამესაც გამომჟღავნდა. ლიდერებმა დატოვეს აქცია და, ფაქტიურად, ქალები, მოხუცები და ბავშვები დაიღუპნენ. არცერთი ლიდერი არ დაშავებულა. არადა პოლიტიკური ლიდერი მზად უნდა იყოს პირველი შეეწიროს პოლიტიკურ ბრძოლას.....მათ ვერ გაიაზრეს ნამდვილი ლიდერობა,

კონსოლიდაცია იყო მაგალითად 2008 წლის შემდეგ. რაღაც პერიოდში, თუმცა სააკაშვილი ვერ გახდებოდა მაკონსოლიდირებული. ახალი ლიდერი. აი მაშინ უნდა მოსულიყო ივანიშვილი და კონსოლიდაცია ადვილად მოხდებოდა. ის მოვიდა 4 წლის დაგვიანებით, როცა უკვე ყველფერი გაფუჭებული იყო.

პეტრე მამრაძე თვლის, როცა შევარდნაძე ჩამოვიდა საქართველოში 1992 წლის მარტში, როცა ქვეყანაში სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა. გაღვივებული იყო სისხლიანი ეთნიკური კონფლიქტები. ამ პირობებში შევარდნაძემ უდიდესი როლი შეასრულა ერის პოზიტიური იდეების გარშემო (მართლწესრიგის აღდგენა, სახელმწიფო აღმშენებლობა, ეთნიკური ნაციონალიზმის სახელმწიფო პატრიოტიზმით ჩანაცვლება, ეკონომიკური აღორძინება, საქართველოსთვის საერთაშორისო ფუნქციის შეძენა) კონსოლიდაციისათვის. იმ წლებში (1992-1998) საქართველოს მიერ მიღწეული შედეგები შეფასდა, როგორც უნიკალური (იხ. მეტლოკი, გერი ბეკერი, სხვები).

გიგი თევზაძის აზრით, ასეთი ფუნქცია შევარდნაძემ, გამსახურდიამ, სააკაშვილმა, ივანიშვილმა - ყველამ თავისებურად და სხვადასხვა მიზნით შეასრულეს საქართველოს საზოგადოება ტრადიციული საზოგადოებაა. ამ მხრივ საინტერესოა იყო ქართველი ექსპერტების მოსაზრება იმის შესახებ საჭიროა თუ არა ქარიზმატული ლიდერის არსებობა და რა როლის შესრულება შეუძლია მას ერის კონსოლიდაციისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში?

ვაჟა შუბითიძეს მიაჩნია, რომ საქართველოში პიროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს, საქართველო საპარლამენტო დემოკრატიაზე გადავიდა, ეს მოდელი ვერ იმუშავებს. საქართველოში მიჩვეული არიან ლიდერს, – ეს პრეზიდენტი იქნება თუ პრემიერ-მინისტრი. ანუ ერთპიროვნულ ლიდერობას და ერთპიროვნულ ხელმძღვანელობას ანიჭებენ უპირატესობას. ქართული ტემპერამენტი და ცხოვრების სტილი განაპირობებს, რომ პოლიტიკური ლიდერი უფრო მოსწონთ. დღეს ქარიზმატული ლიდერები არ იბადებიან. დასავლეთში არიან უკვე კანონმორჩილი ლიდერობა. მათ ჯერ ირჩევენ და მერე ხდებიან ლიდერებად. თავისი პიროვნული თავისებურებებით და პროგრამებითდღეს დავუკვირდეთ, საქართველოში ყველ პარტიას დაბალი რეიტინგი აქვს, რომ არ იყოს ბიძინა ივანიშვილი ერთ წუთში დაიშლებოდა ეს ქართული ოცნების პარტიაც. ასევეა სხვა პარტიებიც. ეს კი იმაზე მიუთითებს რომ ხალხს ისევ პოლიტიკური ლიდერების იმედი აქვთ. ხალხში არის ახალი ლიდერის გამოჩენის მოლოდინი.

პეტრე მამრაძე აღნიშნავს, რომ ისტორია ცხადყოფს, რომ ყველგან და ყოველთვის ე.წ. ქარიზმატული ლიდერები ჩნდებიან მაშინ, როდესაც მოსახლეობაში არის ამის მოთხოვნა (ეს სრულიად გასაგებია ე.წ. დიდ რიცხვთა კანონის გათვალისწინებით).

სხვა საქმეა, როგორია ხოლმე მოსახლეობის მოთხოვნა და ექსპექტაცია, რომელიც განაპირობებს ლიდერის ქარიზმისა და, შესაბამისად, მისი მოქმედების სპეციფიკას. (ადოლფ ჰიტლერმა უპრობლემოდ დაამარცხა თავისი პოლიტიკური მეტოქეები, მათ შორის დიდი ინტელექტისა და კულტურის და პოლიტიკური გამოცდილების მქონე გამოჩენილი მოღვაწეები, (ქარიზმატულმა კონრად ფონ ადენაუერმა მაშინ მონასტერს მიაშურა და იქ ევედრებოდა ღმერთს გერმანელი ხალხის გადარჩენას)). საკმარისია გავიხსენოთ მასებისათვის უდავოდ ქარიზმატული ზვიად გამსახურდია და ეთნიკური ქართველების ძალზე ძლიერი (თუმცა ხანმოკლე) კონსოლიდაცია ეთნიკური ნაციონალიზმის სრულიად დესტრუქციული იდეის გარშემო).

გასათვალისწინებელია, რომ ქარიზმის არსი მკვეთრად შეიცვალა ელექტრონული მას-მედიის დომინირების ეპოქაში. შემთხვევითი როდია, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ტრამპი და უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი პროფესიონალი

ტელეშოუმენები არიან. აშკარა შოუმენი და სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკოსია ბრიტანიტის პრემიერი ბორის ჯონსონი, მიხეილ სააკაშვილს კი დასავლეთში ნამდვილ პოსტმოდერნისტულ პრეზიდენტს უწოდებენ (შეიძლება სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაც).

ცხადია, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პირობები შეიძლება ისეთიც იყოს, რომ გაჩნდეს ქარიზმატული ლიდერი, რომელიც კონსტრუქციული იდეების გარშემო მოახდენს მოსახლეობის კონსოლიდაციას.

საქართველოში დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე ნაკლებ ალბათურია პოზიტიური ქარიზმატული ლიდერის გაჩენა. ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ მინისტრობიდან გადადგომისას განაცხადა, რომ „მისი მისიაა, რომ საქართველოში აღარ იყოს მესია“. ჯერჯერობით ივანიშვილი წარმატებით ასრულებს თავის ამ მისიას.

გიგი თევზაძეს მიაჩნია, რომ ქარიზმატულობა პოლიტიკის საფუძველია, შესაბამისად ქარიზმატული ლიდერიც აუცილებელია.

ავთანდილ ტუკვაძე თვლის, რომ ქარზმულმა ლიდერმა უნა მოახდინოს ერის კონსოლიდაცია. მაგრამ მარტო ქარიზმა არაა საკამრისი, ერი დიდხანს ვერ იტანს პრობლემებს. ქარიზმა, დნება, ქრება, იკარგება.

ელიტის შერჩევის კრიტერიუმები გამსახურდიასთან, მხოლოდ ნაციონალური იდენტობა იყო, არავის აინტერებდა კვალიფიკაცია.

შევარდნაძეს გარშემო ყოფილი ნომენკლატურა იყო. თუმცა მათ შორის ბევრი კომპეტენტური ადამიანი იყო.

სააკაშვილმა შექმნა სახელმწიფო, საგადასახადო სისტემა, ბიუჯეტი, აქცენტს სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე აკეთებდა.. სააკაშვილსაც ჰქონდა ქარიზმა, ის ერთადერთი ლიდერი იყო რომელსაც როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ დიდი მხარდაჭერა ჰქონდა საწყის ეტაპზე, რომელიც ძალიან მალე გაანიავა.

ივანიშვილის შემთხვევაში ბიზნესში მიღწეული წარმატებები და მსხვილი კაპიტალი მისი ქარიზმის საფუძველია.

აღსანიშნავია, რომ ოთხივე მათგანი თვლის, რომ პოსტსაბჭოთა ლიდერებმა ვერ შეასრულეს ერის მაკონსოლიდირებელი ფუნქცია. პირიქით, ყოველი ახალი ლიდერის მოსვლის შემდეგ საზოგადოება ახალ დაპირისპირებულ სტრატეგიად იყოფოდა, რომლებსაც განსხვავებული აზრი ქონდათ საქართველოს სახელმწიფოს როლის, ფუნქციის, დანიშნულების, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და პოლიტიკური ვექტორის შესახებ, საზოგადოების გარკვეული იდეის გარშემო კონსოლიდაციის პროცესი კი მეტად მნიშვნელოვანია, როგორც პოსტსაბჭოთა საქართველოს ახალი დემოკრატიისათვის, ისე ჩამოყალიბებული ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისთვის.

პოსტსაბჭოთა ლიდერების შერჩევა ინერციით ხდებოდა, ვინაიდან პოლიტიკური ცხოვრება საბჭოთა კავშირში არ არსებობდა და შეუძლებელი იყო ვინმეს პოლიტიკური სკოლა გაეცლო, თუ არ ჩავთვლით იმ ინტრიგებს, რომელიც იმდროინდელ მმართველობას ახასიათებდა შესაბამისად, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, ქართული პოლიტიკური ელიტა საერთაშორისო ასპარეზზე შეეჯახა ისეთ პრობლემებს, რომელშიც გამოუცდელი იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოების დაბალი ფენის კონკრეტულ ფენაზე ორიენტირებამ აჩვენა, რომ ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერებმა სოციალურ-პოლიტიკური კაპიტალის დაგროვების პროცესში ერთმანეთისაგან განსხვავებული გზა გაიარეს, რაც მათი ინდივიდუალური პოლიტიკური ქარიზმის ფორმირების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

დასკვნა

საკითხის კვლევა პოსტსაბჭოთა საქართველოს და ისრაელის პოლიტიკური ლიდერების როლი საზოგადოების კონსოლიდაციის და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში მიგვანიშნებს, რომ პირველ რიგში აუცილებელია მივმართოთ კლასიკურ თეორიებს პოლიტიკური ლიდერობისა და პოლიტიკური ელიტების შესახებ, რადგანაც თეორიული, ისევე, როგორც ემპირიული-პრაქტიკული გააზრების გარეშე, შეუძლებელია ამ ფენომენის ფუნდამენტური შესწავლა და იმ მექანიზმების და საერთო კანონზომიერებების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკური ლიდერების ფორმირებას და პოლიტიკური ელიტების ცირკულირება-რეკრუტირებას, რომლებიც თავისი მოღვაწეობით უზრუნველყოფენ საზოგადოების კონსოლიდაციას და სახელმწიფოს აღმშენებლობით პროცესს. ეს პროცესო კი მეტად მნიშვნელოვანია, როგორც პოსტსაბჭოთა საქართველოს ახალი დემოკრატიისათვის, ისე კონსოლიდირებული ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისთვის.

თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერებაში არსებული პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციისა და ტრადიციის შესაბამისად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური სისტემები ავტორიტარული სტილის პოლიტიკურ მართველობებს მიეკუთვნებიან და ისინი მეტნაკლებად იდენტური ნიშნებით ხასიათდებიან, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, როგორიცაა სოციუმის პოლიტიკურ ლიდერებზე ორიენტირება, პოლიტიკური ელიტის მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესი, პოლიტიკურ პროცესებთან მიბმული მათი ფორმირება და განახლება. განსხვავებული მოდელებია დამახასიათებელი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნებისთვის. მიუხედავად განსხვავებისა ავტორიტარულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემებს შორის, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია მათზე განვაზოგადოთ თეორიები პოლიტიკური ლიდერისა და პოლიტიკური ელიტის შესახებ, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის პირობებში მუშაობს.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ პირველ ეტაპზე შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა საერთო თეორიული

პარადიგმები. სწორედ ამ ფაქტმა გაგვიწია დახმარება ღრმად შეგვესწავლა პოლიტიკური ლიდერის ფენომენი, მისი ფორმირების მექანიზმები და ამის საფუძველზე მოგვეხდინა მიღებული ცოდნის ოპერაციონალიზაცია. თეორიულმა ბაზამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა საერთო კანონზომიერებები და მათი ფუნქციონირების პირობები.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების დღიდან საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა და პოლიტიკურმა ელიტამ ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, როგორც ღირებულებითი და ორიენტაციის, ისე ხარისხობრივი მახასიათებლების თვალსაზრისით, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მათ ტიპოლოგიზაციასა ხელისუფლების ცვლილების მექანიზმებზე.

ქართულ სინამდვილეში პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის და პოლიტიკური ელიტის რეკრუტირების მექანიზმების შესწავლამ ნათლად გამოავლინა მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც დამახასიათებელია ე.წ. სასაზღვრო ცივილიზაციებისათვის. კერძოდ, ეს არის დაბალი სტრატის პოლიტიკურ ლიდერზე ორიენტირების მაღალი დონე. ქართულ სინამდვილეში საკმაოდ მაღალია სოციალური კონკრეტულ პოლიტიკურ ფიგურაზე ორიენტირება. ამასთან, ამ ლიდერის გარშემო მობილიზირებული და კონსოლიდირებული ელიტური ჯგუფები ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ღირებულებებით და იდეოლოგიური ორიენტირებით ხასიათდებიან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოების დაბალი ფენის კონკრეტულ ფენაზე ორიენტირებამ აჩვენა, რომ ქართველმა პოლიტიკურმა ლიდერებმა სოციალურ-პოლიტიკური კაპიტალის დაგროვების პროცესში ერთმანეთისაგან განსხვავებული გზა გაიარეს, რაც მათი ინდივიდუალური პოლიტიკური ქარიშმის ფორმირების მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ოთხი პოლიტიკური ლიდერის და მათ გარშემო მობილიზებული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების მოღვაწეობისას სხვადასხვა პოლიტიკური დღის წესრიგი გამოიკვეთა. აღნიშნულმა ვითარებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა და მოგვეხაზა პოლიტიკური ლიდერების ტიპოლოგიის კრიტერიუმები.

დიფერენცირებისას გამოყოფილ იქნა პოლიტიკური ლიდერების შემდეგი ტიპები: ე. შევარდნაძის ნეონომენკლატურული პოლიტიკური ელიტა, პროდასავლური, კოსმოპოლიტურ-გლობალისტური მსოფლმხედველობის მ. სააკაშვილის პოლიტიკური ელიტა და ბ. ივანიშვილის ფინანსურ-პოლიტიკური ელიტა. უნდა აღინიშნოს რომ საგარეო პოლიტიკური კურსის მიხედვით, ეს ელიტა გამოირჩევა ჩვეული ლიბერალური იდეოლოგიური პარადიგმით და კოსმოპოლიტურ-გლობალისტური აზროვნებით.

აქვე უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ მეტად მნიშვნელოვან დეტალს, რომელიც პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ლიდერების ფორმირების პროცესთან არის დაკავშირებული. პირველი პრეზიდენტის-ზვიად გამსახურდიას გარდა ყველა დანარჩენი პოლიტიკური ლიდერის, ლიდერობისათვის აუცილებელი კომპონენტი – „ქარიზმა“ და მასთან ასოცირებული თვისებების ფორმირება ქვეყნის გარეთ ხდებოდა. პოსტსაბჭოთა საქართველოს ელექტორატისათვის, რომელიც სოციალიზირებულია პატრიქრქალურ-პროვინციული ღირებულებების სისტემაში, სხვა ამგვარი სოციალური მსგავსად, ორიენტირს იღებდა ცნობილ ფიგურებზე, რომლებიც ქვეყნის გარეთ მოღვაწეობდნენ.

ზ.გამსახურდია ერთადერთი პოლიტიკური ლიდერია, რომლის მოღვაწეობის პერიოდშიც ჩამოყალიბდა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებისადმი დაპირისპირებული კონტრელიტა (რომელიც შემდგომ მმართველ ელიტად იქცა) ქვეყნის შიგნით, რომელიც ორიენტირებული იყო ზ. გამსახურდიაზე და მის გარშემო შემოკრებილ ინტელექტუალურ რესურსებს ეყრდნობოდა.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდს, პოლიტიკური ლიდერების „ქარიზმის“ ფორმირების პროცესი ქვეყნის გარეთ ხდებოდა.

ქართული პოლიტიკური ელიტის ტიპოლოგიზაცია-დიფერენციაციამ თავისებური გავლენა მოახდინა ამ ელიტის ცირკულაცია-განახლების მექანიზმების ფორმირებაზე. ქართული ელექტორატი ლოიალობის სხვადასხვა ხარისხით აქცენტს აკეთებდა ლიდერებზე, რომლებაც სოციალურ-პოლიტიკური კაპიტალი ქვეყნის გარეთ დააგროვეს, რომლის შედეგად პოლიტიკური ლიდერი სრულ „კარტ-ბლანშს“ და თავისი შეხედულებებისამებრ ირჩევდა მისთვის მისაღები

ელიტის წევრებს. რაც შეეხება საზოგადოების კონსოლიდაციას, ეს პროცესი საერთოდ არ იდგა დღის წესრიგში.

ყოველი ახალი ლიდერის მოსვლის შემდეგ ქართული საზოგადოება კონსოლიდაციის მაგივრად სულ უფრო დიფერენცირებული და დაყოფილი ხდებოდა, რაც თავის მხრივ ხელს უშლიდა ქვეყნის აღმშენებლობით პროცესს.

რაც შეეხება ისრაელის სახელმწიფოს, ებრაელების ისტორიის დიდი ნაწილი დევნილობაში ყოფნასა და ჩაგვრასთან არის დაკავშირებული. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისინი თავიანთი ქვეყნის აღდგენისთვის იბრძოდნენ.

ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პროცესის ძირითად ეტაპებად შეიძლება მივიჩნიოთ: სიონისტური მოძრაობის ჩამოყალიბება, ბალფურის დეკლარაცია, ბრიტანული მანდატის მოქმედება პალესტინაზე, გაეროს გეგმა პალესტინის დაყოფა-განაწილების შესახებ და დამოუკიდებლობისათვის ომი.

ამასთანავე, ისრაელის სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა იმ პოლიტიკური პროცესების ერთობლიობას, რომელიც 1897 წელს პოლიტიკური მოძრაობა სიონიზმის შექმნით დაიწყო და დასრულდა 1948 წლის 14 მაისს – დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ასევე 1949 წელს დამოუკიდებლობისათვის ომში გამარჯვებით და იმავე წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებით.

მისი შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ებრაელი ხალხის ისტორიაში. ებრაელმა ერმა თავისი ისტორიითა და ბრძოლისუნარიანობით დაადასტურა, რომ იმსახურებდა სუვერენული სახელმწიფოს შექმნას.

მისმა დამაარსებლებმა თავიდანვე სწორად გათვალეს თავიანთი ქვეყნის პრიორიტეტები, გაითვალისწინეს სხვა სახელმწიფოების გამოცდილება და საკუთარი ხალხის ინტერესები. სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და აუცილებელი ინსტიტუციების ჩამოყალიბების პარალელურად, მათ უწევდათ ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებისა და სუვერენიტეტის დასაცავად, ამაში კი დიდი წვლილი პოლიტიკურ ლიდერებს მიუძღვით, რომლებმაც შეძლეს საზოგადოების კონსოლიდაცია და თავგანწირვისა და დაუზოგავი შრომის შედეგად დღევანდელი ისრაელის სახელმწიფოს წარმატებული და უსაფრთხო ყოფა უზრუნველყვეს. მოსახლეობის სწორი დამოკიდებულება სამხედრო სამსახურის მიმართ, მათი პატრიოტული სულისკვეთება, ქვეყნის დაცვის

აუცილებლობის გათვალისწინება და თავგანწირვისთვის მზაობა წარმატებული და მაღალპროფესიონალური არმიის ყოლის წინაპირობაა, რაც იმავდროულად ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა.

ებრაელებს მიაჩნიათ, რომ მსიფლიოში ანტისემიტიზმის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი გზა, ებრაელთა სახელმწიფოს შექმნა იყო. პოლიტიკურმა ლიდერებმა დიდი წვლილი შეიტანეს ისრაელის სახელმწიფოს შექმნაში, აირჩიეს რა სწორი ტაქტიკა და სწორი დრო. მათ დიდი როლო მიუძღვით, აგრეთვე ივრითის (ებრაული ენის) აღდგენაშიც და ამ ენაზე სწავლებაში საბავშვო ბაღებში, სკოლებში და უნივერსიტეტებში, რომლებიც მათი ძალისხმევით დაარსდნენ: გიმნაზია "ჰერცლია", იერუსალიმის უნივერსიტეტი, ხაიფის ტექნიონი. საერთო ერთმა ენამ შექმნა ერთი კულტურა და ერთმანეთს სხვადაცხვა ქვეყნებიდან ჩამოსული მოსახლეობა დაუახლოვა, რომლებიც მანამდე სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობდნენ, ფაქტიურად უზრუნველყო ერის კონსოლიდაცია.

სიონუსტიური მოძრაობის მოღვაწეებმა განაახლეს და შექმნეს ახალი სეკულარული სიმბოლოები ძველი ებრაული რელიგიური სიმბოლოებიდან. მაგალითად მაკაბიელების გმირობა, მესადას დამცველების გმირობა, ბარ-ქოხვას აჯანყებულების გმირობა. ამან დაუდო სამირკველი ახალი საერთო სეკულარული მითოსების ჩამოაყალიბებას და სეკულარულ ებრაულ კულტურას, რაც მანამდე არ არსებობდა და საჭირო იყო სახელმწიფოს აღსადგენად და ერის საერთო ღირებულებების გარშემო კონსოლიდაციისათვის.

ისრაელში პოლიტიკური ლიდერი საზოგადოებრივი ელიტის განუყოფელი ნაწილია. თუ გავივალისწინებთ იმას, რომ პოლიტიკური კულტურის როლი სხვა კულტურებისგან განსხვავებით, ისტორიული შეცდომების ნიადაგზე ახალი ტაქტიკის შემუშავებას, პოლიტიკოსების ქცევის ნორმების წონასწორობასა და ეროვნული ფასეულობის გაფრთხილებას ნიშნავს, ამ მხრივ ისრაელის პარლამენტში გაერთიანებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, თითქმის შეთანხმებულად მოქმედებენ. მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაც ხომ პოლიტიკურად გათვითცნობიერებაზეა დამოკიდებული, რაშიც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის 18 წლის ასაკიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურს ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის. როგორც წესი, პოლიტიკური

კულტურის სახეს ქმნიან გავლენიანი პოლიტიკური პირები, მსხვილი წარმოებებისა და ფინანსური ინსტიტუტების ხელმძღვანელები.

მიუხედავად ლიდერებს შორის სხვადასხვა პერიოდში არსებული უთანხმოებისა, მათ შეძლეს კომპრომისების გამოწახვა და ამ განხეთქილებებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დეზინტეგრაციის პროცესის თავიდან აცილება.

ისრაელში სახელისუფლებო შტოების ფუნქციონირება ურთიერთდაბალანსებულია, ხოლო მათი საქმიანობა გამჭვირვალეა, რაც უზრუნველყოფს ხელისუფლების მიმართ მაღალ ნდობას. ისრაელში არჩევნები ტარდება დემოკრატიულ გარემოში, მედიაპლურალიზმის პირობებში, დაცულია ადამიანის უფლებები და გამოხატვის თავისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე გ., პოლიტიკური კულტურა; კონცეპტუალური მოდელები და დემოკრატიული ტრანზიციის პარადიგმები. რედაქტორი ტუკვაძე ა. გვ.439.
2. აბესაძე გ., თანამედროვე ქართული პოლიტიკური სცენის აქტორები. თბილისი, 2014. გვ.38.
3. აზიისა და აფრიკის ისტორიის აქტუალური პრობლემები. თბ., 1991წ.
4. ალექსიძე ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. 1994წ.
5. აღმონდი გ., ვერბა ს., სამოქალაქო კულტურა და დემოკრატიის სტაბილურობა//სოლიდარობა №2, 2009. გ.45.
6. არისტოტელე, „პოლიტიკა“ ტ. 2018წ.
7. ბარამიძე გ., ბრაჭული ი., ფიფია თ., ედუარდ შევარდნაძე - გონების მოქცევა საქართველოში, გვ 31, თბილისი, 1995წ.
8. ბათოშვილი ა., ებრაელი ხალხის ისტორიიდან. გამომცემლობა „საქინფორმკინო“. თბ., 1991 წ.
9. ბარელი დ., იერუშალაიმი, სამშობლოდან სამშობლოში, თბ. 1990წ.
10. ბერძენიშვილი ა. პოლიტიკური სოციოლოგია. „ინტელექტი“. თბ.2011, გვ.282, 284, 285.
11. ბუცხრიკიძე ა. პოლიტიკური ლიდერი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996. გვ.14, 16.
12. ბიჭაშვილი მ. ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. „ნეკერი“, თბ. 2001. გვ. 25, 26.
13. ბიჭაშვილი მ., ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში. თბილისი, 2014 წ. გვ.113, გაბაშვილი ვ., ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957წ.

14. გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა, თბილისი, 2003წ.
15. გაჩეჩილაძე რ. ახლო აღმოსავლეთი. თბ., 2011წ.
16. გახოკიძე ჯ. ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები. თბილისი., 2007წ.
17. გვენეტაძე ე., ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების ისტორიიდან. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები. გამომც. უნივერსალი“. თბ., 2010წ.
18. გვენეტაძე ე., საერთაშორისო უშიშროების ასპექტები. გამომცემლობა „იურისტების სამყარო“. თბ., 2017წ.
19. გვენეტაძე ე., ყიფიანი მ. სტატია „1967 წლის ისრაელ-არაბეთის ომში ისრაელის გამარჯვების ფაქტორები“, ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“.
20. გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბ., 1963წ.
21. გოგიაშვილი ო., ფუნდამენტური გამოკვლევა „ილია დღეს, იდეოლოგია, პოლიტიკა“ თბილისი, 2008წ.
22. დათიაშვილი შ., კონფრონტაცია თუ თანამშრომლობა? (წყალი და მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში – ქართული დიპლომატია. წელიწდეული. 11. თბ., 2004წ.
23. დაიანი მ., ცხოვრება ბიბლიით, თბ. 1996წ.
24. დონაძე ვ., ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო ისტორიის ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები. თბ., 1987წ.
25. ენგელსი ფ. ბუნების დიალექტიკა, „სახელგამი“. თბ. 1954. გვ.35.
26. ზაბახიძე ი., სადისერტაციო ნაშრომში „პალესტინის კრიზისი 1947-1949 წლებში და იორდანის პოზიცია“ 2006წ.
27. თეზელიშვილი ს., კონფლიქტოლოგიის ენციკლოპედია. გამომცემლობა „თბილისი“. თბ., 2014წ.

28. ილანი ი. ისრაელის თავდაცვის დოქტრინა ზეევ ჟაბოტინსკიდან-დღემდე 2018 წ. კაპანაძე ვ, სურმავა გიორგი, გეგელაშვილი მარინა და სხვები, სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 2013წ.
29. კვესელავა ი., საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990). ტომი I, თბ., სტუ. 2004წ.
30. კიკნაძე ზ., რელიგიები საქართველოში, გამომცემლობა-სახალხო დამცველის აპარატი თბ., 2008წ.
31. კომახიძე ნ., კოლონიალიზმის აღსასრული აღმოსავლეთში. თბ., 1963წ.
32. კუპრაშვილი ჰ. ეროვნული უსაფრთხოება თუ ეროვნული უშიშროება? თბილისი, უნივერსალი, 2014 წ. ლომაძე ნ., მენტეშაშვილი ა., ებრაელთა იმიგრაცია ისრაელში და არაბული საზოგადოება, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები, ტ.1, თბ. 1993წ.
33. ლომოური ნ., სიონიზმის აღმოცენება და განვითარება. – ქართული დიპლომატია, წელიდწლეული, ტ.10, თბილისი, 2002წ.
34. ლომოური ნ., იერუსალიმი – მშვიდობის ქალაქი. – პერსპექტივა – XIX, N4, თბილისი, 2002წ.
35. ლობჟანიძე გ., ღლონტი გ., კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა, თბილისი, 2004 გვ.4, 45, 1999.
36. ლომოური ნ., სიონიზმის აღმოცენება და განვითარება. - ქართული დიპლომატია, ტ.10, თბილისი, 2002 წ. 144 გვ.
37. მაკიაველი ნ. მთავარი, „ბაკურ სულაკაური“, თბ. 2010წ.
38. მაკიაველი ნ., „მთავარი“, თბ. გამომც. „წიგნის სამყარო“, 2015წ.
39. მაისაია ვ, ობოლაძე ბ. ახალი გეოპოლიტიკური რეალობა და საერთაშორისო ტერორიზმი 21-ე საუკუნეში. თბ. 2009წ.
40. მამისთვალაშვილი ე. „ქართველ ებრაელთა ისტორია“, თბ., 1995წ.
41. მაღრაძე გ., მაისაია ვ. „21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი და რეალობა-რეგიონალური და გლობალური ასპექტები“, უნივერსალი თბ. 2017წ.

42. მენტეშაშვილი ალბ., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2000 წ.
43. მენტეშაშვილი ზაზა., ისრაელის პოლიტიკური განვითარების თავისებურებანი. – ახლო და შუა აღმოსავლეთი I. თსუ. 2002წ.
44. მეირი გ., ჩემი ცხოვრება, სამშობლოდან სამშობლოში. თბ., 1990წ.
45. მელიქიშვილი გ., რედ. ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი, 1988წ.
46. მონტევიორე ს., „იერუსალიმი“ ბიბლიოგრაფია. თარგ. ნიკა სამუშია, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“, თბ., 2011წ.
47. მაისაია ვ. საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები „ცივი ომის“ შემდეგ (1991-2004), თბილისი, გვ.32, 2013წ.
48. პაპასკირი თ., „დიდი სამეულის“ კონფერენციები. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2010 წ.
49. პლატონი, „სახელმწიფო“, თბ. გამომც. „ნეკერი“, 2003წ.
50. ჟღენტი კ., პალესტინა და პალესტინელები, „ნაკადული“, თბილ. 1986 წ.
51. რაბინოვიჩი ა., „იომ-ქიფურის ომი“. მთარგმნელები: არჩილ ახალკაციშვილის, რატი ჭკადუა, თბ. ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 2007წ. გვ.46-53.
52. სარაიდაროვი ლ. „ისრაელი-საერთაშორისო უშიშროების სისტემაში“, დისერტაცია დოქტორის აკად. ხარისხის მოსაპოვებლად, 2020წ.
53. სანიკიძე გ. გელოვანი ნ, ალასანია გ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია. თბ. 2011წ.
54. სარაიდაროვი ლ., ისრაელის კიბერუსაფრთხოების სისტემა, სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) N4 (52) 2019 წ.
55. სარაიდაროვი ლ., ებრაელთა დევნა მეორე მსოფლიო ომამდე და ომის პერიოდში, სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) N4 (52) 2019წ.
56. სარაიდაროვი ლ. იუდაიზმისა და სიონიზმის თანაარსებობის საკითხისათვის, სამეცნიერო ჟურნალი „საისტორიო ვერტიკალები“ N43 2019წ.
57. სონღულაშვილი ა. „საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა“, გამომც. უნივერსალი, თბილისი 2018წ.
58. სტივენ ჯონსი, ლინკოლნ მიტჩელი. ელექტრონული რესურსი URL:<http://foreignpress.ge/chven-shesakheb/4120.html>.
59. ტუკვაძე ა., პოლიტიკური ელიტა, თბილისი, 1998წ. გვ. 108, 192, 202.

60. ტუკვაძე ა., პოლიტიკური კულტურის ტიპები (შედარებითი ანალიზი). თბილისი, 2007. გვ. 76-77.
61. ტუკვაძე ა., ძალაუფლება და პოლიტიკური პროცესი: ორმაგი სტანდარტები ქართულ პოლიტიკაში// ცხოვრება და კანონი №3, თბილისი, 2009. გვ.62-63.
62. ტუკვაძე ა., პოლიტიკური ელიტა, ომარ გოგიშვილის რედაქტორობით თბილისი, 2004. გვ 400-401.
63. ტუკვაძე ა., უბილავა ი. ლიდერი ქართულ პოლიტიკაში. RUND პოლიტიკურ მეცნიერებათა ჟურნალი. პოლიტილოგიის სერია. ტ.19, №1, მოსკოვი, 2017. გვ.71.
64. ტუკვაძე ა., პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი გამომცემლობა: უნივერსალი, 2014წ.
65. ღირსიაშვილი ლ. სტატია „ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი: ორი ერი, ერთი მიწა“, 2003წ.
66. შუბითიძე ვ., ტალახაძე გ., /გლობალიზაცია - როგორც განვითარებადი ქვეყნების დაკავალების ინსტრუმენტი/. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“, (ისტორია, თეორია, პრაქტიკა), 2009წ.
67. ციციშვილი ა., ახლო აღმოსავლეთი: ორი მიდგომა კონფლიქტის მოგვარებისადმი, რედაქტორი ს. ცინცაძე, გამომცემლობა „განათლება“, თბ. 1986წ.
68. ციციშვილი ა. „ებრაელები და საქართველო“ (რედ.: ვაჟა შუბითიძე). გამომცემლობა „რესპუბლიკა“, თბ., 2003 წ.
69. ციციშვილი ა. „სიონიზმი და საბჭოთა სინამდვილე“, გამომც. თბილ. საბჭოთა საქართველო, 1972წ.
70. ცვლილებები კონსტიტუციაში, პირველი მოსმენა ელ.რეურსი: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=24945>
71. ხონელიძე ნ., ბალფურის დეკლარაცია დოკუმენტის 80 წლისთავის გამო. – ქართული დიპლომატია, ტ.5, თბილისი, 1990წ.
72. ხონელიძე ნ. ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია-1948 წლის 14 მაისი. ვალერიან გაბაშვილი- 90. თბ., 2003წ.
73. ხონელიძე ნ., ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაცია - 1948 წლის 14 მაისი (დოკუმენტის შექმნის ისტორიისათვის). თბილისი, 2003წ.
74. ჯიჯეიშვილი ქ. (მსოფლიო პოლიტიკა) სალექციო კურსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2009 წ.

75. ჯაფარიძე გ. აღ-ბანა,ჰასან-ისლამი „ისლამის ენციკლოპედიური ცნობარი“ თბ., 1999წ.
76. ჯაფარიძე თ., სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში (ისრაელისა და პალესტინელთა ხელშეკრულებები 1993-1999), ტ.7, თბილისი, 2000წ.
77. ჯაფარიძე გ., ჯაფარიძე თ., ტერორი დადის აღმოსავლეთში. – გაზ. „სრულიად არასაიდუმლო“,V, 1996წ.
78. ჯაფარიძე გ. ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, შესავ. თბ., 1993წ.
79. ჰერცოგი ხაიმ. „ისრაელ-არაბების ომები“, თბილისი, 2007წ.
80. Adler, Alfred. What Life Could Mean to You. 1998, Hazelden Foundation. Center City, Minnesota: Hazelden. 58–59.
81. Barber J. Presidential Character. N. Y.: Harper, 1972. P. 10.
82. Becker H. S. Sociological Work: Method and Substance. Chicago, 1970.
83. Cohen Yves. Le siècle des chefs. Une histoire transnationale du commandement et de l'autorité (1890-1940). – Paris: Éditions Amsterdam, 2013. 871 p.
84. Chertoff, Mordechai S Zionism: a Basic Reader. New York: Routledge, 2000 y.
85. Defending The holy land, Zeev Maoz, 2006
86. Edinger I., Searing D. Social Background in Elite Analysis: Methodical Enquiry. N.Y., 1967.
87. Etzioni A.V. Social Problems. N.Y.1976.
88. Followership: How Followers Are Creating Change and Changing Leaders (ISBN 1422103684).
89. Gabriel, Y. Psychoanalytic approaches to leadership. In A. Bryman, D. Collinson, K. Grint, B. Jackson, & M. Uhl-Bien (Eds.), The SAGE Handbok of Leadership: 393-405. London: Sage. 2013
90. Gittings R. The Nature of Biography. London, 1978;
91. Goffman E. The presentation of Self in everyday Life. Harmondsworth, 1972.
92. Grick B. Political Theory and Practice. London, 1972.
93. Harding L.R. Anatomy of a Power Elite. New Hawen, 1978.Herzl, Theodor, „The Jewish state“, 1986 y.
94. Israel's Edge, Jason Gewirtz, 2019 y.
95. Israel's Security Networks, Gabriel Sheffer, Oner Barak, 2013 y.
96. Israeli National Security, Charles D. Freilich, 2008 y. 235 p.

97. Kissinger, Henry, *Diplomacy*, New York, USA, 1994 y. 234 p.
98. *l'autorité (1890—1940)*. — Paris: Éditions Amsterdam, 2013. 871 p.
99. Marcus G.E. "Elite" as a concept, theory and research tradition. New Mexico, 1983.
100. Meisel J. H. *The Myth of the Ruling Class*. University of Michigan Press, 1958
101. Moyzer G., Wagstaffe M. *Research Methods for Elite Studies*. London, 1987.
102. Mosca G. *The Ruling Class*. N.Y.. London. 1939; Pareto V. *Mind and Society*. V. IV. N.Y., 1963.
103. Mosca G. *The Ruling Class*. London, 1939.
104. Meisel J.H. *Pareto and Mosca*. New Jersey, 1965.
105. Nadel J.P. *The Concept of Social Elites*// *International Social Science Bulletin*, №8, 1956.
106. Oren, Michael B., *Six Days of War. June 1967 and the making of the modern middle east*, 2004 y.
107. *Security and Defensive Democracy in Israel*, Sharon Weinblum, 2015 y.
108. *Security for the Land of Israel*, The Lubaviteher Rebbe, 2018 y.
109. Smith, Charles D., *Palestine and the Arab-Israeli Conflict*, Boston: Bedford/St. Martin's, 2001 y.
110. Suleiman E.N. *Elites in French Society. The Politics of Survival*. Princeton Legacy Library, 2015
111. Stephen F. Jones. *Democracy in Georgia* URL: http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/Stephen_Jones_Georgia.pdf 2013 Pareto V. *Mind and Society*. N.Y., 1935.
112. Parsons T. *Societies...* Ch. 2;
113. Parsons T. *Social systems and subsystems; Interaction* // *International Encyclopedia of the Social Sciences*. — NY, Macmillan, 1968;
114. Pitts, J. T., E. Shils, K. Naegle, J. *Theories of society*. /— NY, Free Press, 1961.
115. Parsons T. *The political aspect of social structure and process*. // *Varieties of political theory*. / Ed. by D. Easton; см. также: Almond G. A.,
116. Powell G. B. *Comparative politics: A developmental approach*. — Boston: Little Brown, 1966.
117. Parsons T. *Societies...* Ch. 3;
118. Parsons T. *Social systems and subsystems; Interaction* // *International Encyclopedia of the Social Sciences*. — NY, Macmillan, 1968;

119. Psychologytoday.com. Guy Winch. Study: Half of All Presidents Suffered from Mental Illness. Feb.02, 2016.
120. Pareto V. Sociological Writings. London: Pall Mall Press, 1966.
121. Plummer K. Documents of life. Contemporary Social Research Series. №7, London, 1983.
122. Rothstein R.L. Alliances and Small Powers. Columbia University Press. New York and London, 1968.
123. Runciman W. G. Relative Deprivation and social Justice. London: Routledge and Kegan Paul, 1966.
124. Weber M. From Max Weber: Essayas in Sociolgy. (ed Gerth H.H. and C. Wright Mills). London, 1958. Weizman, ezer, the battle for peace, bantam books, London, 1981y.
125. Zuckerman A. The concept "Political Elite": Lessons from Mosca and Pareto. N.Y., 1977y.
126. Абесадзе Г. Политическая культура: концептуальные модели и парадигмы демократической транзиции. Тбилиси, 2015.
127. Гобс Т. „Левиафан“, изд. Рипол-Классик, 2017
128. Глебов В.А., Давыдов В.Н. Законодательный механизм развития гражданского общества // Вопросы политологии. №4, 2017.
129. Гришин О.Е., Воронова А.А. Инструментальная функция средств массовой и информации и блогосферы в политическом информационном пространстве// PolitBook. №1, 2012
130. Гришин О.Е. Политические технологии в XXI Веке: сущность, спектр, характер// PolitBook. №2, 2014.
131. Гришин О.Е. Политическая стабильность: понятие, факторы, инновации.// Исторические, философские, политические и юридические науки, культурология и искусствоведение. Вопросы теории и практики. №6, 2015
132. Дайчман И. Моссад. История лучшей в мире разведки. 2001 г. ст.116
133. Занд Шломо, Кто и как изобрел Страну Израиля, изд. „Эксмо“, 2012 г.
134. Ирхин Ю.В. Современные методологические, теоретические и методологические подходы к политическому анализу // Вопросы политологии. №1, 2016.
135. Лебон Г. Психология народов и масс. СПб.: Макет, 1995; Сигеле С. Преступная толпа. СПб., 1986; Михайловский Н. К. Герои и толпа. СПб., 1882. ст. 34
136. Моска Г. Правящий класс// Социс, №10, 1994. ст.191

- 137.Медведев Н. П, Чернышев С.И. К вопросу о сущности понятия «политическая деятельность» // Вопросы политологии. №4, 2015.
- 138.Медведев Н.П. СНГ: проблемы постсоветской реинтеграции // Евразийский Союз: вопросы международных отношений. №1-2, 2015.
- 139.Министерство Иностранных Дел Израиля, <https://mfa.gov.il>
- 140.Мухаев Р.Т. Политология Учебник для студентов юридических и гуманитарных факультетов. - М.: Издательство «Приор» С. 108.
- 141.Ницше Фридрих, «Подание Кумиров», изд. «Лениздат», 2013 ст.34,56
- 142.Нестерчук О.А. «Новая политическая культура» как инструмент стабилизации / деформации общества // Вопросы политологии. №4, 2017.
- 143.Фрейд З. Психология масс и анализ человеческого «Я». М.: Изд-во «Современные проблемы» Н. А. Столяр, 1926.
- 144.Специфика трансформации политической системы Грузии показала, что даже образованные люди возможно были носителями приходской культуры. Газета //Кавказский акцент, №22, 2005.Стивен Ф. Джонс. Демократия в Грузии. [Электронный ресурс]. URL: <http://www.cicerofoundation.org/lectures/Stephen-Jones.Georgia.pdf>.(дата обращения: 14.09.2017).
- 145.Седов С. Сионизм: ставка на террор. изд. „Агентство печати“, Москва, 1984 г.
- 146.Сакер Г. История Израиля, Т1. Изд. „Алия“, Иерусалим 1994 г.
- 147.Сартори Дж. Вертикальная демократия. // Полис, №2, 1993.
- 148.Слизовский Д.Е., Шуленина Н.В. Электоральные предпочтения молодежи 18-20 лет перед выборами 2016: между аполитичностью, антиполитикой и активностью.// Вопросы политологии. №3, 2016.
- 149.Смирнов А. Арабо-израильские войны, изд. 2003 г.
- 150.Социология политической партии в условиях демократии //Диалог, №3, 1990.
- 151.Трестман Г. Израильский узел. История страны – история противостояния, 2014 г.
- 152.Чачия А. Выборы президента в Грузии: народ разочарован правящей партией.[Электронныйресурс].URL:<https://www.nakanune.ru/news/2018/10/29/22523272/>
153. Электронная еврейская энциклопедия, <https://eleven.co.il>.